

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

12/2023

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



12/2023

შვედარეზიტი სარეტილი

ქარტილი-გარგანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



ტილილი სარეტილი ჟურნალიტილი იტილილი იტილილი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2023

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2023

© ავტორები, 2023

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. ტანელ კერიკმაე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქაეშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

კოპენჰაგენს+1 და საქართველოს კანდიდატობა <i>ეკატერინე ქარდავა</i>	7
საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა <i>ლევან ნანობაშვილი / მარიამ ლაშხი</i>	77
განსხვავებული სუბიექტური ელემენტის არსებობის მიზეზები მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექენისას <i>ნატალი გოგიაშვილი</i>	40

უცხოური სასამართლო პრაქტიკა

შრომითი ხელშეკრულების მოშლა დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილის დატოვების მიზეზით (ზარანდია)	57
---	----

კოპენჰაგენს+1 და საქართველოს კანდიდატობა

პროფ. დოქ. ეკატერინე ქარდავა

ჟან მონეს პროფესორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე

სარჩევი

შესავალი	1
1. ევროპული საბჭოს 1993 წლის კოპენჰაგენის დასკვნა	3
2. საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში	6
3. ევროპული ინტეგრაციის მემკვიდრეობა და საქართველო ევროპული ასოციაციის პერიოდში	7
4. ევროკავშირში გაფართოების მომავალი და შეჯამება	9

შესავალი

2023 წლის 8 ნოემბერს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა 10 ქვეყნის შეფასების ანგარიშები და გასცა რეკომენდაციები გაფართოების პოლიტიკის თაობაზე (გაფართოების პაკეტი 2023¹). 2023 წლის 14 დეკემბერს, ევროკავშირმა (ევროპულმა საბჭომ) მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის გაფართოების თაობაზე. საქართველო მოექცა გაფართოების სივრცეში ათ ქვეყანას შორის და მიენიჭა კანდიდატობის სტატუსი.² ეს უდიდესი ისტორიული დღეა საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხისათვის. ბოლოსდაბოლოს, დიდი ძალისხმევა, შრომა, ბრძოლა, კომპლექსური პოლიტიკური პარადიგმები, გეოპოლიტიკური ასპექტები და დროის სპეციფიკა ერთად შეიკრა და შედეგად კანდიდატობა მოი-

ტანა. ვერ გავეცევით ფაქტს, რომ საქართველოს აქვს ომი რუსეთთან, გაყინული კონფლიქტები, ოკუპირებული ტერიტორიები (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი), ძალიან სუსტი საზღვაო ძალაუფლება, არამდგრადი ეროვნული წარმოება, რუსეთიდან ექსპორტირებული კრიმინალი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ევროკავშირის მხრიდან ერთგვარად „დაირღვა“ რეგიონალიზმის პრინციპი, საქართველო „ამოყვანილ“ იქნა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, გაფართოების ხაზმა „გადმოლახა“ შავი ზღვა და გადმოლმა საქართველოში ჩამოაღწია. ევროკავშირმა უმაღლესი ერთგულებითა და სტანდარტით იმოქმედა საქართველოსთან მიმართებით. ევროკავშირი ბუნებით მშვიდობისმყოფელია; მისი ფუნდამენტური ფასეულობაა - მშვიდობა და უსაფრთხოება, კონკურენტუნარიანი ბაზარი

¹ European Commission Press release on Enlargement Pack 2023, European Commission Reports, <https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/%20en/ip_23_5633>

² European Council Conclusions, 14-15 Dec, 2023, <<https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2023/12/14-15/>> <<https://www.consilium.europa.eu/media/68967/european-councilconclusions-14-15-12-2023-en.pdf>>

და მდგრადი ეკონომიკა, მოქალაქეთა კეთილდღეობა და თავისუფლება; ამ ღირებულებებში ევროკავშირმა საქართველოს გამოუცხადა ნდობა და კარგი გაულო ოჯახში შესასვლელად. ოჯახში მიპატიჟება მხოლოდ მოწესრიგებულობასა და სამართლის კარგ ცოდნა-შესრულებასთან არ არის დაკავშირებული. პირიქით, შესაძლოა იყოს გადაცდომებიც, კამათიც, შეცდომებიც, მაგრამ ღირებულებების ერთ ტახტრევანზე უნდა შეგვეძლოს ერთად ჯდომა. ის ფაქტიც, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირი ფართოვდება ნელა, 72 წლის განმავლობაში სულ გაანევრიანა 22 სახელმწიფო.³ მეორე მხრივ, ის ნუანსიც გასააზრებელია, რომ ბოლო 31 წლის განმავლობაში საქართველოს არ მიუტოვებია ბრძოლა თავისუფლებისა და ევროპული მომავლისთვის (ეს ბრძოლა გრძელდება დღემდე სხვადასხვა ფორმით) და ამ არჩევანისთვის ყოველი დასჯისა და მიყენებული ჭრილობების მოშუშების შემდეგ, მაინც ევროპისკენ გაიხედა.

საქართველოში, ამჟამად, არაერთგვაროვანი ინფორმაცია ვრცელდება, მათ შორის, დეზინფორმაციულიც, ევროკავშირისა და მისი გაფართოების პოლიტიკის თაობაზე; არაკორექტულად ხორციელდება შედარებები სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით უკრაინასა და მოლდოვასთან მიმართებით (არასწორად შეირჩევა შესადარებელი ობიექტები). მეორე მხრივ, კრიტიკული აზრი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიმართ და, ზოგადად, ანალიტიკური გააზრება ევროკავშირში ბოლო ორ დეკადაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით (მეცნიერებისა და სპეციალისტების მხრიდან) აღიქმება ანტი-ევროპულ ქმედებად. ასეთი პოლარიზებული მიდგომა, ზღუდავს ევროკავშირის მეცნიერულ შესწავლას, ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას, კრიტიკული ხედვის განვითარებას. მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმისა, რომ საქართველოში პოლარიზების პრობლემა მხოლოდ პოლიტიკოსებს არ მიემართება, ზოგადად, საზოგადოება და ხალხი მნიშვნელოვნად (ხშირად აგრესიულად) პოლარიზებულია სასიცოცხლო საკითხების ირგვლივ, აზრის მონოპოლიზების ანდა განსხვავებული აზრის დაუშვებლობის მცდელობით. მაგალითად, აღსანიშნავია პოლარიზება ასეთი ფორმულირებებით: კანდიდატობის სტატუსის მიღება ხელისუფლების დამსახურებაა; კანდიდატობის სტატუსის მიღება ოპოზიციის დამსახურებაა; კანდიდატობის სტატუსის მიღება ხალხის დამსახურებაა; კანდიდატობის სტატუსის მიღება სამოქალაქო სექტორის დამსახურებაა. არადა, როდესაც ევროკავშირი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატობის სტატუსის მინიჭების თაობაზე (გაფართოების თაობაზე), არსებითად აუცილებელია არსებობდეს შემდეგი ორი ფუნდამენტური და საწყისი პირობა: ქვეყნის ხელისუფლებას უნდა სურდეს ევროკავშირში განევრება; ქვეყნის მოსახლეობას/ხალხს უნდა სურდეს ევროკავშირში განევრება (აქ კი ნაგულისხმევია სამოქალაქო სექტორიც, პოლიტიკური სპექტრიც და სხვა). ამდენად, ხელისუფლების ნებისა და ხალხის ნების დეკლარირების გარეშე (ამ ერთობლიობის გარეშე) ევროკავშირი არც კი დაიწყებდა საქართველოს საკითხის განხილვას.

ამჟამად, კანდიდატობის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების საკითხი ყველაზე დიდი განხილვისა და კამათის საგანია საქართველოში. კანდიდატობის სტატუსის მინიჭებისა და გაფართოების გადაწყვეტილება მუდამ იყო უმაღლესი პოლიტიკური დღისწესრიგი ევროკავშირში (შეიცავს რა ისეთ კუმულაციურ ასპექტებს როგორცაა: გეოპოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, უსაფრთხოების პოლიტიკა, ფასეულობე-

ირლანდია და დანია; 2. 1981 წ. - საბერძნეთი; 3. 1986 წ. - ესპანეთი და პორტუგალია. 4. 1995 წ. - ავსტრია, ფინეთი, შვედეთი. 5. 2004 წ. - უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, სლოვენია, ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, მალტა, კვიპროსი. 6. 2007 წ. - უნგრეთი, რუმინეთი. 7. 2013 - ხორვატია. (დიდი ბრიტანეთი გავიდა ევროკავშირიდან). ამჟამად, ევროკავშირში 27 სახელმწიფოა.

³ ევროკავშირი (ევროგაერთიანება) ფუნქციონირებს ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან (1951 წ.), რომელიც განვითარდა 1957 წლის ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევრატიომის ხელშეკრულებების ხელმოწერით. იგი დააარსა 6 სახელმწიფომ: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. სულ შვიდჯერ გაფართოვდა: 1. 1973 წ. - დიდი ბრიტანეთი,

ირლანდია და დანია; 2. 1981 წ. - საბერძნეთი; 3. 1986 წ. - ესპანეთი და პორტუგალია. 4. 1995 წ. - ავსტრია, ფინეთი, შვედეთი. 5. 2004 წ. - უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, სლოვენია, ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, მალტა, კვიპროსი. 6. 2007 წ. - უნგრეთი, რუმინეთი. 7. 2013 - ხორვატია. (დიდი ბრიტანეთი გავიდა ევროკავშირიდან). ამჟამად, ევროკავშირში 27 სახელმწიფოა.

ბის პოლიტიკა). რომ მოვიშველიოთ აზრი გარედან (უცხოეთიდან) და არა საქართველოდან, საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების გერმანული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ:

მას შემდეგ, რაც რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა განხორციელდა უკრაინაში, ბრიუსელი მიხვდა, რომ გაფართოება ნიშნავს გაფართოებას სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში... დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების უმეტესობაში რეფორმების იმპულსის მცირე მტკიცებულება არსებობს - განსხვავებით მოლდოვისგან და, თუნდაც ომის პირობებში, უკრაინაში. არანაკლებ ამ მიზეზით, ევროკავშირი აგრძელებს გაფართოების პროცესის თანდათანობით განვითარებას... რაც შეეხება საქართველოს, მისი [ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან] თანხვედრის მაჩვენებელი ასახავს მის ბალანსირებულ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, მაშინ როცა სერბეთი წლების განმავლობაში ავითარებს ინტენსიურ ურთიერთობებს რუსეთთან და ჩინეთთან, ზოგჯერ პროვოკაციულად, განევრიანების მოლაპარაკებებთან ერთად. პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩის დროს ბელგრადის საშინაო და საგარეო პოლიტიკა არც ყოვლისმომცველია და არც თანმიმდევრულად არის მიმართული ევროკავშირის წევრობისკენ. უფრო მეტიც, სერბეთი ერთადერთი ქვეყანაა დასავლეთ ბალკანეთში, რომელიც არ შეუერთდა ბრიუსელის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.⁴

ზემოაღნიშნული მწირი მონახაზი უფრო აკადემიურ-სამართლებრივ სიბრტყეში რომ გადაიზარდოს, ქვემოთ განხილული იქნება 1993 წლის 21-22 ივნისს კოპენჰაგენში, ევროპული საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი და ევროკომისიის სხვა ოფიციალური წყაროები. ამ დოკუმენტების განხილვა მეტად ღიას და გამჭვირ-

ვალეს გახდის ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ზოგიერთ შტრიხს, გაამარტივებს საქართველოს გაფართოების სივრცეში ჩართვის კომპლექსურობის შემეცნებას.

1. ევროპული საბჭოს 1993 წლის კოპენჰაგენის დასკვნა

1993 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი⁵ შედგება რამდენიმე ნაწილისგან, კერძოდ:

1. ზრდა, კონკურენტუნარიანობა და უმუშევრობა

2. ერთიანი ბაზარი და საერთო პოლიტიკები

3. GATT⁶

4. გაფართოება

5. მალტასა და კვიპროსთან ურთიერთობა

6. თურქეთთან ურთიერთობა

7. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა

8. ევროპაში სტაბილურობის აქტი

9. რუსეთი

10. უკრაინა

11. ყოფილი იუგოსლავია

12. ურთიერთობა მალრიბის⁷ ქვეყნებთან

13. საგარეო საქმეთა მინისტრების შეთანხმება

14. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა - მოსამზადებელი სამუშაოები უსაფრთხოების მიმართულებით

15. გაერთიანება - უფრო ახლოს თავის მოქალაქეებთან

16. თაღლითობა, რომელიც გავლენას ახდებს გაერთიანებაზე

17. რასიზმი და ქსენოფობია

დანართი 1-ლი: 21-ე საუკუნეში შესვლა - ორიენტაციები ევროპაში ეკონომიკური განახლებისთვის

დანართი მე-2: თანამშრომლობა ასოცირებულ ქვეყნებთან - მიმართული განევრიანების მიზნისკენ

⁴ Lippert Barbara, The EU Is Set to Add Gradualist Elements to Its Enlargement Doctrine, German Institute for International and Security Affairs, #1, Jan, 2024, <<https://www.swp-berlin.org/10.18449/2024C01/>> <https://www.swp-berlin.org/publications/products/comments/2024C01_EU_Enlargement.pdf>

EUROPEAN COUNCIL IN COPENHAGEN 21-22 JUNE 1993, CONCLUSIONS OF THE PRESIDENCY, <<https://www.consilium.europa.eu/media/21225/72921.pdf>>

⁶ ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება.

⁷ აფრიკული ქვეყნები (გარკვეული სპეციფიკით და შერჩევით).

დანართი მე-3: დეკლარაცია ბოსნია-ჰერცეგოვინას შესახებ

დანართი 4: საგარეო საქმეთა მინისტრების შეთანხმება

ზემოჩამოყალიბებული სტრუქტურა კარგად ასახავს 90-იანი წლების ევროკავშირის პრიორიტეტებს, ამოცანებს და გამოწვევებს. ამ დოკუმენტით გადამწყდა ევროკავშირის სამომავლო განვითარების პოლიტიკა, რომელსაც მოჰყვა ევროკავშირის გაფართოების მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტალღები. 1993 წელს, ევროკავშირის გაფართოების თაობაზე გადამწყვეტილება მიღებულ იქნა დიდი ცვლილებების ხანაში: ბერლინის კედლის დანგრევა, საბჭოთა კავშირის დაშლა, საბჭოთა ბლოკის მოშლა, ახალი სახელმწიფოების აღმოცენება და დამოუკიდებლობა. კოპენჰაგენის დოკუმენტის მიღების დროისთვის **ავსტრია, ფინეთი და შვედეთი** უკვე განეწიანების კანდიდატი ქვეყნები იყვნენ, მათთან უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და გადამწყვეტილიც იყო გაფართოება 1995 წელს. ამდენად, კოპენჰაგენის დოკუმენტი (და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული გაფართოების ახალი კრიტერიუმები) ფაქტობრივად შეეხებოდა პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს და მათ სამომავლო განეწიებას. დოკუმენტი ადასტურებს, რომ ამ პერიოდში უკვე განიხილება **მალტასა და კვიპროსის** მიმართულებით გაფართოება; სპეციალური ყურადღებაა გამახვილებული **თურქეთის** მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების ეფექტურობის უზრუნველყოფაზე; დოკუმენტი ამკვიდრებს ტერმინს **“ევროპული შეთანხმებები”** და „ასოცირებული ქვეყნები”. **ასოცირებული ქვეყნები** განმარტებულია შემდეგნაირად: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებთანაც უკვე

დაიდო ან დაგეგმილია ევროპული შეთანხმებები ედინბურგის ევროპული საბჭოს მონოდების საფუძველზე⁸. ედინბურგის 1992 წლის ევროპული საბჭოს გადამწყვეტილება კი მიუთითებს ევროკომისიის 1992 წლის ანგარიშზე⁹, რომლის თანახმად უახლოეს ათწლეულში გაერთიანების ურთიერთობის ძირითადი ჩარჩო იქნება დაინტერესებულ ქვეყნებთან ევროპული შეთანხმებების გაფორმება. აქ აღნიშნულია, რომ მაღალი პოლიტიკური დიალოგი **ვიშეგრადის ქვეყნებთან** დაწყებულია; აუცილებელია მომზადდეს **ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ქვეყნები ევროპული ინტეგრაციისათვის**. ევროპულ შეთანხმებებს აქვთ საგარეო პოლიტიკის განზომილება; ახალი ურთიერთობები **CEE ქვეყნებისკენ** ნოდებულია როგორც „დაბრუნება ევროპაში”. აქვე აღნიშნულია, რომ ევროპული შეთანხმებები ითხოვს კანონმდებლობის აპროქსიმაციას (*approximation of legislation*) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ინტეგრაცია. სამართლებრივი გარემო მამოძრავებელი ძალაა უცხოური ინვესტიციებისა და გაუმჯობესებული გაერთიანების ბაზრისთვის. ხაზგასმულია რომ **PHARE¹⁰** იქნება მთავარი ინსტრუმენტი ეკონომიკური და ტექნიკური დახმარებისა ევროპული შეთანხმებების ფარგლებში. 1993-1997 წლებში კი PHARE-ს დახმარების მიმღები ქვეყნების იყვნენ: **ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩეხეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, ესტონეთი, FYROM^{11,12}** კომისიის 1992 წლის დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ CEE ქვეყნებთან ევროპული შეთანხმებების ფარგლებში თანამშრომლობის გარდა აუცილებელია იმის

⁸ European Council in Edinburgh, 11-12 Dec, 1992, Conclusions, <https://www.consilium.europa.eu/media/20492/1992_december_-_edinburgh__eng_.pdf>

⁹ European Commission, TOWARDS A CLOSER ASSOCIATION WITH THE COUNTRIES OF CENTRAL AND EASTERN EUROPE, Report by the Commission to the European Council Edinburgh, 11-12 December 1992 <<https://op.europa.eu/en/publication-detail/>

/publication/45ecfd2a-0ff3-11ea-8c1f-01aa75ed71a1/language-en>

¹⁰ European Community Programme which channels Economic and Technical Assistance to the countries of Central and Eastern Europe.

¹¹ former Yugoslav Republic of Macedonia.

¹² European Commission, The Phare Programme Annual Report, 24.03.1998, < <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:51998DC0178&rid=>>

გააზრება, თუ როგორ გაფართოვდეს ურთიერთობები ამ ჩარჩოს მიღმა¹³.

გაგება იმისა, თუ ვის მიიჩნევდა ევროკავშირი 1993 წლის კოპენჰაგენის სამიტზე ასოცირებულ ქვეყნებად (სამომავლო გაფართოების მიზნით), ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც იქნა მოხმობილი ზემოთ 1992 წლის ევროკომისიის დოკუმენტი. ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენში გადაწყვიტა შემდეგი: „ევროპული საბჭო დღეს თანხმდება, რომ ასოცირებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც ეს სურთ, გახდებიან ევროკავშირის წევრები. განეწიანება მოხდება მაშინვე, როგორც კი ასოცირებული ქვეყანა შეძლებს აიღოს წევრობის ვალდებულებები ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების დაკმაყოფილებით.“ პირობები კი იყო შემდეგი: „სტაბილური ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და უმცირესობათა პატივისცემა და დაცვა, ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, კონკურენტული ზენოლისა და ბაზრის ძალებთან გამკლავების უნარი ევროკავშირში, წევრობის ვალდებულებების აღების უნარი, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მიზნების დაცვა.“ ზუსტად ეს პირობებია კოპენჰაგენის კრიტერიუმები, რომლებიც წოდებულია როგორც ევროკავშირში განეწიანების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი კრიტერიუმები. ევროკავშირმა 1993 წლის დოკუმენტით მიღებული გადაწყვეტილება მოიყვანა სისრულეში და CEE ქვეყნები გაანეწიანა. გაფართოება არის ორმხრივი პროცესი: ქვეყანას უნდა და სურდეს ევროკავშირში განეწიანება, ჰქონდეს უნარი და ნება, მიიღოს კოპენჰაგენის პირობები. ევროკავშირმა კი თავის მხრივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ გაფართოებაზე, რაც სასარგებლო და უსაფრთხო იქნება ა) ევ-

როკავშირის საერთო ევროპული პოლიტიკისთვის, ბ) ნევი ქვეყნების ინტერესებისა და გ) გასანეწიანებელი ქვეყნისთვის.

კოპენჰაგენის 1993 წლის დოკუმენტმა ყურადღება გაამახვილა სხვა ქვეყნებზეც, არა მხოლოდ ევროპული შეთანხმებების ქვეშ ნაგულისხმევ ასოცირებული ქვეყნებზე. დოკუმენტი ეხება სხვა CEE ქვეყნებს, კერძოდ, ალბანეთს, აგრეთვე, ბალტიის ქვეყნებს, უკრაინას, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყანას ბოსნია-ჰერცეგოვინას. მეტიც, კოპენჰაგენის დოკუმენტი ეხება რუსეთის ფედერაციას, აღინიშნულია რა შემდეგი:

ევროპული საბჭო მიესალმა რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებებში ბოლო დროს მიღწეულ პროგრესს. გამოთქვამს იმედს ასეთი შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ გაერთიანებასა და რუსეთს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ასახავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ როლს, რომელსაც რუსეთი ასრულებს საერთაშორისო არენაზე... ევროპული საბჭო მოუთმენლად ელის რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას პოლიტიკურ სფეროში, რათა ერთობლივი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო კრიზისების მოგვარებაში. ეს განიხილება, როგორც არსებითი წვლილი მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ევროპასა და მსოფლიოში.

კოპენჰაგენის დოკუმენტი, ასევე, ეხება აფრიკის ქვეყნებთან თანამშრომლობას, კონკრეტულად ასახელებს რა ქვეყნებს და მათთან ურთიერთობის სპეციფიკას.

1993 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი არ ეხება საქართველოს. აქ, ზოგადად, აღნიშნულია, რომ ევროგაერთიანება ეხმარება საბჭოთა კავშირის ყოფილ წევრებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 90-იან წლებში ევროკავშირმა ერთგვარად შემოხაზა გაფართოების რკალი და დაასახელა ყვე-

¹³ See part 3 - BEYOND THE EUROPE AGREEMENTS, European Commission, TOWARDS A CLOSER ASSOCIATION WITH THE COUNTRIES OF CENTRAL AND EASTERN EUROPE, Report by the Commission to the European Council Edinburgh, 11-12 December 1992

<<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/45ecfd2a-0ff3-11ea-8c1f-01aa75ed71a1/language-en>>

ლა ის ქვეყანა და გეოგრაფიული მიმართულება, რომელიც დღეს უკვე ევროკავშირის წევრია და 2023 წლის გაფართოების პაკეტის ბენეფიციარია, გარდა საქართველოსი. საქართველო ამ დროს არც იყო მოაზრებული და ნაგულისხმევიც. კოპენჰაგენის დოკუმენტით, ევროკავშირმა რუსეთს შესთავაზა მშვიდობისა და კრიზის მართვის სფეროში ერთობლივი თანამშრომლობა (ამ დროს კი საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში უკვე იყო მომხდარი და მიმდინარეობდა შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში); კოპენჰაგენის დოკუმენტით, ევროკავშირმა აფრიკის ქვეყნებთან სავაჭრო და სხვა სფეროებში კავშირების გაღრმავების შტრიხებიც განსაზღვრა. კოპენჰაგენის დოკუმენტში შავი ზღვის ყველა ქვეყანა (პირდაპირ თუ ირიბად) ნახსენები, მაგრამ არა საქართველო. ამიტომაც, 2023 წლის 14 დეკემბრის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას შეგვიძლია ვუწოდოთ „კოპენჰაგენს+1“ და „პოლიტიკური სასწაული“ საქართველოს მიმართ.

2. საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში

ევროკავშირში განწევრებისას ხშირად მსჯელობენ გეოგრაფიულ კრიტერიუმზეც. 1987 წელს მაროკო მიმართა ევროკავშირს განწევრებისთვის. განცხადება უარყოფილ იქნა იმ საფუძვლით, რომ მაროკო არ არის „ევროპული“ ქვეყანა. ევროპარლამენტის განმარტებით, ევ-

როკავშირის შესახებ ხელშეკრულებით მოთხოვნილი განწევრების კრიტერიუმი, - ქვეყანა უნდა იყოს ევროპული, - შესაძლებელია განმარტებულ იქნას სხვადასხვა - გეოგრაფიულ, კულტურულ, პოლიტიკურ კონტექსტში, რამეთუ არ არსებობს ერთგვაროვანი გაგება ამ კრიტერიუმისა [„ევროპული“¹⁴]. თურქეთთან, რომელიც აზიაშია, დაიდო ასოცირების შეთანხმება, თუმცა, მიჩნეულია, რომ თურქეთი ისტორიულად „ევროპული კონცერტის“ ნაწილია. თითოეული შემთხვევა პოლიტიკური შეფასების საგანია.¹⁵ ეს პოლიტიკური შეფასებები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფაქტორზეა დაშენებული და ხშირად დროისა და სივრცის მიხედვით განსხვავდება.

ევროკომისიამ, როცა 2003 წელს გამოცა კომუნიკე უფრო ფართო ევროპის შესახებ და დაუდო საფუძველი ევროპის სამეზობლო პოლიტიკას (ENP), სქოლიოში მიუთითა, რომ სამხრეთ კავკასია, მისი მდებარეობიდან გამომდინარე ამ ინიციატივის გეოგრაფიის ფარგლებს მიღმაა.¹⁶ ამდენად, 2000-იან წლებშიც, აქაც (ევროპის სამეზობლო პოლიტიკაშიც) არ არის საქართველო ნაგულისხმევი. უკრაინა და მოლდოვა კი ამ დოკუმენტით განსაკუთრებულად საყურადღებო ქვეყნებია და ისინი განიხილებიან როგორც ინიციატივის ბენეფიციარები. მოგვიანებით, კომისია, 2004 წელს გასცემს რეკომენდაციას, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი (სამხრეთ კავკასია) ჩაერთოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში.¹⁷ ზოგადად, ხაზგასასმელია, რომ უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ევროპული ინტეგრაციისა და ევრო-

¹⁴ Niessen Annie, A History of the States' Europeanness from the EEC/EU Institutions' Perspective: (Re)considering the Current Relevance of the Institutional Interpretations in Light of the Recent Crises, EUSA International Biennial Conference, 2019, <file:///C:/Users/EKA/Downloads/NIESSEN%20A._Paper%20EUSA%20Conference_Denver%202019.pdf>

¹⁵ European Parliament, Briefing No 23, Legal questions of enlargement, <https://www.europarl.europa.eu/enlargement/briefings/23a2_en.htm>

¹⁶ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT Wider

Europe — Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours, 11.03.2003, p.4, < https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52003DC0104>

¹⁷ European Commission, COMMUNICATION FROM THE COMMISSION European Neighbourhood Policy, 12.05.2004, < https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2019-01/2004_communication_from_the_commission_-_european_neighbourhood_policy_-_strategy_paper.pdf>

კავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ლოგიკური ჯაჭვში ლოგიკურ თანმიმდევრობას იკავებდნენ რესურსების, გეოპოლიტიკის, გეოგრაფიის თვალსაზრისით, რაც არ ნიშნავს საქართველოს ჩამორჩენას ან წარუმატებლობას, არამედ ნიშნავს ევროკავშირის პოლიტიკის ხედვისა და ქმედებების თანმიმდევრობას (ამას ადასტურებს კოპენჰაგენის დოკუმენტიც, ევროკომისიის 2003 წლის კომუნიკაცია, გეოგრაფიული განგრძობადობისა და უწყვეტობის ფაქტიც და სხვა(ც)). ეს საკითხი მუდამ იყო რაციონალურად და სწორად გააზრებული საქართველოს პოლიტიკაშიც, ესმოდათ რა ამ ლოგიკის ჯაჭვის დაურღვევლობისა. ევროკავშირის პრაქტიკა, გაფართოვდეს სახმელეთო გაგრძელებით და შექმნას პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ერთიანობა (განსაკუთრებით თავისუფალი გადაადგილების სივრცე და შიდა ბაზარი ერთიანი საბაჟო კავშირით), მყარად დაკავშირებულია გეოგრაფიული ერთიანობის, უწყვეტობისა და განგრძობადობის პრინციპთან. ამიტომაც, როგორც დაც არ უნდა მიაჩნდეს საქართველოს ხალხის ნაწილს, რომ საქართველო ევროპასთან დაახლოების პოლიტიკაში უფრო დანიშნაურებული ქვეყანაა, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ლოგიკა ვერ დაიწყებოდა ზღვისგადმოღმა საქართველოთი, არამედ მუდამ იქნებოდა და იქნება მარშრუტზე - უკრაინა, მოლდოვა, საქართველო. (შენიშვნა: ვინც არაპოლარიზებულიად დაინტერესებულია ამ სამი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის რეალური შეფასებებით, კარგი იქნება გაეცნოს და შეადაროს ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშები ამ ქვეყნების შესახებ¹⁸).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროკავშირის ახასიათებს გაფართოების პოლიტიკაში რეგიონალიზმის პრინციპი, მაგალითად, გაფართოება ჩრდილოეთით, გაფართოება სამხრეთით, გაფართოება აღმოსავლეთით. როგორც, 2003 წლისა და 2004 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტებშია აღნიშნული, ასევე, შემდგომშიც არაერთ დოკუმენტში საქართველო ნახსენებია სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთობლობაში, როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყანა. თუმცა საქართველოს ევროპული პროგრესის გათვალისწინებით (აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში/EaP 2009 წლიდან), საქართველო მიჩნეულია აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყანად (სხვა 5 ქვეყანასთან ერთად), ხოლო ასოცირების შეთანხმების დადების შემდეგ (2014 წ.), საქართველო პრაქტიკულად გადაადგილდა ასოცირების ტრიოს რიგში (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) და ერთგვრად გაემიჯნა სომხეთსა და აზერბაიჯანს.

3. ევროპული ინტეგრაციის მემკვიდრეობა და საქართველო ევროპული ასოცირების პერიოდში

2019 წელს ევროკავშირისა და საქართველოს შორის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის განცხადებაში აღინიშნა, რომ EaP+მა¹⁹ გახსნა ახალი შესაძლებლობა ევროკავშირის წევრობისკენ.²⁰ 2020 წელს, საქართველოს სამთავრობო პროგრამის ნაწილი გახდა ევროკავშირში განვრცობის განცხადებისთვის მზადება 2024 წლისთვის.²¹ 2021 წლის მაისს, კიევში შედგა ასოცირების ტრიოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა²², სადაც აღნიშნულია, რომ ქვეყნები

¹⁸ European Commission, Progress reports 8 Nov, 2023, Enlargement Pack 2023, < https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/enlargement-policy/strategy-and-reports_en

¹⁹ EaP - აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომელიც მოიცავს ევროკავშირისა და ექვს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი), დეკლარაციას ხელი მოეწერა პრაღაში, 2009 წელს.

<https://www.consilium.europa.eu/media/31797/2009_eap_declaration.pdf>

²⁰ <<https://parliament.ge/en/media/news/the-positive-assessment-of-the-activity-of-georgia-for-2014-2018-by-the-eu-georgia-parliamentary-association-committee>>

²¹ <https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf>

²² Memorandum of Understanding between the Ministry of Foreign Affairs of Georgia, the Ministry of Foreign Affairs and European Integration of the Republic of Moldova and

(უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) კოორდინირებულად იმოქმედებენ და განავითარებენ ევროკავშირის ინსტიტუტებთან დიალოგის პოლიტიკას და ურთიერთთანამშრომლობას ევროკავშირში განევრების მიზნით. 2022 წელს რუსეთის ფედერაცია ხელახლა თავს დაესხა უკრაინას და წამოიწყო საომარი მოქმედებები. 2022 წელს უკრაინამ, მოლდოვამ, საქართველომ ერთმანეთის თანმიმდევრობით მიმართეს ევროკავშირს განევრების თაობაზე განცხადებით. 2022 წელსვე ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, უკრაინასა და მოლდოვას მიენიჭა კანდიდატობის სტატუსი, საქართველოს კი პოტენციური კანდიდატობის სტატუსი.²³ ერთ წელში კი ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინასა და მოლდოვასთან დაიწყო განევრების მოლაპარაკებები, საქართველოს კი მიენიჭა კანდიდატის სტატუსი.

ამჟამად, უკრაინასა და მოლდოვას აქვთ ერთი საფეხურით დაწინაურებული მდგომარეობა (რაც, ბუნებრივია და ზემოთ ახსნილია).

კანდიდატობის სტატუსის მინიჭებისა და გაფართოების თაობაზე გადაწყვეტილება ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური დღის წესრიგია, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის განსაკუთრებული უმაღლესი ეროვნული ინტერესის საგანს. გაფართოების გადაწყვეტილება არსებითად უნდა კრავდეს ევროკავშირის საერთო ევროპულ ინტერესებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს. აქ, ყველაზე დიდი სტანდარტით უნდა მუდგინდებოდეს სუპრანაციონალური და ნაციონალური, საკავშირო და ეროვნული ერთიანობა და ჰარმონია. **გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება ვერ დავინროვდება წმინდა სამართლებრივ დონემდე და ევროპული დაახლოების თუნდაც ძალიან წარმატებული ნიშნულები ვერ შექმნის პრიმატს/უპირატესობას იმ მაღალ ინტერესებზე, როგორცაა გეოპოლი-**

ტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, უსაფრთხოების პოლიტიკა, ფასეულობების თანხვედრის პოლიტიკა. თუ კარგად გავიაზრებთ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შტრიხებს და გაფართოების ინტერესებს კოპენჰაგენის დოკუმენტის შემდეგ, საქართველოს მიმართ ევროკავშირის მხრიდან გადაწყვეტილების მიღება კომპლექსური და რთული იყო. საქართველო მოქცეულია შავი ზღვის ჰეგემონი სახელმწიფოების ინტერესებს შორის (რუსეთი და თურქეთი), საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია; საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყანაა (გასათვალისწინებელია სომხეთისა და აზერბაიჯანის კონტექსტი და მათი ინტერესებიც); საქართველოს არ აქვს მდგრადი, კონკურენტუნარიანი და ინდუსტრიული ეროვნული წარმოება და ეკონომიკა; საქართველო ენერგეტიკულად (და სხვა სფეროშიც) დამოკიდებულია რუსეთზე; საქართველოში ადამიანების კეთილდღეობის ზრდის ნიშნული დაბალია, ემიგრაცია დიდია, სამომხმარებლო ფასები მნიშვნელოვნად აჭარბებს „გონივრულს“; საქართველოში უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზებაა; ევროკავშირის (და სხვა სუბიექტების) რეკომენდაციების შესრულების ზოგიერთ ასპექტს პოლიტიზირებული ბუნება აქვს; ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს პოლიტიკის თანხვედრა იმაზე ნაკლებია, ვიდრე უკრაინისა და მოლდოვასი; შედეგად, 2022 წელს ევროკავშირმა საქართველოს წინაშე დააყენა 12 პირობა პოტენციური კანდიდატობის საქართველოსთვის მინიჭებასთან ერთად. (ის ფაქტი, რომ საქართველოს ბევრი ვალდებულია აქვს შესრულებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებზე უკეთ და აქვს მიღწევები, ევროკავშირის მხრიდან უგულვებელყოფილი არ არის, პირიქით დოკუმენტურად დადასტურებულია, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, გაფართოების პოლიტიკა იმაზე მაღლა დგას, ვიდრე კონკრეტული ვალდებულებების კარგად შესრულება).

the Ministry of Foreign Affairs of Ukraine On Establishing Enhanced Cooperation on European Integration – the “Association Trio”, 2021. <<https://mfa.gov.md/ro/content/memorandum->

understanding-between-ministry-foreign-affairs-ukraine-ministry-foreign-affairs>

²³ European Council, 23-24 June 2022, Conclusions, <<https://www.consilium.europa.eu/media/57442/2022-06-2324-euco-conclusions-en.pdf>>

მეორე მხრივ, საქართველომ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შექმნა თავისი ინდივიდუალიზირებისა და გამორჩეულობის „ხმაურიანი და ჟღერადი“ პოლიტიკა - საერთაშორისო, ევროკავშირისა და რეგიონულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა, ენერგო დივერსიფიცირების პროგრამებში ჩართვა, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, კონვენციებთან, შეთანხმებებთან მიერთება, საერთაშორისო ორგანიზაციებში განევრება (90-იანი წლიდან), პროგრესისადმი მიდრეკილება, რეფორმების შოკები, ინოვაციური მიდგომები, იდეოლოგიურ-სტრატეგიული კომუნიკაცია, კორუფციასთან ბრძოლა (2004 წლიდან), რუსეთის მხრიდან უკიდურესი ზეწოლის დაძლევა, მრავალხმოვანი მოსახლეობის წინააღმდეგობების გადალახვა, პროვოკაციებთან გამკლავება, ოკუპაციით გამოწვეული უმძიმესი შედეგების შემსუბუქება და მართვა, სამართლებრივი აპროქსიმაციის უწყვეტობა (2014 წლიდან). ამას ემატება, ევროპული ფასეულობებისთვის უწყვეტი მოძრაობა, თავისუფლებისთვის დაუმორჩილებელი ბრძოლა, რამდენიმე ომი რუსეთის ფედერაცია-სთან. რა თქმა უნდა, ევროპული ინტეგრაციის 28 წლიან პერიოდში ევროკომისიის მხრიდან იყო არა ერთი მძიმე რეკომენდაციები და შენიშვნები,²⁴ თუმცა ამავდროულად, საქართველოს სახელმწიფოს და ქართველ ხალხს მიიჩნევდნენ რეფორმებისა და გამძლეობის მოდელად. საქართველომ უწყევად შეინარჩუნა ევროპული განვითარების ვექტორი და ოფიციალური ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკა ხელისუფლების ცვლილებებთან ერთად²⁵ არ შეცვლილა. მემკვიდრეობა შენარჩუნებულია.

ამ პოლიტიკურ სცენარში, ევროკავშირმა და საქართველომ ერთმანეთის მიმართ დიდი

ერთგულების აქტი განახორციელეს. ერთი მხრივ, რუსეთის მუქარის, მშვიდობის საწინააღმდეგო საფრთხეების გარემოში და უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევების ქვეშ მყოფმა ევროკავშირმა და, მეორე მხრივ, რუსეთის შანტაჟის, ომისა და დაშინების ქვეშ მყოფმა ოკუპირებულმა საქართველომ გადალახეს ერთმანეთის მიმართ ყველა პრეტენზია და წინააღმდეგობა, და ევროკავშირმა მიიღო ყველაზე შორსმიმავალი, ყველაზე ფასეულობითი, ყველაზე ვაჟაკური და ყველაზე მაღალი სტანდარტის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება - საქართველოსთვის კანდიდატობის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

4. ევროკავშირში გაფართოების მომავალი და შეჯამება

2023 წლის 14 დეკემბერს ევროკავშირმა მიიღო გაფართოების ახალი პოლიტიკა და 10 სახელმწიფო მოაქცია განევრების სივრცეში. ეს პასუხისმგებლობას უზრდის არამხოლოდ გაფართოების ქვეყნებს, არამედ, ევროკავშირსაც. დიას, ევროკავშირმა მიიღო პოლიტიკური და ფასეულობითი გადაწყვეტილება ომში მყოფი უკრაინის, ნეიტრალური და დსთ-ს წევრი მოლდოვას, სუსტი პროგრესის მქონე დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების და ზღვისგადმოღმა მყოფი საქართველოს მიმართ, მაგრამ ამიერიდან, ევროკავშირი აძლიერებს მონიტორინგს და ქვეყნების მხრიდან პირობების შესრულების დინამიკას აფასებას/შეაფასებს 6 კლასტერისა და 35 თავის²⁶ სტრუქტურის შესაბამისად.

ამავდროულად, ევროკავშირი, 2021/1529 რეგულაციის შესაბამისად, განევრებამდე დახმარების ინსტრუმენტის (IPA III)²⁷ საფუძველზე,

²⁴ დანყებული 1996 წლიდან, როცა ევროკავშირმა და საქართველომ დადეს თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმება (PCA), ვიდრე დღემდე. განსაკუთრებით, გამჭირვალეა ევროპული ინტეგრაციის დინამიკა ევროკომისიის მიერ საქართველოს ყოველწლიურ შეფასებებში, რაც მზადდებოდა და ქვეყნდებოდა 2007 წლიდან.

²⁵ საქართველოს სახელმწიფო და ხალხი უკიდურესი პოლარიზების მაგალითია. ყოველი ახალი და მომდევნო ხელისუფალი დამოუკიდებლობის

ალიარების შემდეგ, არ თანამშრომლობს წინა ხელისუფალთან, არ ალიარებს მემკვიდრეობის დადებით შედეგებს და ძირითად, წარსულის აგრესიული ძაგებით ხასიათდება.

²⁶ იხ. მაგალითი საქართველოს შეფასების დოკუმენტის საფუძველზე <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf>

²⁷ <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32021R1529>>

გამოიყენებს ქვეყნის პროგრესის შეფასების შემდეგ ინდიკატორებს:

1. პოლიტიკური კრიტერიუმები (ევროკომისია).
2. მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ევროკავშირის მიმართ (ევროკომისია/ევროკავშირის დელეგაცია).
3. ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა (ევროკომისია).
4. ეკონომიკური კრიტერიუმები (ევროკომისია).
5. სოციალურ დაცვაზე დანახარჯები - მშპ-ის % (ევროსტატი) და 20-დან 64 წლამდე პირთა დასაქმების მაჩვენებელი ჯინის კოეფიციენტის მიხედვით (ევროსტატი).
6. ციფრული უნარები (ევროსტატი).
7. ბიზნესის კეთების სიმარტივე (მსოფლიო ბანკი).
8. ენერჯის ინტენსივობა გაზომილი პირველადი ენერჯისა და მშპ-ის მიხედვით (ევროსტატი). განახლებადი ენერჯის წილი მთლიანი საბოლოო ენერჯის მოხმარებაში % (ევროსტატი).
9. სათბურის გაზების (GHG) ემისიების თავიდან აცილება (ტონა CO₂-ეკვ) IPA III მხარდაჭერით (ევროკომისია). PM 10 კონცენტრაციები ევროკავშირის დღიურ ზღვრულ მნიშვნელობასთან შედარებით (50 მკგ/მ³); (გარემოს ევროპული სააგენტო).
10. საზღვაო, სახმელეთო და მტკნარი წყლის ეკოსისტემების ტერიტორიების ა) დაცვა, ბ) მდგრადი მართვა IPA III მხარდაჭერით.
11. კეთილმეზობლური ურთიერთობები,

როგორცაა დამყარებული, ფორმალიზებული და განხორციელებული ტრანსსასაზღვრო პარტნიორობის რაოდენობა, შიდა რეგიონული ვაჭრობის პროცენტი მშპ-სთან (ეროვნული სტატისტიკა, რეგიონული თანამშრომლობის საბჭო), საზღვრის გადაკვეთის პირთა რაოდენობა/დღეში, და საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, რომლებიც კვეთენ საზღვარს ყოველდღიურად (ტრანსპორტზე დამკვირვებლები).²⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ჩართვა 2023 წლის გაფართოების პოლიტიკაში - ეს საკმაოდ კომპლექსური და რთული თემა იყო ევროკავშირისთვის. საქართველოსთვის კანდიდატობის სტატუსის მინიჭება პოლიტიკური სასწაულის სფეროც არის და მას ამიერიდან თამამად შეიძლება ეწოდოს „კოპენჰაგენს+1“. ასეთი წარმატების, პოლიტიკური ილბალისა და პროგრესის პირობებში საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოს ბიზნესს, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს, საქართველოს სამოქალაქო სექტორს და მთლიანად საქართველოს ხალხს წარმოეშობა დიდი ვალდებულება ერთიანობისა ევროპულ გზაზე, ურთიერთკრიტიკისა განვითარების გზაზე, პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერებისა ბაზრისა და ეკონომიკის მშენებლობის გზაზე, პასუხისმგებლობისა და ხალხის მსახურებისა საჯარო მმართველობის გზაზე, ჰუმანიზმისა სამართლის გამოყენებისა და კანონის უზენაესობის გაძლიერების გზაზე, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და განსხვავებულის მიმღებლობისა სულიერი განვითარების გზაზე.

²⁸ ქარდავა ე., ჭელიძე გ. ევროკავშირის ბიულეტენი, დეკემბერი, 2023, ფრიდრიხ ებერტის მხარდაჭერით, <<https://www.interpressnews.ge/ka/article/779988->

asociacia-evropis-droit-pridrix-ebertis-pondis-mxardacherit-gtavazobt-evrokavshiris-biuletens>

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა

ლევან ნანობაშვილი

ადვოკატი, იურიდიული კომპანია “ენ-ბი ლიგალის” მმართველი პარტნიორი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და საქართველოს უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი

მარიამ ლაშხი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი

1. შესავალი

სტატია ეფუძნება თემატურ მოხსენებას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე“, რომელიც მომზადდა საქართველოს პარლამენტში 2023 წელს.¹ თემატური მოხსენება მომზადდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ტექნიკური დახმარებით. თემატურ მოხსენებასა და სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციის თვალსაზრისს.

სტატიაში განხილულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრუ-

ლების მდგომარეობა. გარდა ამისა, განხილულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე.

საქართველოში საავტორო უფლებებს იცავს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, რომელიც მიღებულია 1999 წელს.² კანონში პერიოდულად შედის ცვლილებები, რათა კანონი არ ჩამორჩეს საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროგრესს.

საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს კონსტიტუციურ ორგანოებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროკავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.³ საქართველოს პარლამენტი ამ პროცესს აქტიურად უნ-

¹ თემატური მოხსენების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: parliament.ge/supervision/thematic-rapporteur (2023 წლის 20 დეკემბერი).

² საავტორო უფლებების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის “საქპატენტი” საიტზე, იხ. <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/121/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

³ იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78.

ყოფს ხელს. პოლიტიკურ დიალოგთან და ასოციაციების შეთანხმების შესრულების ზედამხედველობასთან ერთად, ამ პროცესის ნაწილია საქართველოს ეტაპობრივი ინტეგრაცია ევროკავშირის ერთიან სტრუქტურებში.

ევროკავშირთან ინტეგრაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის სამართალთან. მათ შორის, ინტეგრაციისთვის აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროკავშირთან დადებული ასოციაციების შეთანხმების პირობებთან.⁴

სტატია ეხება საავტორო სამართალს. სამართლის ეს დარგი აწესრიგებს იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენებისას.⁵ ასევე, საავტორო სამართალი აწესრიგებს შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.⁶

სავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებისთვის, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისთვის.⁷ შემოქმედებითი ინდუსტრია მოიცავს ძალიან ბევრ სფეროს და საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი გამორჩეული სექტორია.⁸ ამ ინდუსტრიას გააჩნია ძალიან დიდი პო-

ტენციური სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მხრივ.⁹ შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება კი შესაძლებელია მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.¹⁰ ამასთან გასათვალისწინებელია საქართველოს კონკურენტული უპირატესობა აღნიშნულ დარგში, რაც გამოიხატება საქართველოსა და ქართველი ხალხის შემოქმედებითი ბუნებით, რაც დასტურდება ამ მიმართულებით საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს მონივნავე პოზიციებით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ მეტ-ნაკლებად არის ათვისებული აღნიშნული პოტენციალი. ევროკავშირის გამოცდილებას რომ შევხედოთ, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები ერთობლივად ასაქმებენ ევროკავშირის სამუშაო ძალის 7.5%-ს და ქმნიან მთლიანი დამატებული ღირებულების დაახლოებით 5.3%-ს.¹¹

სავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ძირითადად თანხვედრაშია საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან. მდგომარეობა განსხვავებულია ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობის კუთხით. 2023 წლის 01 თებერვალს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანალიტიკური ანგარიში, რომელშიც შეფასებულია საქართველოს შესაძლებლობა იკისროს ვალდებულებები ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით.¹² ამ ანგარიშში დეტალურად გაანალიზებულია, თუ რას მიაღწია საქართველომ ევროკავშირის კანონთა კრებულთან (EU *Acquis communautaire*) შესაბამისობის კუთხით, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საერთო უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას.

⁴ იხ. ასოციაციების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წელი, მუხლი 153.

⁵ „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1.

⁶ იქვე.

⁷ იხ. Recital 3 of the Directive 2004/48/EC of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the enforcement of intellectual property rights.

⁸ პოლიტიკის ნარკვევი. შემოქმედებითი ინდუსტრია - მეკობრეობასთან ბრძოლა. 2020 (მომზადებულია PMCG-ის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით), გვ. 1.

https://pmcresearch.org/policypapers_file/e7a45fa056e4debc9.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹ პოლიტიკის ნარკვევი. შემოქმედებითი ინდუსტრია - მეკობრეობასთან ბრძოლა. 2020 (მომზადებულია PMCG-ის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით), გვ. 1. https://pmcresearch.org/policypapers_file/e7a45fa056e4debc9.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-02/SWD_2023_31_Georgia.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

ევროკომისიის ანგარიშის მე-7 თავი ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების სამართალს.¹³ ანგარიშის მიხედვით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სამართალს.¹⁴ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2019 წლის დირექტივა ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ არ არის სათანადოდ ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.¹⁵ დასკვნის სახით ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში საქართველოს აქვს შესაბამისობის მხოლოდ გარკვეული დონე. შესაბამისად, ამ მიმართულებით სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი კიდევ განსახორციელებელია.¹⁶ ანგარიშის მიხედვით, საქართველოში არსებობს საავტორო უფლებების აღსრულების გაუმჯობესების შესაძლებლობა.¹⁷

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ბოლომდე არ არის თანხვედრაში ევროკავშირის სამართალთან, მაგრამ ამ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის როლი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფაზე.¹⁸ აგრეთვე უნდა აღინიშნოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის “საქპატენტი” მნიშვნელოვანი როლი. გარდა ამისა, ბევრი ქართველი და უცხოელი სპეციალისტი, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაცია ეხმარება საქართველოს საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფაში.

ტექნოლოგიების განვითარება აუცილებელს ხდის საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მუდმივ გადახედვას და ახალ

რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას. თუმცა, სამართლებრივ რეგულირებას სჭირდება სწორი დროის შერჩევა. ნაადრევად მიღებულმა ნორმამ შეიძლება შეაფერხოს ტექნოლოგიის განვითარება. მეორე მხრივ, სამართლებრივი რეგულირების დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიის ქაოსური განვითარება, რისი გამოსწორება რთულია, ან ზოგჯერ – შეუძლებელიც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საკითხია ხელოვნური ინტელექტი, რომლის შესახებ საუბარია ამ სტატიაში.

მიგვაჩნია, რომ სტატიაში განხილული საკითხების უმეტესობა მოითხოვს დროულ რეაგირებას, მათ შორის, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას. თუმცა, სტატიაში ასევე განხილულია საკითხები, რომლებსაც სჭირდება დამატებითი შესწავლა. ასეთია, მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება.

სტატია ეფუძნება საქართველოსა და საზღვარგარეთ მომზადებულ კვლევებსა და პუბლიკაციებს, ასევე საქართველოს შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას. გარდა ამისა, სტატია ეფუძნება სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუსს.

სამწუხაროდ, სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო ვერ შევხებით საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. სტატია ეხება იმ საკითხებს, რომლებიც ჩავთვალეთ ყველაზე მნიშვნელოვნად.

სტატია შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში განხილულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს ძირითადი საერთაშორისო ვალდებულებები.

¹³ იქვე, გვ. 20-21.

¹⁴ იქვე, გვ. 21.

¹⁵ იქვე. იხ. აგრეთვე Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC.

¹⁶ https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-02/SWD_2023_31_Georgia.pdf, გვ. 21 (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁷ იქვე.

¹⁸ 2023 წლის 03 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის ცვლილებები, რომელთა მიზანია საავტორო ქონებრივ უფლებათა კოლექტიური მართვის სისტემის სრულყოფა, იხ. <https://parliament.ge/media/news/parlamentma-saavtoro-da-momijnave-uflebebis-shesakheb-kanonshitsvilebebs-mesame-mosmenit-mkhari-dauchira> (2023 წლის 20 დეკემბერი).

მეორე ნაწილში მოცემულია წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე. ასევე, გამოკვეთილია საკითხები, რომლებიც მოითხოვს დამატებით შესწავლას. სტატიის მესამე, დასკვნით ნაწილში მოკლედ მოცემულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

2. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების მოკლე მიმოხილვა

საუკუნეთა განმავლობაში სახელმწიფოები იცავდნენ მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების საავტორო უფლებებს, მაგრამ არა უცხოელ ავტორებს. მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაიწყო საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების ჩამოყალიბება. შემუშავდა საერთაშორისო შეთანხმებები და ჰარმონიზებულ იქნა ეროვნული კანონმდებლობები.¹⁹

მე-20 საუკუნეში ტექნოლოგიების მუდმივმა განვითარებამ აუცილებელი გახადა საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის პერიოდული გადახედვა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა დააყენა საავტორო სამართალი განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე. ტექნოლოგიურმა პროგრესმა ნაშალა დროისა და მანძილის მნიშვნელობა. ნაწარმოების ასლის დამზადება გახდა წარმოუდგენლად მარტივი და იაფი. ინტერნეტში განთავსებული ციფრული ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომია მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ წერტილსა და ნებისმიერ დროს.

ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციისა და კომუნიკაციების სფეროში კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რევოლუციის დროს.²⁰ არნახული ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად გაიზარდა საავტორო სამართლის მნიშვნელობა. ასევე, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა საავტორო

სამართლის სფეროში მოქმედმა საერთაშორისო შეთანხმებებმა. უფრო მეტიც, ტექნოლოგიების განვითარებამ აუცილებელი გახადა ახალი საერთაშორისო შეთანხმებების შექმნა, რომელთა მიზანია ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება.

რუსული ოკუპაციის პერიოდში საქართველოს არ ჰქონდა შესაძლებლობა თავად შეემუშავებინა საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა.²¹ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ საქართველომ ხელი მოაწერა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედ ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ასევე, შემუშავებულ იქნა საავტორო უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა და შეიქმნა საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმები.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველო მონაწილეობს ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. ესენია: (ა) ბერნის 1886 წლის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ; (ბ) რომის 1961 წლის კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ და (გ) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება “ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ” (ე.წ. TRIPS-ის შეთანხმება).

სტატიის შემდეგ ნაწილებში მოკლედ განხილულია ამ საერთაშორისო აქტების ძირითადი დებულებები. სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო დეტალურად ვერ განვიხილავთ ამ აქტებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

ბერნის 1886 წლის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს. პირველია საავტორო უფლებების დაცვის ეროვნული

¹⁹ იხ. დ. გაბუნია, გ. თაქთაქიშვილი, „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ (ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS-ის შეთანხმება), ანალიზი და კომენტარები. თბილისი, 2005. გვ. 3.

²⁰ იხ. World Development Report 2016: Digital Dividends, p. xiii. Washington, DC: World Bank.

<https://www.worldbank.org/en/publication/wdr2016> (2023 წლის 20 დეკემბერი).

²¹ საბჭოთა პერიოდის საავტორო სამართლის თაობაზე იხ. Dietrich A. Loeber, Socialist Features of Soviet Copyright Law, 23 COLUM. J. Transnat'l L. 297 (1985).

რეჟიმის პრინციპი - საქართველომ უნდა დაიცვას უცხოელი ავტორის უფლებები ისევე, როგორც ქართველი ავტორის. ქართველი ავტორის უფლებები კი ისევე უნდა იყოს დაცული ბერნის კონვენციის ნევრ სახელმწიფოებში, როგორც ადგილობრივი ავტორის.²² მეორე პრინციპია საავტორო უფლებების წარმოშობა რაიმე ფორმალობების გარეშე. კერძოდ, არ არის სავალდებულო ნაწარმოების რეგისტრაცია, დეპონირება ან რაიმე სხვა ფორმალობის დაცვა.²³ მესამე პრინციპია დაცვის დამოუკიდებლობა. ანუ, საავტორო უფლების საერთაშორისო დაცვა არ არის დამოკიდებული დაცვის არსებობაზე ნაწარმოების წარმოშობის სახელმწიფოში.²⁴

რომის 1961 წლის კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ იცავს კონვენციის სათაურში მითითებული სუბიექტების უფლებებს. კონვენცია ითვალისწინებს დაცვის 20 წლიან ვადას.²⁵

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (ე.წ. TRIPS-ის შეთანხმება) ნაწილობრივ ეფუძნება ბერნის კონვენციის ძირითად პრინციპებს.²⁶ ამასთან, TRIPS-ის შეთანხმება ითვალისწინებს სავალდებულო „უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს“ (ე.წ. *“Most-favoured-nation principle”*).²⁷ ამ პრინციპით, ნებისმიერი შეღავათი და უპირატესობა, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ავტორს, დაუბრკოლებლად და უპირობოდ უნდა გავრცელდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი თითოეული სახელმწიფოს ავტორზეც.²⁸

წინა პარაგრაფებში განხილული სამი საერთაშორისო შეთანხმების გარდა საქართველოს აგრეთვე ხელი აქვს მონერილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ორ მნიშვნელოვან შეთანხმებაზე: (ა) „საავტორო უფლებების შესახებ“ და (ბ) „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“.²⁹ ამ ორ შეთანხმებას ხშირად უწოდებენ „ინტერნეტის შეთანხმებებს“, რადგანაც ისინი ვრცელდება ინტერნეტთან დაკავშირებულ ურთიერთობებზეც.³⁰ „საავტორო უფლებების შესახებ“ შეთანხმება, სხვა საკითხების მონესრიგებასთან ერთად, იცავს კომპიუტერულ პროგრამებს, მათი გამოსახვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად.³¹ ასევე, შეთანხმება იცავს მონაცემთა ბაზების დამამზადებლების უფლებებს.³² „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ შეთანხმება იცავს სათაურში მითითებული სუბიექტების უფლებებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებებს ეხება საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-4 კარის მე-9 თავის მე-2 ნაწილის დებულებები. კერძოდ, ასოცირების შეთანხმებით, მხარეებმა დაადასტურეს ვალდებულება, დაიცვან უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია: (ა) ბერნის 1886 წლის კონვენციით ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ; (ბ) რომის 1961 წლის კონვენციით შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ; (გ) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებით „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (ე.წ. TRIPS-ის შეთანხმება); (დ) ინტე-

²² ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია (მიღებულია 1886 წელს, ბოლო ცვლილება შეტანილია 1979 წელს), მუხლი 5.

²³ იქვე, მუხლი 5.2.

²⁴ იქვე.

²⁵ რომის 1961 წლის კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ, მუხლი 14.

²⁶ დ. გაბუნია, გ. თაქთაქიშვილი, „საერთაშორისო საავტორო სამართალი“ (ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS-ის შეთანხმება), ანალიზი და კომენტარები. თბილისი, 2005. გვ. 155.

²⁷ იქვე, 162.

²⁸ იქვე.

²⁹ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ.

³⁰ იხ.

https://www.wipo.int/copyright/en/activities/internet_treaties.html (2023 წლის 20 დეკემბერი).

³¹ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება „საავტორო უფლებების შესახებ“, მუხლი 4.

³² იქვე, მუხლი 5.

ლექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებით “საავტორო უფლებების შესახებ” და (ე) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის “შეთანხმებით შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ.”³³

ასოცირების შეთანხმების 154-ე და 155-ე მუხლები პირდაპირ უთითებენ ავტორებისა და შემსრულებლების ზოგიერთ უფლებებზე, რომლებიც უნდა დაიცვან შეთანხმების მხარეებმა. ამ უფლებათა შორისაა ავტორისა და შემსრულებლის უფლება, ხელმისაწვდომი გახადონ ნაწარმოები ან შესრულების ჩანაწერი ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროსა და ადგილიდან (აღნიშნული უფლება გულისხმობს ხელმისაწვდომობას ინტერნეტის ქსელით).³⁴

ასოცირების შეთანხმება ასევე ავალდებულებს მხარეებს დაიცვან ფონოგრამების დამამზადებლებისა³⁵ და მაუნეებლობის ორგანიზაციების უფლებები.³⁶ ასოცირების შეთანხმება შეიცავს დეტალურ დებულებებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ვადებთან მიმართებით. მაგალითად, საავტორო უფლებები დაცული უნდა იყოს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.³⁷

წინა პარაგრაფებში განხილული საერთაშორისო შეთანხმებების დებულებები საქართველოში ძირითადად განხორციელებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით, რომელიც მიღებულია 1999 წელს.³⁸ ასოცირების შეთანხმების დებულებები აისახა

ამ კანონში 2017 წელს შეტანილი ცვლილებებით.³⁹ საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ნორმები ასევე მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში,⁴⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში,⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში⁴² და საქართველოს კანონში „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“.⁴³

სტატიის დასრულების თარიღისთვის ევროკავშირში მოქმედებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს მარეგულირებელი 13 დირექტივა და 2 რეგულაცია.⁴⁴ ამ აქტების ზოგიერთი დებულება განხილულია სტატიის შესაბამის ნაწილებში.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე

3.1. საავტორო და მომიჯნავე უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ სტატიის შესავალში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამა-

³³ იხ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წელი, მუხლი 153.

³⁴ იქვე, მუხლები 154(გ) და 155 (დ).

³⁵ იქვე, მუხლი 156.

³⁶ იქვე, მუხლი 157.

³⁷ იქვე, მუხლი 159.

³⁸ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 22.06.1999.

³⁹ იხ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ცვლილებები, მიღებულია 2017 წლის 23 დეკემბერს.

⁴⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს. თავი XLIV პრიმა 12.

⁴¹ იხ. მუხლები 157¹, 157², და 157³, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

⁴² მუხლი 189, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

⁴³ საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 13.12.2017.

⁴⁴ იხ.

[https://digital-](https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/copyright-legislation)

[strategy.ec.europa.eu/en/policies/copyright-legislation](https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/copyright-legislation)

(2023 წლის 20 დეკემბერი). იხ. აგრეთვე “თემატური მოხსენება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე”, გვ.40, parliament.ge/supervision/thematic-rapporteur (2023 წლის 20 დეკემბერი).

რთლებრივი რეგულირება საქართველოში ძირითადად თანხვედრაშია სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან. თუმცა, მდგომარეობა განსხვავებულია ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობის კუთხით. 2023 წლის 1 თებერვალს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც შეფასებულია საქართველოს შესაძლებლობა აილოს ვალდებულებები ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით.⁴⁵ ანგარიშის მიხედვით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სამართალს.⁴⁶ კერძოდ, 2019 წლის დირექტივა ციფრულ ერთიან ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ არ არის სათანადოდ ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.⁴⁷

ევროკომისიის ანგარიშში მითითებული საკითხების გარდა, საავტორო სამართლის სფეროში საქართველოში დაგროვდა გარკვეული საკითხები, რომელთა თაობაზეც აუცილებელია მსჯელობის დაწყება ან კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული საკითხების გარკვეული ნაწილი განხილულია ამ სტატიაში.

3.2. მიზანშეწონილია, რომ საქართველომ მოაწეროს ხელი მარაქემის შეთანხმებას გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან წვდომის ხელშეწყობის შესახებ უსინათლო, დაქვეითებული მხედველობის მქონე პირებისთვის და მათთვის, ვისაც სხვაგვარად შეზღუდული აქვს ბეჭდვითი ტექსტის აღქმა

მარაქემის შეთანხმება ხელმოწერილია 2013

წლის 27 ივნისს და ძალაშია 2016 წლის 30 სექტემბრიდან.⁴⁸ ამ შეთანხმების მნიშვნელობა ნათლად ჩანს მისი სათაურიდან.⁴⁹ შეთანხმება მიზნად ისახავს ნაწარმოებებთან წვდომის გაადვილებას იმ პირებისთვის, რომლებსაც შეზღუდული აქვთ ბეჭდვითი მასალის გაცნობის შესაძლებლობა.

მარაქემის შეთანხმების ხელმოწერამდე ჩატარებული კვლევებით, განვითარებულ სახელმწიფოებში ნაწარმოებების მხოლოდ 10% ვრცელდებოდა უსინათლო პირთათვის ხელმისაწვდომი ფორმით,⁵⁰ ხოლო განვითარებად სახელმწიფოებში ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო, მხოლოდ 1%.⁵¹ საქართველოში მსგავსი სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა, სტატიაზე მუშაობის პერიოდში ჩატარებული შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ უსინათლო პირთათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებების მაჩვენებელი საქართველოში ძალიან დაბალია.

სტატისტიკის მომზადების პროცესში ვესაუბრეთ საქართველოში მცხოვრებ რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც შეზღუდული აქვთ ბეჭდვითი მასალის გაცნობის შესაძლებლობა. როგორც ირკვევა, მათ არ აქვთ სათანადო წვდომა წიგნებთან და სხვა მასალასთან. ძალიან ხშირად ნაწარმოებები არ არის ადაპტირებული მათი საჭიროებისთვის. განსაკუთრებით რთულია წვდომა სასწავლო მასალასთან, რაც სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორია სწავლის პროცესში. ეს ეხება საუნივერსიტეტო სწავლასაც, სადაც სტუდენტებს არ აქვთ წვდომა ძირითად სასწავლო მასალასთან. გარდა ამისა, ბეჭდვით ნაწარმოებებთან გართულებული წვდომის გამო სტუდენტები ხშირად ვერ ერთვებიან შემოქმედებით, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში.

⁴⁵ https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-02/SWD_2023_31_Georgia.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁴⁶ იქვე, გვ. 21.

⁴⁷ იქვე. იხ. აგრეთვე Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC.

⁴⁸ https://www.wipo.int/marrakesh_treaty/en/ (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁴⁹ შეთანხმების სრული სახელწოდებაა “მარაქემის შეთანხმებას გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან წვდომის ხელშეწყობის შესახებ უსინათლო, დაქვეითებული მხედველობის მქონე პირებისთვის და მათთვის, ვისაც სხვაგვარად შეზღუდული აქვს ბეჭდვითი ტექსტის აღქმა.” ინგლისურად კი “The Marrakesh Treaty to Facilitate Access to Published Works for Persons Who Are Blind, Visually Impaired or Otherwise Print Disabled.”

⁵⁰ <https://worldblindunion.org/programs/marrakesh-treaty/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁵¹ <https://www.iapb.org/news/ending-the-book-famine-the-marrakesh-treaty/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მარაქემის შეთანხმება ძალაშია მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის წევრ 93 სახელმწიფოში.⁵² მარაქემის შეთანხმება ძალაშია ევროკავშირში 2019 წლის 01 იანვრიდან. შეთანხმების სრულად ამოქმედებისთვის ევროკავშირმა მიიღო შესაბამისი დირექტივა⁵³ და რეგულაცია.⁵⁴ აშშ-სთვის მარაქემის შეთანხმება ძალაშია 2019 წლის 08 თებერვლიდან.⁵⁵

მარაქემის შეთანხმების ხელმოწერა არ დაარღვევს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს (ისევე, როგორც არ დაარღვიეს საერთაშორისო ვალდებულებები ამ შეთანხმებაზე ხელმომწერმა სხვა სახელმწიფოებმა). მარაქემის შეთანხმება ითვალისწინებს სახელმწიფოებს შორის ისეთი ნაწარმოებების გაცვლას, რომლებიც განკუთვნილია პირებისთვის, ვისაც მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო უჭირთ ბეჭდური მასალის გაცნობა.⁵⁶ შეთანხმებით გათვალისწინებული ეს მექანიზმები ძალიან მნიშვნელოვანია და ამარტივებს ნაწარმოებებთან წვდომას შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის.

2021 წელს გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში იგეგმებოდა მარაქემის შეთანხმების ხელმოწერა.⁵⁷ თუმცა, შეთანხმება დღემდე არ არის ხელმოწერილი. მიგვაჩნია, რომ აუ-

ცილებელია შეთანხმების ხელმოწერის დაჩქარება. მისი ამოქმედების ხელშემწყობი ცვლილებები კი 2023 წლის დეკემბერში უკვე შევიდა “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონში.

2023 წლის 15 დეკემბერს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონში შევიდა ცვლილებები, რომელთა ერთ-ერთი მიზანია საქართველოს მიერ მარაქემის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ მისი ეფექტიანი იმპლემენტაცია.⁵⁸ კანონის ცვლილებებით გათვალისწინებულია კონკრეტულ ბენეფიციართა უფლება, მოახდინონ ბეჭდური და აუდიო ფორმატით არსებული ნაწარმოებების რეპროდუცირება ნებისმიერ ხელმისაწვდომ ფორმატში, პირადი მიზნით სარგებლობისთვის.⁵⁹ ამ უფლებების განხორციელება შესაძლებელია ნაწარმოების ავტორის ან საავტორო უფლებების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.⁶⁰

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს მარაქემის შეთანხმების რატიფიკაციის საკითხზე.⁶¹ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოხდეს სამუშაო ჯგუფის ინიცირება, სადაც ჩართული იქნება ყველა შესაბამისი უწყება, მათ შორის განათლების სამინისტრო, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქპატენტი”,

⁵² იხ. https://www.wipo.int/marrakesh_treaty/en/ (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁵³ Directive (EU) 2017/1564 of the European Parliament and of the Council of 13 September 2017 on certain permitted uses of certain works and other subject matter protected by copyright and related rights for the benefit of persons who are blind, visually impaired or otherwise print-disabled and amending Directive 2001/29/EC on the harmonisation of certain aspects of copyright and related rights in the information society.

⁵⁴ Regulation (EU) 2017/1563 of the European Parliament and of the Council of 13 September 2017 on the cross-border exchange between the Union and third countries of accessible format copies of certain works and other subject matter protected by copyright and related rights for the benefit of persons who are blind, visually impaired or otherwise print-disabled.

⁵⁵ “United States of America Joins WIPO’s Marrakesh Treaty as 50th Member In Major Advance for the Global Blind Community” Geneva, February 8, 2019, PR/2019/828.

https://www.wipo.int/pressroom/en/articles/2019/article_0002.html (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁵⁶ მარაქემის შეთანხმება გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან წვდომის ხელშემწყობის შესახებ უსინათლო, დაქვეითებული მხედველობის მქონე პირებისთვის და მათთვის, ვისაც სხვაგვარად შეზღუდული აქვს ბეჭდვითი ტექსტის აღქმა, მუხლი 5.

⁵⁷ https://www.sakpatenti.gov.ge/ka/news_and_events/325/ (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁵⁸ იხ. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 2023 წლის 15 დეკემბრის ცვლილებები.

⁵⁹ იხ. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 23 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იხ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ“ სამოქმედო გეგმების შესრულების 2022 წლის წლიური ანგარიში, გვ. 51, info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/350083 (2023 წლის 20 დეკემბერი).

იუსტიციის სამინისტრო და სხვა დაინტერესებული მხარეები, რომელთა მუშაობის ძირითადი მიმართულება იქნება რატიფიკაციისათვის საჭირო ყველა ქმედებების იდენტიფიცირება.

საავტორო სამართალი არ უნდა ზრუნავდეს მხოლოდ ავტორთა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელთა ინტერესებზე. ავტორთა ინტერესები დაცული უნდა იყოს, მაგრამ საზოგადოების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს წვდომა გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან, კანონით დამკვიდრებულ ფარგლებში. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ნაწარმოებებთან წვდომის გაადვილება და ამ მიმართულებით ყველა აუცილებელი ნაბიჯის გადადგმა.

3.3. სასურველია, რომ საქართველოში დაინიშნოს მსჯელობა აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ ბეიჯინგის 2012 წლის საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე

აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ ბეიჯინგის 2012 წლის საერთაშორისო შეთანხმება იცავს შემსრულებლების (მსახიობები, მოცეკვავეები, მომღერლები, მუსიკოსები და სხვა) უფლებებს აუდიოვიზუალური ფორმით ფიქსირებულ შესრულებებზე (ასეთია შესრულების ვიდეო ჩანაწერი, ხმის თანხლებით ან უამისოდ). ბეიჯინგის შეთანხმება ძალაშია 2020 წლიდან. ევროკავშირმა მოაწერა ხელი ამ შეთანხმებას 2013 წელს,⁶² თუმცა, ჯერ არ მოუხდენია მისი რატიფიკაცია.⁶³

ბეიჯინგის შეთანხმება ანიჭებს შემსრულებლებს აუდიოვიზუალური შესრულების რეპროდუცირების⁶⁴, გაქირავების⁶⁵ და საჯარო (მათ შორის, ინტერნეტის ქსელით) გავრცელების უფლებას.⁶⁶ შეთანხმება ასევე იცავს შემსრულებლების უფლებებს ე.წ. “ცოცხალ” შესრულებებზე.⁶⁷ ქონებრივ უფლებებთან ერთად, შეთანხმება იცავს შემსრულებლების ორ პირად უფლებას: სახელის უფლებასა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებას.⁶⁸

მსჯელობა აუდიოვიზუალური შესრულებების საერთაშორისო დაცვის თაობაზე მიმდინარეობდა დიდი ხნის განმავლობაში.⁶⁹ თუმცა, ბოლო პერიოდში ამ საკითხმა შეიძინა განსაკუთრებული აქტუალურობა. ციფრულმა ჩანაწერებმა, ხელოვნურმა ინტელექტმა და სხვა ინოვაციებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს აუდიოვიზუალური შესრულების გამოყენების ფარგლები. აუდიოვიზუალური ჩანაწერები თავისუფლად ვრცელდება ინტერნეტში და შემსრულებლები ვერ აკონტროლებენ ამ პროცესს. შეიქმნა ე.წ. “Deep fake”-ის ტექნოლოგია, რომლის შესაძლებლობები ფაქტობრივად უსაზღვროა.⁷⁰ ახალი ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ერთობლივი გამოყენებით შესაძლებელია გარდაცვლილი შემსრულებლების გამოსახულებისა და ხმის “გაცოცხლება”.⁷¹ ამ და ბევრმა სხვა ინოვაციამ გაამწვავა აუდიოვიზუალურ შესრულებაზე უფლებების საერთაშორისო დაცვის აუცილებლობა.⁷²

სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმომწერია საქართველო, ძირითა-

⁶² იხ. 2013/275/EU: Council Decision of 10 June 2013 on the signing, on behalf of the European Union, of the Beijing Treaty on Audiovisual Performances.

⁶³ <https://www.aepo-artis.org/policy/beijing-treaty/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁶⁴ ბეიჯინგის საერთაშორისო შეთანხმება აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ, მუხლი 7.

⁶⁵ იქვე, მუხლი 9.

⁶⁶ იქვე, მუხლები 10 და 11.

⁶⁷ იქვე, მუხლი 6.

⁶⁸ იქვე, მუხლი 5.

⁶⁹ იხ. ლევან ნანობაშვილი, “შემსრულებლების საერთაშორისო დაცვა მათ აუდიოვიზუალურ შესრულებებზე.” ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლის საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი

(GEPLAC), ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 წლის მე-2 და მე-3 კვარტალი, გვ. 398.

⁷⁰ ე.წ. “Deep Fake”-ის თაობაზე იხ. Regina Rini & Leah Cohen, *Deepfakes, Deep Harms*, 22 J. Ethics & Soc. PHIL. 143 (2022).

⁷¹ იხ. ელვის პრესლის “გაცოცხლებული” შესრულება America's Got Talent კონკურსზე, <https://www.youtube.com/watch?v=Jr8yEgu7sHU> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁷² იხ. ლევან ნანობაშვილი, “შემსრულებლების საერთაშორისო დაცვა მათ აუდიოვიზუალურ შესრულებებზე.” ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლის საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი (GEPLAC), ქართული სამართლის მიმოხილვა, 2004 წლის მე-2 და მე-3 კვარტალი, გვ. 398.

დად ეხება მხოლოდ აუდიო (ხმოვან) და არა აუდიოვიზუალურ შესრულებებს. ასეთია, მაგალითად, რომის 1961 წლის საერთაშორისო კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამების დამამზადებლის და მაუნეებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 1996 წლის შეთანხმება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ.⁷³

მიგვაჩნია, რომ ბეიჯინგის შეთანხმების ხელმონერა ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრები მსახიობების, მომღერლებისა და სხვა შემსრულებლების უფლებების საერთაშორისო დაცვას მათ აუდიოვიზუალურ შესრულებებზე. გარდა ამისა, შეთანხმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ქართული ფოლკლორული ცეკვებისა და სიმღერების შემსრულებელთა უფლებების საერთაშორისო დაცვისთვის.

შეთანხმების ხელმონერამდე მიზანშეწონილია კონსულტაციების გამართვა შემოქმედებითი სფეროს ყველა წარმომადგენელთან, მათ შორის მომღერლებთან, მსახიობებთან, მოცეკვავეებთან, და პროდიუსერებთან. ასევე, სასურველი იქნება კვლევის ჩატარება იმის დასადგენად, თუ რა გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული საქართველოს მიერ ბეიჯინგის შეთანხმების ხელმონერა.

3.4. სასურველია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის 2019 წლის დირექტივასთან “ერთიანი ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”

ევროკომისიის 2023 წლის 01 თებერვლის ანგარიშის მიხედვით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სამართალს.⁷⁴ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის 2019 წლის დირექტივა (790) “ერთიანი ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” არ არის სათანადოდ ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.⁷⁵

დირექტივა “ერთიანი ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” მიღებულ იქნა 2019 წლის 17 აპრილს და ძალაში შევიდა 2019 წლის 07 ივნისს.⁷⁶ დირექტივა წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის საავტორო სამართლის ჰარმონიზების გზაზე და შეიცავს ბევრ მნიშვნელოვან ნორმას.⁷⁷ დირექტივა ადგენს საავტორო უფლებების გამონაკლისებს ციფრულ გარემოში, მათ შორის ანესრიგებს ნაწარმოებების გამოყენებას სწავლების მიზნით.⁷⁸ დირექტივას “საავტორო სამართლის რევიზიის კი უწოდეს.”⁷⁹ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მიეცათ ორწლიანი ვადა, რათა მიეღოთ შიდა კანონმდებლობა დირექტივის მოთხოვნების განსახორციელებლად.⁸⁰

დირექტივის ზოგიერთი ნორმა კომპლექსურია, მათ შორის, მე-17 მუხლი, რომელიც ეხება

⁷³ იხ. აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ ბეიჯინგის 2012 წლის შეთანხმების პრეამბულა.

⁷⁴ https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-02/SWD_2023_31_Georgia.pdf, გვ. 21, (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁷⁵ იქვე. იხ. აგრეთვე Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ Ferri, F. The dark side(s) of the EU Directive on copyright and related rights in the Digital Single Market. China-EU

Law J 21, 26 (2021). <https://doi.org/10.1007/s12689-020-00089-5> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁷⁸ Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC, მუხლი 5.

⁷⁹ Ferri, F. The dark side(s) of the EU Directive on copyright and related rights in the Digital Single Market. China-EU Law J, 21 (2021). <https://doi.org/10.1007/s12689-020-00089-5> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁸⁰ Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC, მუხლი 29.

ინტერნეტ პროვაიდერებს.⁸¹ მე-17 მუხლი ადგენს ახალ მიდგომას ინტერნეტის მომხმარებლების მიერ შექმნილ და ატვირთულ ნაწარმოებებთან მიმართებით (ე.წ. “User-generated content”). დირექტივა გაცილებით მეტ ვალდებულებას აკისრებს ინტერნეტ პროვაიდერებს, ვიდრე ეს ხდებოდა ადრე. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის განხორციელებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა ევროკავშირის სახელმწიფოებში. პოლონეთმა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსაც (the Court of Justice of the European Union) კი მიმართა, დირექტივის მე-17 მუხლის ნაწილობრივი ბათილობის მოთხოვნით.⁸² პოლონეთის აზრით, მე-17 მუხლი ზღუდავდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ინტერნეტის სივრცეში.⁸³ თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა პოლონეთის არგუმენტები.⁸⁴

მნიშვნელოვანია, რომ დირექტივის მოთხოვნები დროულად აისახოს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონში. ამასთან, დირექტივის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია ევროკავშირის ექსპერტების ჩართვა დირექტივის ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის პროცესში. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების დროს გასათვალისწინებელი იქნება მე-17 მუხლთან დაკავშირებით ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (the Court of Justice of the European Union) განმარტებებიც.⁸⁵

3.5. მიზანშეწონილია დაიწყოს მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილი ნაწარმოებების სამართლებრივი დაცვის თაობაზე

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია ვითარდება ძალიან სწრაფად. ყოველდღე ჩვენ გვემის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ახალ-ახალი შესაძლებლობების თაობაზე, ჯანმრთელობის დაცვის, შრომითი ურთიერთობების, საბანკო და ბევრ სხვა სფეროში. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის განვითარება დაკავშირებულია რისკებთანაც. ზოგჯერ ამ ტექნოლოგიას “კაცობრიობის უკანასკნელ გამოგონებასაც” კი უწოდებენ.⁸⁶

ხელოვნურ ინტელექტსა და ინტელექტუალურ საკუთრებას აქვთ გადაკვეთის ბევრი წერტილი. ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მიზანია ინოვაციებისა და შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირება.⁸⁷ ხელოვნური ინტელექტი კი მნიშვნელოვანი ინოვაციაა, რომლის განვითარებას სჭირდება შემოქმედებითი მიდგომა. ხელოვნური ინტელექტი თავადაც უწყობს ხელს ინოვაციებს და ახალი შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას.

საუკუნეების განმავლობაში ეჭვს არ იწვევდა მარტივი ჭეშმარიტება, რომ ნაწარმოების შექმნა შეეძლო მხოლოდ ადამიანს. საავტორო სამართალიც ყოველთვის ეფუძნებოდა ამ პრინციპს. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ უთითებს, რომ ნაწარმოების ავტორი მხოლოდ ფიზიკური პირია.⁸⁸

ხელოვნურმა ინტელექტმა წაართვა ადამი-

⁸¹ Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC, მუხლი 17.

⁸² პოლონეთი ითხოვდა ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ დირექტივის (2019/790) 17.4(ბ) და 17.4(ვ) მუხლების ბათილობას. იხ. Judgment of the Court (Grand Chamber) of 26 April 2022. Republic of Poland v European Parliament and Council of the European Union. Case C-401/19, პარაგრაფები 12-15.

⁸³ იხ. Judgment of the Court (Grand Chamber) of 26 April 2022. Republic of Poland v European Parliament and Council of the European Union. Case C-401/19.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ იქვე, პარაგრაფი 99.

⁸⁶ იხ. James Barrat. Our Final Invention: Artificial Intelligence and the End of the Human Era. Thomas Dunne Books, 2013.

⁸⁷ WIPO revised Issues Paper of 29 May 2020 on Intellectual Property Policy and Artificial Intelligence, გვ. 1 https://www.wipo.int/edocs/mdocs/mdocs/en/wipo_ip_ai_2_ge_20/wipo_ip_ai_2_ge_20_1_rev.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁸⁸ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4(ა).

ანს მონოპოლია ნაწარმოების ავტორობაზე. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას ახალი ნაწარმოები, მაგალითად, ნახატი, მოთხრობა ან მელოდია.⁸⁹ ვის ნაწარმოებობა საავტორო უფლება ასეთ ნაწარმოებზე? საერთოდ რამდენად უნდა გავრცელდეს მასზე საავტორო უფლებები? ამ ეტაპზე არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხის მიმართ. შესაბამისი მსჯელობა მიმდინარეობს სხვადასხვა სახელმწიფოში.⁹⁰ ევროკავშირი ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია და მომზადებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი.⁹¹

სტატიაზე მუშაობის პერიოდში ფაქტობრივად ყოველდღიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ. განსაკუთრებით კი ე.წ. "ChatGPT"-ს თაობაზე.⁹² იგი ხელოვნური ინტელექტია, რომელმაც იცის უამრავი სფერო და შეუძლია ადამიანის მიერ დასმულ შეკითხვებზე დეტალური პასუხის გაცემა. ასევე, "ChatGPT"-ს შეუძლია კომპიუტერული პროგრამის დაწერა, არსებულ პროგრამაში შეცდომების პოვნა, მელოდიის შექმნა, ტექსტების დაწერა და ბევრი სხვა ამოცანის შესრულება.⁹³ ყველაფერთან ერთად, მას აქვს იუმორის გრძნობაც.⁹⁴

სასურველია, რომ საქართველომ ყურადღებით ადევნოს თვალი სხვადასხვა სახელმწიფოში მიმდინარე მსჯელობას ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირების თაობაზე. მათ შორის, ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ნაწარმოების სამართლებრივი დაცვის შესახებ.

2023 წელს საქართველოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ იქნა "ხელოვნური ინტელექტის საქართველოს ეროვნული სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები."⁹⁵ ამ კვლევის მიზანი იყო ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგიის მისაღებად სახელმძღვანელო პრინციპებისა და დარგობრივი მიდგომების შემუშავება. კვლევაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის დანერგვის საკითხი განათლების სფეროში, იუსტიციის, სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში, აგრარულ, ჯანდაცვის, ტურიზმის, და საჯარო ფინანსების სექტორებში. კვლევაში ასევე განხილულია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები, პოტენციალი და რისკები.⁹⁶

2023 წლის დეკემბერში ევროპის კავშირის საბჭომ და ევროპის პარლამენტმა მიაღწიეს პო-

⁸⁹ <https://www.youtube.com/>-ზე ატვირთულია ხელოვნური ინტელექტით შექმნილი უამრავი მუსიკალური ნაწარმოები. იხ.

<https://www.youtube.com/watch?v=Emidxpkyk6o> (2023 წლის 20 დეკემბერი). და

<https://www.youtube.com/watch?v=03xMlcYiB80> (2023 წლის 20 დეკემბერი). აგრეთვე,

<https://www.nexttrembrandt.com/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹⁰ იხ. მაგალითად *James Grimmelmann*, There's No Such Thing as a Computer-Authored Work - And It's a Good Thing, Too, 39 COLUM. J.L. & Arts 403, 414 (2016).

⁹¹ იხ. European Parliament resolution of 20 October 2020 on intellectual property rights for the development of artificial intelligence technologies (2020/2015(INI)). აგრეთვე, the Commission White Paper of 19 February 2020 entitled 'Artificial Intelligence - A European approach to excellence and trust' (COM(2020)0065); European Parliament resolution of 20 October 2020 on a framework of ethical aspects of artificial intelligence, robotics and related technologies, 2020/2012(INL); European Parliament resolution of 20 October 2020 on a civil liability regime for artificial intelligence, 2020/2014(INL); European Parliament resolution of 20 October 2020 on intellectual property rights for the development of artificial

intelligence technologies; 2020/2015(INI), European Parliament Draft Report, Artificial intelligence in criminal law and its use by the police and judicial authorities in criminal matters, 2020/2016(INI), და European Parliament Draft Report, Artificial intelligence in education, culture and the audiovisual sector, 2020/2017(INI).

⁹² <https://openai.com/blog/chatgpt> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹³ *Tung, Liam*, "ChatGPT can write code. Now researchers say it's good at fixing bugs, too". ZDNET. <https://www.zdnet.com/article/chatgpt-can-write-code-now-researchers-say-its-good-at-fixing-bugs-too/>(2023 წლის 20 დეკემბერი) და *Heilweil, Rebecca*. "AI is finally good at stuff. Now what?". Vox. <https://www.vox.com/recode/2022/12/7/23498694/ai-artificial-intelligence-chat-gpt-openai> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹⁴ იხ. <https://twitter.com/gfodor/status/1598916489993940993> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹⁵ იხ. <https://btu.edu.ge/ai/kvleva/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹⁶ იქვე.

ლიტიკურ შეთანხმებას ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით.⁹⁷ ამ შეთანხმებით, ევროკავშირის მიერ მიღებულმა მარეგულირებელმა ნორმებმა უნდა დაიცვას ხელოვნური ინტელექტის რისკებისგან ძირითადი უფლებები, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და გარემოს მდგრადობა.⁹⁸ ამავდროულად, მარეგულირებელმა ნორმებმა ხელი უნდა შეუწყონ ხელოვნური ინტელექტის განვითარებას, რის შედეგადაც ევროკავშირმა უნდა დაიკავოს მონინავე რიგები ამ სფეროში.⁹⁹

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხები არ არის მხოლოდ თეორიული. საქართველოში შესაბამისი რეგულირების დროული მიღება განჭვრეტადს გახდის ამ ტექნოლოგიის გამოყენების ფარგლებს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კვლევების განხორციელებას, ინვესტიციების მოზიდვას და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის განვითარებას.

3.6. სასურველია, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სტრატეგია ინტერნეტ „მეკობრეობის“ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები ერთხ-

მად უთითებდნენ საქართველოში ინტერნეტ მეკობრეობის საგანგაშო დონეზე.¹⁰⁰ ზოგიერთი შეფასებით, ქართულ ინტერნეტში ფილმების 90% მეკობრულად იყო განთავსებული.¹⁰¹ მეკობრეობის დონეზე უთითებდა ინტერნეტის სტატისტიკაც: კინოფილმების მეკობრულ საიტებს ჰყავდათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი აუდიტორია საქართველოში. მაგალითად, 2019 წელს კინოფილმების ერთ-ერთ მსხვილ მეკობრულ საიტს ჰყავდა 45 000 მნახველი დღეში.¹⁰² 2020 წელს კი მნახველთა რაოდენობა გაიზარდა 58 000-მდე.¹⁰³ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პანდემიის პერიოდში - 90 000 მნახველი დღეში 2020 წლის აპრილში.¹⁰⁴

ზოგიერთი შეფასებით, მხოლოდ ერთ მსხვილ ქართულ მეკობრულ საიტზე განთავსებული იყო 25 000-ზე მეტი კინოფილმი.¹⁰⁵ შედარებისთვის, Netflix-ის სრული კატალოგი 2022 წელს შედგებოდა დაახლოებით 3 600 ფილმისგან და 1 800 სატელევიზიო გადაცემისგან.¹⁰⁶

მეკობრეობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და ამცირებს კანონიერ გაყიდვებს.¹⁰⁷ გარდა ამისა, მეკობრეობა ამცირებს აუდიოვიზუალურ სფეროში მომუშავე იმ კომპანიების შემოსავლებს, რომლებიც ქმნიან კინოფილმებს ან ახორციელებენ დისტრიბუციას.¹⁰⁸

⁹⁷ იხ. <https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20231206IPR15699/artificial-intelligence-act-deal-on-comprehensive-rules-for-trustworthy-ai> (2023 წლის 20 დეკემბერი).

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ იხ. პოლიტიკის ნარკვევი. შემოქმედებითი ინდუსტრია - მეკობრეობასთან ბრძოლა. 2020 (მომზადებულია PMCG-ის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით), გვ. 6.

https://pmcresearch.org/policypapers_file/e7a45fa056e4debc9.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი). საავტორო უფლებების სფეროში მეკობრეობის შესახებ იხ. არამ სინრაიქი, ინტელექტუალური საკუთრება, (ქართული გამოცემა), ქარჩხაძის გამომცემლობა, 2022, გვ. 259 - 288.

¹⁰¹ იხ. <https://bm.ge/ka/article/kanonproeqti-internetshimekobrebis-winaagmdg---rogor-daicaven-tavs-avtorebi/103428> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁰² <https://bm.ge/en/article/the-most-watched-films-and-tv-shows-online-in-georgia-during-2020-/69580> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ იქვე.

¹⁰⁵ ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრის მიერ.

¹⁰⁶ იხ. <https://www.justwatch.com/us/provider/netflix> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁰⁷ მეკობრეობის გავლენის შესახებ იხ. პოლიტიკის ნარკვევი. შემოქმედებითი ინდუსტრია - მეკობრეობასთან ბრძოლა. 2020 (მომზადებულია PMCG-ის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით), გვ. 11. https://pmcresearch.org/policypapers_file/e7a45fa056e4debc9.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁰⁸ იხ. პოლიტიკის ნარკვევი. შემოქმედებითი ინდუსტრია - მეკობრეობასთან ბრძოლა. 2020 (მომზადებულია PMCG-ის მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით), გვ. 10. https://pmcresearch.org/policypapers_file/e7a45fa056e4debc9.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

ინტერნეტის გლობალური ხასიათის გამო, ქართული მეკობრული საიტები ხელმისაწვდომია სხვა სახელმწიფოებშიც. პირდაპირი უარყოფითი შედეგების გარდა, მეკობრეობას აქვს ირიბი შედეგებიც — ზიანდება საქართველოს საერთაშორისო რეპუტაცია და ადგილობრივ კინოინდუსტრიას ხელი ეშლება საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებაში.¹⁰⁹

სასურველია, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ინტერნეტ მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც გაწერილი იქნება ხანგრძლივ პერიოდზე. მეკობრეობასთან ბრძოლა მოითხოვს კოორდინირებულ ღონისძიებებს, რომლებშიც ჩართულები უნდა იყვნენ სახელმწიფო უწყებები, კერძო კომპანიები და საავტორო უფლებების მფლობელები. გარდა ამისა, ბრძოლა უნდა ატარებდეს მუდმივ ხასიათს, რადგანაც ერთჯერადი ან პერიოდული ღონისძიებები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. ამავდროულად, ინტერნეტ მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლამ არ უნდა შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში.

მნიშვნელოვანია, რომ მეკობრული საიტების დახურვასთან ერთად მომხმარებლებს კანონიერად მიეწოდოს კინოფილმები. საიტების მხოლოდ დახურვა და ნაწარმოებებთან წვდომის შეზღუდვა არ არის საკმარისი პრობლემის გადასაწყვეტად. საქართველოში არსებობს რამდენიმე ვებგვერდი, რომელიც სთავაზობს მომხმარებლებს წვდომას ლეგალურად მოპოვებულ კინოფილმებზე.¹¹⁰ თუმცა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის კინოთეატრში სიარული ან ლეგალური საიტის ნახვის უფლების შექმნა ფუფუნების საგანია. მიუხედავად იმისა,

რომ კინოთეატრის ბილეთის ფასი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია რეგიონალურად.¹¹¹ ცალკე პრობლემაა, რომ ბევრ რეგიონსა და ქალაქში კინოთეატრები საერთოდ არ ფუნქციონირებს.¹¹² შესაბამისად, ხშირად მეკობრული საიტები არის არა არჩევანი, არამედ კინოფილმების ხელმისაწვდომი ერთადერთი წყარო.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვერც ერთი სახელმწიფო სრულად ვერ აკონტროლებს ინტერნეტს. ინტერნეტში ნებისმიერი შეზღუდვის შემოღების შემდეგ შეიქმნება ახალი საიტები, რომელთა მიზანი იქნება შეზღუდვებისთვის გვერდის ავლა. ამიტომ, ინტერნეტში მეკობრეობასთან ბრძოლა მუდმივი პროცესია.

3.7. ინტერნეტ “მეკობრეობასთან” ბრძოლის გაგრძელება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის არაერთხელ მიუმართავთ უცხოურ კინოკომპანიებს, რომელთა უფლებები ირღვევა ქართულ ვებ-საიტებზე: Walt Disney Studios Motion Pictures, Netflix Studios, Paramount Pictures Corporation, Sony Pictures Entertainment, Universal City Studios, Warner Brothers Entertainment და სხვებს.¹¹³ კომისიამ კი თავის მხრივ არაერთხელ გააფრთხილა მეკობრული ვებ-გვერდები, რომ საქმიანობა გაეგრძელებინათ საავტორო უფლებების დაცვით.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ <https://www.radiotavisupleba.ge/a/32001274.html> (2023 წლის 20 დეკემბერი). ასევე <https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-dattendantsiebi/ratom-gaitisha/434089> (2023 წლის 20 დეკემბერი). ნეტფლიქსი ხელმისაწვდომია საქართველოში 2016 წლიდან. <https://www.comcom.ge/ge/news/press-releases/netfliqsi-msoflios-ert-erti-wamyvani-internet-televiziis-qseli-saqartvelos-mosaxleobistvisac-xelmisawvdomi-gaxda.page> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹¹¹ იხ. <https://commerciant.ge/ge/post/ra-girs-kinos-biletitbilissa-da-msoflios-qalaaqebshi> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹¹² იხ. “ფილმების არალიცენზირებული გავრცელება, კინოფესტივალებში მათი მონაწილეობისა და წარმატების შანსსაც აფერხებს” <https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-dattendantsiebi/filmebis/435624> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹¹³ ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, 2022 წლის 14 დეკემბრის №გ-22-04/2983 წერილით.

თუმცა, ვებ-გვერდებისთვის მიცემული გაფრთხილებები უშედეგო აღმოჩნდა.¹¹⁴

2022 წელს კინოფილმების ინტერნეტ მეკობრეობასთან მიმართებით მდგომარეობა საქართველოში არსებითად შეიცვალა. კომისიის მოთხოვნით საქართველოში გაითიშა ბევრი არალეგალური საიტი და შეიზღუდა წვდომა უცხოურ არალეგალურ საიტებთან. კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წელს კომისიამ მოითხოვა პროვაიდერებისგან 200-მდე მეკობრულ საიტთან წვდომის შეზღუდვა.¹¹⁵

კომისია მუდმივად ახორციელებს ინტერნეტის მონიტორინგს, რადგანაც ახალი მეკობრული საიტები ჩნდება ფაქტობრივად ყოველკვირეულად.¹¹⁶ პრობლემას ასევე ქმნის რუსული საიტები, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოში და რომლებზეც საავტორო უფლებების დარღვევის მასშტაბი სცდება ყოველგვარ ზღვარს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსული საიტები ცდილობენ ქართული აუდიტორიიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას და ზოგჯერ ავრცელებენ ქართველ მომხმარებლებზე გამიზნულ რეკლამას.¹¹⁷

ბოლო დრომდე კომისიას ხელი ეშლებოდა ინტერნეტში მეკობრეობასთან ბრძოლის საქმეში, რადგანაც საქართველოს კანონმდებლობით ვებ-საიტები არ ექვემდებარებოდნენ ავტორიზაციას და არ შედიოდნენ კომისიის პირდაპირი რეგულირების სფეროში.¹¹⁸ თუმცა, 2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კომისიის კომპეტენცია.

2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარ-

ლამენტმა მიიღო “მაუწყებლობის შესახებ” კანონის ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ინტერნეტის რეგულირება. ცვლილებებით განიმარტა “გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი”. ასეთი პირი თავად განსაზღვრავს თავისი პროგრამების კატალოგს და მომხმარებელს შეუძლია უყუროს ამ პროგრამებს მის მიერ შერჩეულ დროს.¹¹⁹ ცვლილებებით ასევე განიმარტა “ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურება” და ასეთი მომსახურების მიმწოდებელი. განსხვავებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლისგან, ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი თავად არ განსაზღვრავს პროგრამების კატალოგს და აწვდის საზოგადოებას უშუალოდ მომხმარებლების მიერ შექმნილ ვიდეომასალას.¹²⁰

“მაუწყებლობის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებით, გამოძახებით მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურება დაექვემდებარა ავტორიზაციას კომისიის მხრიდან.¹²¹ ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებული იქნება მიუთითოს თავის ვებგვერდზე სახელი, იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.¹²² ასეთი ინფორმაციის არსებობა გაუადვილებს საავტორო უფლების მფლობელებს ავტორიზებულ პირებთან კომუნიკაციას. “მაუწყებლობის შესახებ” კანონმა შემოიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე — ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია შექმნას გამჭვირვალე და მოსახერხებელი მექანიზმი, რათა მომხმარებლებმა შეატყობინონ პლატფორმაზე კანონის დარღვევის შესახებ.¹²³

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, 2022 წლის 14 დეკემბრის №გ-22-04/2983 წერილით.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 2 (ტ, პრიმა 3).

¹²⁰ იქვე, მუხლი 2(ს, პრიმა მე-4).

¹²¹ იქვე, მუხლები 36 პრიმა 2 და 45 პრიმა 1. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურებისა და ვიდეოგა-

ზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც “მაუწყებლობის შესახებ” კანონის ამოქმედების მომენტისთვის ახორციელებენ საქმიანობას, ვალდებულნი არიან გაიარონ ავტორიზაცია კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში, იხ. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2022 წლის 22 დეკემბრის კანონი, მუხლი 2.

¹²² იქვე, მუხლი 45 პრიმა 1, პუნქტი 13.

¹²³ იხ. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2022 წლის 22 დეკემბრის კანონი, მუხლი 45 პრიმა 6, “გ” ქვეპუნქტი.

“მაუნყებლობის შესახებ” კანონის ცვლილებებმა პირდაპირ მიანიჭა კომისიას უფლებამოსილება გააკონტროლოს მედიაომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმების მომსახურების სფეროებში “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონმდებლობის შესრულება.¹²⁴ იმედა, რომ “მაუნყებლობის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებები გაუადვილებს კომისიას ინტერნეტში მეკობრეობასთან ბრძოლას. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებელი იქნება “მაუნყებლობის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება.

3.8. ინტერნეტ „მეკობრეობთან“ ბრძოლის გააქტიურება საავტორო უფლებების მფლობელთა მხრიდან

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბრძოლა ონლაინ მეკობრეების წინააღმდეგ მნიშვნელოვანია და ეფექტიანი. თუმცა, სასურველია, რომ უშუალოდ საავტორო უფლებების ქართველმა მფლობელებმა უფრო აქტიურად დაიცვან თავიანთი უფლებები. შესაბამისი მექანიზმები დიდი ხანია მოქმედებს საზღვარგარეთ, მათ შორის, ევროკავშირში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საავტორო უფლებების მფლობელთა გააქტიურება უცხოური ინტერნეტ გვერდების წინააღმდეგ, სადაც არალეგალურად განთავსებულია ქართველი ავტორების ნაწარმოებები.

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ელექტრონული კომერციის შესახებ,” რომელიც ანესრიგებს შუალე-

დური მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხებს.¹²⁵ აგრეთვე, მზადდება ცვლილება “საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ საქართველოს კანონში, რომელიც დაარეგულირებს შუალედური მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას და ე.წ. “შეტყობინებისა და აღების” სისტემას.¹²⁶ ეს მექანიზმი მოიცავს პროვაიდერებისთვის შეტყობინების გაგზავნასა და უფლებების სავარაუდო დამრღვევ მასალაზე წვდომის შეზღუდვას. აღნიშნული ცვლილებები იქნება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ინტერნეტის სივრცეში მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

საავტორო უფლების მფლობელის პირდაპირი მიმართვა ინტერნეტ-პროვაიდერებთან მნიშვნელოვნად გაამარტივებს და დააჩქარებს ინტერნეტში საავტორო უფლებების დაცვას. შესაბამის კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარეობს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში ამ ცვლილებების შეტანა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად. იმედა, რომ “ელექტრონული კომერციის შესახებ” კანონის მიღების შედეგად დაჩქარდება “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკანონმდებლო რეგულირების გარეშე საქართველოში გარკვეული საკითხები ისედაც გვარდებოდა საავტორო უფლებების მფლობელებისა და ინტერნეტ-პროვაიდერების ზეპირი შეთანხმებებით.¹²⁷ მაგალითად, „მეკობრული“ ქართული საიტები არ ათავსებდნენ კინოფილმს ვებ-საიტებზე, სანამ კინოფილმს აჩვენებდნენ კინოთეატრში.¹²⁸

¹²⁴ იქვე, მუხლი 5.3(ი).

¹²⁵ იხ. “ელექტრონული კომერციის შესახებ” კანონის მე-11-14 მუხლები.

¹²⁶ იხ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/720359-usaid-is-da-sakpatentis-organizebit-onlain-mekobreobiscinaagmdeg-politikis-cvlilebebeze-shexvedra-gaimarta/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹²⁷ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). ინტერნეტის თავისუფლება და ციფრული უფლებები საქართველოში: სისტემური გამოწვევები, 2022 წელი, გვ. 17. ხელმისაწვდომია https://idfi.ge/public/upload/Analysis/internet_freedom_a

[nd_digital_rights_in_georgia_compressed.pdf](#) (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹²⁸ იქვე. თუმცა, არსებობს ბევრი გამონაკლისი. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2022 წლის თებერვალში. ქართველი და ჰოლივუდელი რეჟისორების გიგა აგლადისა და დევიდ ლინჩის ფილმი “მეორე მე” პრემიერამდე ერთი კვირით ადრე გაავრცელეს მეკობრულმა ქართულმა საიტებმა. ფილმში ჰოლივუდის ვარსკვლავები მონაწილეობენ, მისი ჩვენების უფლება კი შესყიდული ჰქონდა Apple TV-ს, Amazon-ს და Netflix-ს. ამ ფილმის ავტორები აცხადებდნენ, რომ ქართულ და რუ-

თუმცა, მეკობრული პროდუქციის ნაშლის მექანიზმი სასურველია მონესრიგდეს საკანონმდებლო დონეზე. არსებული „არაფორმალური“ მექანიზმი არ არის გამჭვირვალე და ზრდის უფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს.

3.9. ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების გამოყენების პირობების სამართლებრივი რეგულირება

ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოები, რომელზეც ვრცელდება საავტორო უფლებები, მაგრამ შეუძლებელია ამ უფლებების მფლობელის დადგენა. ან, თუ მფლობელის ვინაობა ცნობილია, კეთილსინდისიერი ძებნის შედეგად შეუძლებელია მფლობელთან დაკავშირება.¹²⁹ ნებისმიერი ნაწარმოები შეიძლება გახდეს „ობოლი“, მაგრამ, ყველაზე ხშირად ასეთი პრობლემა წარმოიშობა ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებთან მიმართებით. როგორც წესი, ფოტოგრაფი ძალიან იშვიათად უთითებს თავის ვინაობას ფოტოზე.

ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების გაჩენა გამოწვეულია სამი ძირითადი მიზეზით: ერთი მხრივ, ბერნის კონვენცია პირდაპირ კრძალავს საავტორო უფლებების წარმოშობისთვის რაიმე ფორმალობის დაწესებას (როგორცაა, მაგალითად, საავტორო უფლებების რეგისტრაცია),¹³⁰ მეორე მხრივ, მე-20 საუკუნეში მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საავტორო უფლებების დაცვის ვადა.¹³¹ როდესაც ნაწარმოები

ახალი გამოქვეყნებულია, უფრო იოლია მასზე საავტორო უფლებების მფლობელის დადგენა.¹³² თუმცა, მფლობელის დადგენა რთულდება, როდესაც ნაწარმოების გამოქვეყნებიდან გასულია დიდი დრო. საკითხი კიდევ უფრო რთულდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც საავტორო უფლებები გადადის მემკვიდრეზე (ან, ხშირად, რამდენიმე მემკვიდრეზე), მემკვიდრეთა ვინაობის დადგენა და მათთან დაკავშირება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს. მესამე მიზეზია ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, რის შედეგად შესაძლებელი გახდა ადრე შექმნილი ნაწარმოებების, სტატიების, ფოტო და ვიდეო მასალის გადაყვანა ციფრულ ფორმატში.¹³³

რთულია იმის შეფასება, რამდენი „ობოლი“ ნაწარმოები არსებობს საქართველოში. თუმცა, ასეთი ნაწარმოებები ნამდვილად არსებობს და მომავალში მათი რაოდენობა მხოლოდ გაიზარდება. შედარებისთვის შეიძლება შევხედოთ სხვა სახელმწიფოების სტატისტიკას. მაგალითად, 2009 წლის მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში მხოლოდ მუზეუმებში ინახებოდა 25 მილიონამდე „ობოლი“ ნაწარმოები.¹³⁴ თუმცა, არქივებსა და ბიბლიოთეკებში ასეთი ნაწარმოებების რაოდენობა, დიდი ალბათობით, უფრო დიდი იყო.¹³⁵ ზოგიერთი შეფასებით, ევროკავშირის არქივებში დაცული ნაწარმოებების 40% „ობოლია“.¹³⁶

სულ საიტებზე მათმა გავრცელებამ სერიოზულად დააზარალა. იხ. <https://bm.ge/ka/article/kanonproehti-internetshi-mekobreobis-winaagmdeg---rogor-daicaventavs-avtorebi/103428> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹²⁹ ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების განმარტების თაობაზე იხ. Directive 2012/28/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 on certain permitted uses of orphan works, მუხლი 2. აგრეთვე, იხ. United States Copyright Office. Orphan Works and Mass Digitization a report of the register of copyrights. June 2015. p. 9. <https://www.copyright.gov/orphan/reports/orphan-works2015.pdf> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹³⁰ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის (მიღებულია 1886 წელს, ბოლო ცვლილება შეტანილია 1979 წელს), მუხლი 5.2.

¹³¹ იხ. *Eldred v. Ashcroft*, 537 U.S. 186 (2003). აგრეთვე, United States Copyright Office. Orphan Works and Mass Digitization a report of the register of copyrights. June

2015. p. 10.

<https://www.copyright.gov/orphan/reports/orphan-works2015.pdf> (2023 წლის 20 დეკემბერი). აგრეთვე, დ. *დამუკაშვილი*, ევროკავშირის საავტორო სამართალი, გვ. 68-69, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2015.

¹³² დ. *დამუკაშვილი*, ევროკავშირის საავტორო სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2015. გვ. 121.

¹³³ The European Orphan Works Directive - EIFL Guide, 2. www.eifl.net/sites/default/files/resources/201409/eifl-ip_the_european_orphan_works_directive_guide.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹³⁴ An assessment of the scope of 'Orphan Works' and its impact on the delivery of services to the public. JISC Collections Trust. April 2009. გვ. 18.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ *Ian Hargreaves*, "Digital Opportunity: An Independent Review of IP and Growth," 2011. გვ. 38.

ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოების გამოყენების სურვილი შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ პირს, თუმცა, ხშირად ასეთი ნაწარმოებების გამოყენება სურთ გამომცემლებსა და კინომწარმოებლებს.¹³⁷ თუ ნაწარმოები „ობოლია“ და შეუძლებელია საავტორო უფლებების მფლობელის დადგენა ან მასთან დაკავშირება, მოსარგებლები ხშირად უარს ამბობენ ნაწარმოების გამოყენებაზე, საავტორო უფლებების დარღვევისა და პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრების გამო. შედეგად, ასეთი ნაწარმოები შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს ე.წ. „ციფრულ შავ ხვრელში.“¹³⁸ მომავალში ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების პრობლემა უფრო გამწვავდება. პრობლემის გამწვავებას ხელს შეუწყობს ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიების განვითარება.¹³⁹ პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ საავტორო სამართლით. თუ სამართლებრივი პრობლემების გამო პოტენციური მოსარგებლე თავს იკავებს ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოების გამოყენებისგან, ზიანი ადგება როგორც კულტურის, ისე ეკონომიკის სფეროს.¹⁴⁰

ასოცირების შეთანხმება პირდაპირ არ ახსენებს ე.წ. „ობოლ“ ნაწარმოებებს. თუმცა, შეთან-

ხმება აკისრებს მხარეებს ვალდებულებას უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და განხორციელების ადეკვატური და ეფექტიანი დონე.¹⁴¹ ასევე, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ შეზღუდვები და გამონაკლისები საავტორო და მომიჯნავე უფლებების მიმართ, საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილ ფარგლებში.¹⁴²

ამ სტატიის მიზანი არ არის ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული მექანიზმის ან საკანონმდებლო ცვლილების შეთავაზება. თუმცა, ჩვენი აზრით, საქართველოში სასურველია დაიწყოს მსჯელობა ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების პრობლემაზე. ამისთვის მნიშვნელოვანი იქნება სხვა სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლა (მათ შორის, ევროკავშირის მიდგომის).¹⁴³ უნდა აღინიშნოს რომ ევროკავშირის მიდგომას ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების მიმართ ხშირად აკრიტიკებენ და მიიჩნევენ არაეფექტიანად.¹⁴⁴ ევროკავშირის შესაბამისი დირექტივა ვრცელდება მხოლოდ ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოებების არაკომერციულ გამოყენებაზე და სუბიექტების ძალიან შეზღუდული წრის მიერ.¹⁴⁵

¹³⁷ United States Copyright Office. Orphan Works and Mass Digitization a report of the register of copyrights. June, 2015. გვ. 9. <https://www.copyright.gov/orphan/reports/orphan-works2015.pdf> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹³⁸ იხ. *Maurizio Borghi, Stavroula Karapapa*. Copyright and mass digitization: a cross-jurisdictional perspective. Oxford University Press, 2013 p. 70.

¹³⁹ United States Copyright Office. Orphan Works and Mass Digitization a report of the register of copyrights. June, 2015. p. 5. <https://www.copyright.gov/orphan/reports/orphan-works2015.pdf> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁴⁰ *C. Waelde, A. Brown, S. Kheria, J. Cornwell*. Contemporary Intellectual Property: Law and Policy, Oxford University Press, 4th Edition, 2016, p. 252.

¹⁴¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წელი, მუხლი 150.

¹⁴² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წელი, მუხლი 162.1.

¹⁴³ ევროკავშირის მიდგომას „ობოლი“ ნაწარმოებების მიმართ ხშირად აკრიტიკებენ, იხ. *J. Boyle, (When) Is Copyright Reform Possible? Lessons from the Hargreaves Review*, p. 15 (2015), <https://www.thepublicdomain.org/wp-content/uploads/2015/02/Is-Copyright-Reform-Possible1.pdf> (2023 წლის 20 დეკემბერი). „ობოლი“ ნაწარმოებების მიმართ აშშ-ს გამოცდილების თაობაზე იხ. United States Copyright Office. Orphan Works and Mass Digitization a report of the register of copyrights. June, 2015. <https://www.copyright.gov/orphan/reports/orphan-works2015.pdf> (2023 წლის 20 დეკემბერი). ამავე კვლევაში საუბარია „ობოლი“ ნაწარმოებების თაობაზე სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილებაზე, გვ. 18-19.

¹⁴⁴ იხ. Directive 2012/28/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 on certain permitted uses of orphan works. აგრეთვე, *Schroff, S., Favale, M. & Bertoni, A.* The Impossible Quest – Problems with Diligent Search for Orphan Works. IIC 48, 286 (2017). <https://doi.org/10.1007/s40319-017-0568-z> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁴⁵ The European Orphan Works Directive, EIFL Guide 7. June 2013. www.eifl.net (2023 წლის 20 დეკემბერი).

გარკვეული ნორმები ე.წ. “out-of-commerce” ნაწარმოებების შესახებ მოცემულია ევროკავშირის 2019 წლის დირექტივაში “ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”.¹⁴⁶ ე.წ. “out-of-commerce” არის ნაწარმოები, რომელზეც ვრცელდება საავტორო უფლებები, მაგრამ ნაწარმოები აღარ არის ხელმისაწვდომი გაყიდვაში ან გავრცელების ჩვეულებრივი არხებით.¹⁴⁷ განსხვავებით ე.წ. “ობოლი ნაწარმოებისგან”, ე.წ. “out-of-commerce” ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელი ცნობილია.¹⁴⁸

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის “საქპატენტი” ინფორმაციით, საქპატენტი ამჟამად მუშაობს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის ცვლილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ე.წ. “ობოლი ნაწარმოებების” საკითხთან.¹⁴⁹ ჩვენთვის უცნობია, რა კონკრეტულ მექანიზმს შეიმუშავებს საქპატენტი. კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის შემდეგ მიზანშეწონილი იქნება ე.წ. “ობოლი” ნაწარმოებების საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

3.10. საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკანონმდებლო შეზღუდვების განმტკიცება

საავტორო სამართალი გარკვეული დროით ანიჭებს ავტორს მონოპოლიას ნაწარმოებზე.¹⁵⁰ შედეგად, ავტორს შეუძლია შემოსავლის მიღება თავისი ნაწარმოებიდან. მეორე მხრივ, გარკვე-

ულ შემთხვევებში საავტორო სამართალი ზღუდავს ავტორის უფლებებს. შედეგად, კანონით განსაზღვრულ სუბიექტს (მაგალითად, სკოლას ან ბიბლიოთეკას) შეუძლია გამოიყენოს ნაწარმოები, კანონით დადგენილ ფარგლებში.¹⁵¹

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ საქართველოს კანონის მე-3 თავი ადგენს საავტორო ქონებრივი უფლებების შეზღუდვებს. მე-3 თავის ნორმებით განისაზღვრება, რა შემთხვევებშია შესაძლებელი ნაწარმოების გამოყენება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე.¹⁵² მაგალითად, კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით, ფიზიკურ პირს შეუძლია ნაწარმოების რეპროდუცირება პირადი სარგებლობისთვის,¹⁵³ ხოლო ბიბლიოთეკას აქვს უფლება დაამზადოს წიგნის ასლი.¹⁵⁴

მართალია, მე-3 თავი ზღუდავს ავტორის უფლებებს და ანიჭებს გარკვეულ უფლებებს ნაწარმოების მოსარგებლეს, მაგრამ, ავტორს შეუძლია გაუფორმოს მოსარგებლეს ხელშეკრულება და აუკრძალოს მე-3 თავით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა. კანონი არ კრძალავს ასეთი შეთანხმების გაფორმებას. საქართველოში არ ჩატარებულა შესაბამისი კვლევა, მაგრამ, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ავტორები ხშირად აფორმებენ მოსარგებლებთან ასეთი ხელშეკრულებებს და ფაქტობრივად აბათილებენ კანონით გათვალისწინებულ უფლებებს.¹⁵⁵

მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი განხორციელებისთვის სასურველია კანონში პირდაპირ მიეთითოს, რომ ავტორს არ

¹⁴⁶ Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC, მუხლები 8-11.

¹⁴⁷ *Christophe Geiger, Giancarlo Frosio & Oleksandr Bulayenko, Facilitating Access to Out-of-Commerce Works in the Digital Single Market - How to Make Pico della Mirandola's Dream a Reality in the European Union*, 9 J. INTELL. PROP. INFO. TECH. & ELEC. COM. L. 240, 242 (2018).

¹⁴⁸ *Melanie Stockton-Brown, Out-of-Commerce: How the Existing Copyright Practices in Film Archives Impact on Widening Public Access to Cultural Heritage*, 13 J. INTELL. PROP. INFO. TECH. & ELEC. COM. L. 3 (2022).

¹⁴⁹ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის “საქპატენტი” 2022 წლის 09 დეკემბრის №6742 წერილი.

¹⁵⁰ *Levan Nanobashvili, If the Metaverse is Built, Will Copyright Challenges Come?* 21 UIC REV. INTELL. PROP. L. 215, 241 (2022). იხ. აგრეთვე *Marshall A. Leaffer, Understanding Copyright Law*, 17 (6th ed. 2014).

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² იხ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, და 30.

¹⁵³ იქვე, მუხლი 21.

¹⁵⁴ იქვე, მუხლი 22.

¹⁵⁵ *Ian Hargreaves, “Digital Opportunity: an Independent Review of IP and Growth”*, 2011. გვ. 51.

აქვს უფლება შეზღუდოს მე-3 თავით დადგენილი უფლებების მოქმედება ნაწარმოების მოსარგებლესთან გაფორმებული ხელშეკრულებით. კანონის ბევრ სხვა მუხლში პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა. მაგალითად, კანონი პირდაპირ კრძალავს ავტორის მიერ პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისებას ხელშეკრულების საფუძველზე.¹⁵⁶

მე-3 თავით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლების ანალოგი გათვალისწინებულია ევროკავშირის სამართლით, რომელიც პირდაპირ კრძალავს ამ უფლებების შეზღუდვას მხარეთა ხელშეკრულებით. მაგალითად, ევროკავშირის დირექტივა ნებას რთავს კომპიუტერული პროგრამის დეკომპილირებას და სარეზერვო ეგზემპლარის შექმნას.¹⁵⁷ თუმცა, დირექტივა პირდაპირ ამბობს, რომ ეს ორი უფლება არ შეიძლება შეიცვალოს ან გამოირიცხოს მხარეთა შეთანხმებით.¹⁵⁸ ანალოგიურად, ევროკავშირის დირექტივა მონაცემთა ბაზების სამართლებრივი დაცვის შესახებ ზღუდავს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის გარკვეულ უფლებებს.¹⁵⁹ მაგრამ, ამავდროულად, აღნიშნული დირექტივა ბათილად აცხადებს შეზღუდვების გამორიცხვის მიზნით მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას.¹⁶⁰ მსგავსი დებულებები მოცემულია ევროკავშირის 2019 წლის დირექტივაში “ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, რომელიც ასევე კრძალავს დირექტივით დადგენილი ზოგიერთი გამონაკ-

ლისის შეზღუდვას მხარეთა ხელშეკრულებით.¹⁶¹

სტატიის ამ ნაწილში მოცემული რეკომენდაცია შეესაბამება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (the Court of Justice of the European Union) პრაქტიკასაც. კერძოდ, 2019 წელს ორ სხვადასხვა გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ საავტორო უფლებების შეზღუდვები გაგებული უნდა იყოს, როგორც მოსარგებლისთვის მინიჭებული უფლებები (და არა როგორც მხოლოდ საავტორო უფლებების გამონაკლისები).¹⁶² სასამართლოს ასეთი განმარტება ხაზს უსვამს მოსარგებლის უფლებების მნიშვნელობას.

3.11. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ციტირების უფლების გაფართოების შესაძლებლობა

ციტირების უფლება საავტორო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც არსებობს თითქმის ყველა ქვეყნის საავტორო სამართალში.¹⁶³ ციტირება გამოხატვის თავისუფლების აუცილებელი ნაწილია. იდეებისა და ცოდნის გავრცელება შეუძლებელია სხვისი ნაწარმოებიდან ციტირების გარეშე. ისააკ ნიუტონის ცნობილი ფრაზა რომ მოვიშველიოთ: “თუკი

¹⁵⁶ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17.4.

¹⁵⁷ Directive 2009/24/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on the legal protection of computer programs, მუხლები 6, 5.2 და 5.3.

¹⁵⁸ იქვე, მუხლი 8.

¹⁵⁹ იხ. Directive 96/191EC of the European Parliament and of the Council of 11 March 1996 on the legal protection of databases, მუხლები 5, 6 და 8.

¹⁶⁰ Directive 96/191EC of the European Parliament and of the Council of 11 March 1996 on the legal protection of databases, მუხლი 15.

¹⁶¹ Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC, მუხლი 7.1.

¹⁶² Case C-516/17, Judgment of the Court (Grand Chamber) of 29 July 2019 (request for a preliminary ruling under Article 267 TFEU from the Bundesgerichtshof (Federal Court of Justice, Germany), Spiegel Online GmbH v Volker Beck, 54-ე პარაგრაფი, აგრეთვე Case C-469/17, Judgment of the Court (Grand Chamber) of 29 July 2019 (request for a preliminary ruling under Article 267 TFEU from the Bundesgerichtshof (Federal Court of Justice, Germany), Funke Medien NRW GmbH v Bundesrepublik Deutschland, 70-ე პარაგრაფი.

¹⁶³ Karapapa, Stavroula, The Quotation Exception under EU Copyright Law: Paving the Way for User Rights (08.03.2021), გვ. 5. Rosati, E. (ed.), The Routledge Handbook of EU Copyright Law (Routledge: London and New York, 2021), <https://ssrn.com/abstract=3800267> (2023 წლის 20 დეკემბერი).

მე ვხედავდი სხვებზე შორს, ეს იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე ვიდექი.”¹⁶⁴ “მხრებზე დგომაში” შეიძლება ვიგულისხმოთ სხვების იდეებისა და მოსაზრებების შესწავლა, გააზრება და ციტირება.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, დაშვებულია ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ ავტორისა და წყაროს აუცილებელი მითითებით “[...] ნაწარმოებებიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისთვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისთვის რეპროდუცირების ჩათვლით.”¹⁶⁵

საქართველოს კანონში ამომწურავად ჩამოთვლილია ციტირების ხუთი მიზანი: სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო. კანონის ჩამონათვალი ამომწურავია და ფორმალურად არ იძლევა ციტატის რაიმე სხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, ეს ხუთი მიზანი არ მოიცავს განათლებას ან ხელოვნებას.

ბერნის კონვენციის ნორმა ციტირების უფლებასთან დაკავშირებით გაცილებით ფართოა:

“დასაშვებია ციტატების მოყვანა ნაწარმოებიდან [...] იმ პირობით, რომ ეს შეთავსებადია კეთილსინდისიერ საქმიანობასთან და მისი მოცულობა გამართლებულია დასახული მიზნით, მათ შორის, სტატიების ციტირება ჟურნალ-გაზეთებიდან პრესის მიმოხილვის ფორმით.”¹⁶⁶

საინფორმაციო საზოგადოების შესახებ ევროკავშირის დირექტივა ნებას რთავს ციტირებას კრიტიკისა და მიმოხილვის მიზნებისთვის.¹⁶⁷ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი მუხლი ძირითადად შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივის ტექსტთან. თუმცა, მიჩნეულია, რომ დირექტივის ფორმულირება უნდა განიმარტოს ფართოდ.¹⁶⁸ ასევე, დირექტივა არ ზღუდავს ციტირებას მხოლოდ კრიტიკის ან მიმოხილვის მიზნებით და ეს მიზნები მითითებულია მხოლოდ საილუსტრაციოდ.¹⁶⁹ მთავარია, ციტატის მოცულობა შეესაბამებოდეს გამოყენების მიზანს, ანუ დაცული უნდა იყოს ციტატის გამოყენების პროპორციულობა.¹⁷⁰ გარდა ამისა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (the Court of Justice of the European Union) პრაქტიკით, ევროკავშირის სამართალი ადგენს ციტირების საკმაოდ ფართო უფლებას და, შესაბამისად, ანიჭებს სახელმწიფოებს მნიშვნელოვან დისკრეციას შესაბამისი ინტერესების კანონმდებლობით დაბალანსებისთვის.¹⁷¹

¹⁶⁴ “If I have seen further it is by standing on the shoulders of Giants”, იხ. <https://www.americanscientist.org/article/on-the-shoulders-of-giants> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁶⁵ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 23(ა). ანალოგიური შინაარსის ნორმა მოცემულია კანონის 51.2(ა) მუხლში, რომელიც ვრცელდება შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამაზე, მაუნუქებლობის ორგანიზაციის გადაცემაზე და მათ ჩანაწერებზე.

¹⁶⁶ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია (მიღებულია 1886 წელს, ბოლო ცვლილება შეტანილია 1979 წელს), მუხლი 10.1.

¹⁶⁷ “Quotations for purposes such as criticisms and review”, იხ. Directive 2001/29/EC of the European Parliament and of the Council of 22 May 2001 on the harmonization of certain aspects of copyright and related rights in the information society. Official Journal L 167, 22/06/2001 P. 0010 - 0019, მუხლი 5.3(d).

¹⁶⁸ Karapapa, Stavroula, The Quotation Exception under EU Copyright Law: Paving the Way for User Rights (08.03.2021), გვ. 7. Rosati, E. (ed.), The Routledge

Handbook of EU Copyright Law (Routledge: London and New York, 2021), <https://ssrn.com/abstract=3800267> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁶⁹ იქვე. იხ. აგრეთვე Case C-469/17, Judgment of the Court (Grand Chamber) of 29 July 2019 (request for a preliminary ruling under Article 267 TFEU from the Bundesgerichtshof (Federal Court of Justice, Germany), Funke Medien NRW GmbH v Bundesrepublik Deutschland, პარაგრაფი 43.

¹⁷⁰ Karapapa, Stavroula, The Quotation Exception under EU Copyright Law: Paving the Way for User Rights (08.03.2021), გვ. 8. Rosati, E. (ed.), The Routledge Handbook of EU Copyright Law (Routledge: London and New York, 2021), <https://ssrn.com/abstract=3800267> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁷¹ Case C-476/17: Judgment of the Court (Grand Chamber) of 29 July 2019 (request for a preliminary ruling from the Bundesgerichtshof — Germany) — Pelham GmbH, Moses Pelham, Martin Haas v Ralf Hütter, Florian

სასურველია, საქართველოშიც გაფართოვდეს ციტირების უფლება. კანონის დღეს მოქმედი რედაქციით ციტირების უფლება ზედმეტად შეზღუდულია. ამ ცვლილების მნიშვნელობა სცდება საავტორო სამართალს და გააძლიერებს კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას

3.12. საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვის ეფექტიანობის ამაღლება

საავტორო და მომიჯნავე უფლებების არსებობა შეუძლებელია მათი დაცვის ეფექტიანი მექანიზმის გარეშე. სხვანაირად უფლება აზრს დაკარგავს. გარდა ამისა, დაიკარგება პატივისცემა სამართლისა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის, საავტორო სამართლის მიმართ.

საქართველოს კანონმდებლობით წახალისებულია საავტორო უფლებების სასამართლოს გზით დაცვა, რადგანაც საავტორო უფლებებიდან გამომდინარე სარჩელებზე მოსარჩელები (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები) თავისუფლდებიან ბაჟის გადახდისაგან.¹⁷² თუმცა, მოსარჩელეს უწევს შესაბამისი სპეციალიზაციის იურისტის მომსახურების ხარჯების გაღება.

როგორც ჩანს ქვემოთ მოცემული ცხრილიდან (ცხრილი №1), საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მიზნით პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა საქართველოში წლიდან წლამდე ცვალებადია.

ცხრილი №1: საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში 2002-2022 წლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების თაობაზე შეტანილი სარჩელების რაოდენობა¹⁷³

წელი	სარჩელების რაოდენობა
2002	24
2003	16
2004	166
2005	133
2006	29
2007	44
2008	13
2009	9
2010	81
2011	80
2012	69
2013	254
2014	188
2015	172
2016	213
2017	231
2018	100
2019	184
2020	304
2021	133
2022	119

წინა პარაგრაფის ცხრილში მითითებული სარჩელების დიდი ნაწილი აღძრულია საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, 2021 წელს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია (GCA) მონაწილეობდა 122 სასამართლოს დავაში.¹⁷⁴ 2020 წელს იგივე ასოციაცია მონაწილეობდა 203 სასამართლო დავაში.¹⁷⁵

Schneider-Esleben, პარაგრაფები 84-86. ასევე, Case C-516/17, Judgment of the Court (Grand Chamber) of 29 July 2019 (request for a preliminary ruling under Article 267 TFEU from the Bundesgerichtshof (Federal Court of Justice, Germany), Spiegel Online GmbH v Volker Beck, პარაგრაფები 27-28.

¹⁷² "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 5.1(ბ).

¹⁷³ ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, 2002 წლის 15 დეკემბრის წერილი, №3-1433-22.

¹⁷⁴ იხ. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის (GCA), წლიური ანგარიში 2021, გვ. 10. https://gca.ge/uploads/files/tsliuri_angarishi/2021.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁷⁵ იხ. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის (GCA), წლიური ანგარიში 2020, გვ. 11.

2019 წელს კი, შესაბამისად, 89 სასამართლო დავაში.¹⁷⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან შეხვედრის შედეგად დამატებით გაირკვა, რომ ამ სასამართლოში ყველაზე ხშირად განიხილება სწორედ საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების სარჩელები, რომლებიც ეხება სალიცენზიო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობას.

საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვის საშუალო ვადების თაობაზე. ამიტომ, შეუძლებელია ამ ვადების შედარება სხვა კატეგორიის დავების განხილვის საშუალო ვადებთან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფორმაციით, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვის საშუალო ვადაა 3-4 წელი.¹⁷⁷ ასოციაციის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა ხდება შედარებით სწრაფად, თუმცა პრობლემას წარმოადგენს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის გაჭიანურება.¹⁷⁸ ადვოკატთა ასოციაციის შეფასებით, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზია ცალკეულ მოსამართლეთა გადატვირთულობა, რაც ინვესტორების განხილვის გაჭიანურებას.¹⁷⁹

ადვოკატთა ასოციაცია ცალკე გამოწვევად მიუთითებს საავტორო უფლებებთან დაკავშირებული დავების სპეციფიკურ ხასიათზე. ასეთი საქმეების განხილვა მოითხოვს მოსამართლეებისგან საავტორო სამართლის სიღრმისეულ ცოდნასა და სპეციალიზაციას საავტორო სამართლის მიმართულებით.¹⁸⁰ ადვოკატთა ასოციაციის აზრით, მხოლოდ ასეთი მიდგომით იქნება

შესაძლებელი თანმიმდევრული და განჭვრეტადი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. თავის მხრივ, განჭვრეტადი სასამართლო პრაქტიკა შეამცირებს სასამართლოების დატვირთვას, რადგანაც მხარეებს ექნებათ სადავო საკითხის წინასწარ შეფასების მეტი შესაძლებლობა.

ადვოკატთა ასოციაციის მოსაზრება გაეუზიარეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებიც მუშაობენ საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ დავებზე. მოსამართლეების აზრით, ასეთი დავების რაოდენობა საკმაოდ მცირეა, რაც ართულებს მოსამართლეთა სპეციალიზაციას მხოლოდ საავტორო სამართლის მიმართულებით.

საქართველოს კანონმდებლობით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. სტატიის მომზადების პროცესში შესაბამისი უწყებებიდან გამოვითხოვეთ სტატისტიკა. როგორც ირკვევა, ბოლო 20 წლის განმავლობაში საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოში დაიწყო სისხლის სამართლებრივი გამოძიება 17 საქმეზე.¹⁸¹ აქედან, სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა 5 პირის მიმართ, 3 სისხლის სამართლის საქმეზე.¹⁸² ამ საქმეებიდან არც ერთი არ ეხებოდა ინტერნეტის სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევას.¹⁸³

ევროკავშირის 2019 წლის დირექტივა “ერთიანი ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” ითვალისწინებს საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული დავების განხილვას ალტერნატიული საშუალებების მეშვეობით.¹⁸⁴ ასეთია, მაგალითად, არბიტრაჟი. მიზანშეწონილია დირექტივის აღნიშნული ნორმის საქართველოს კანონმდებლობაში

https://gca.ge/uploads/files/tsliuri_angarishi/2020.pdf
(2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁷⁶ იხ. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის (GCA), წლიური ანგარიში 2019, გვ. 13. https://gca.ge/uploads/files/tsliuri_angarishi/2019.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

იქვე, გვ. 13.

¹⁷⁷ სსიპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2022 წლის 09 დეკემბრის წერილი №13600.

¹⁷⁸ იქვე.

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ იქვე.

¹⁸¹ ინფორმაცია მოწოდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, 2023 წლის 30 იანვრის №1205/15-01 წერილით.

¹⁸² იქვე.

¹⁸³ იქვე.

¹⁸⁴ Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related

ასახვა, რაც შესაძლებელს გახდის საავტორო უფლებებთან დაკავშირებული დავების გარკვეული ნაწილის არბიტრაჟში განხილვას და, შედეგად, სასამართლო სისტემის დატვირთვის შემცირებას.

სასურველია, რომ საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სასამართლოში დაცვის ხანდაზმულობის სპეციალური ვადა. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ კანონის დღეს მოქმედი რედაქციით ასეთი ვადა დადგენილი არ არის. შესაბამისად, საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის მოთხოვნის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა, რომელიც შეადგენს ათ წელს.¹⁸⁵ ათწლიანი ვადა კი საკმაოდ ხანგრძლივია და სასურველია მისი შემოკლება საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ დავებთან მიმართებით. სხვანაირად საავტორო უფლებების მფლობელს შეიძლება არ ჰქონდეს მოტივაცია, რომ დროულად შეიტანოს სარჩელი სასამართლოში დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენის მოთხოვნით. შვიდი, რვა ან ცხრა წლის შემდეგ კი შეიძლება ძალიან რთული იყოს (ან საერთოდ შეუძლებელი) საავტორო უფლების დარღვევის ფაქტის დამტკიცება სასამართლოში.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ხანდაზმულობის სპეციალური ვადის დანესების რეკომენდაციას ამყარებს ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის მაგალითებიც. გერმანიაში ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს,¹⁸⁶ ხოლო საფრანგეთში 5

წელს.¹⁸⁷ მართალია, ინგლისი აღარ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ წევრობის პერიოდში (და ამჟამად) ინგლისის კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა 6 წელს.¹⁸⁸

3.13. საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ მართვასთან დაკავშირებული საკითხის მონესრიგება

საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიური მართვა ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და საავტორო უფლებების მფლობელების მიერ სამართლიანი ჰონორარის მიღებას. კოლექტიური მართვა ასრულებს საკვანძო როლს უფლებათა მფლობელებისა და მომხმარებელთა დაკავშირების, ჰონორარის შეგროვებისა და განაწილების საქმეში.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შეიცავს დებულებებს, რომლებიც პირდაპირ ეხება საავტორო უფლებების კოლექტიურ მართვას. კერძოდ, შეთანხმების 164-ე მუხლით: „მხარეები ეცდებიან ხელი შეუწყონ დიალოგსა და თანამშრომლობას კოლექტიური მართვის შესაბამის საზოგადოებებს შორის, ნაწარმოებებისა და სხვა დაცული ობიექტების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით და ასეთი ნაწარმოებების ან სხვა დაცული ობიექტების გამოყენებისთვის აუცილებელი ჰონორარის გადაცემისთვის.“¹⁸⁹

საქართველოში წლების განმავლობაში მოქმედებდა ორი ძირითადი ორგანიზაცია, რომლებიც მართავდნენ ავტორთა ერთსა და იმავე უფლებებს,¹⁹⁰ რაც წარმოშობდა გაურკვევლობას

rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC, მუხლი 21.

¹⁸⁵ „იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128.3 მუხლი.

¹⁸⁶ https://www.meissnerbolte.com/fileadmin/user_upload/pdf/publikationen/lexology_copyright_2020.pdf (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁸⁷ <https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/w-011-3781> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁸⁸ <https://iclg.com/practice-areas/copyright-laws-and-regulations/united-kingdom> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁸⁹ “The Parties shall endeavour to promote dialogue and cooperation between their respective collective

management societies for the purpose of promoting the availability of works and other protected subject matter and the transfer of royalties for the use of such works or other protected subject matter.” ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წელი, მუხლი 164.

¹⁹⁰ იხ. <https://fortuna.ge/fortuna/post/dava-saavtoro-uflebebis-sferoshi-ar-sheidzleba-ukanonobas-raime-gasaqani-hqondes-chvens-qveyanashinawili> (2023 წლის 20 დეკემბერი). აგრეთვე <https://www.bm.ge/ka/article/quotsaqartvelos->

როგორც ავტორებისთვის, ისე მოსარგებლებებისთვის. დიდი ხნის განმავლობაში ბუნდოვანი იყო, რამდენად უშვებდა საქართველოს კანონმდებლობა ორი ორგანიზაციის პარალელურად ფუნქციონირებას, ერთი და იმავე უფლების მართვის სფეროში.

2023 წლის 03 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონის ცვლილებები, რომელთა მიზანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიური მართვის საკითხის მოწესრიგება. ცვლილებებით გათვალისწინებულია კოლექტიური ორგანიზაციების აკრედიტაცია და განსაზღვრულია აკრედიტაციის პროცედურა. იმედი გვაქვს, რომ ცვლილებების შედეგად აღმოიფხვრება კოლექტიური მართვის სფეროში არსებული ბუნდოვანება, უზრუნველყოფილი იქნება სისტემის გამართული ფუნქციონირება და აღდგება საავტორო უფლების მფლობელთა და მოსარგებლეთა ნდობა კოლექტიური მართვის სისტემის მიმართ.¹⁹¹

3.14. ცნობიერების ამაღლება საავტორო და მომიჯნავე უფლებების თაობაზე

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის 1886 წლის ბერნის კონვენცია ავალდებულებს კონვენციის მონაწილე ქვეყნებს, მიიღონ აუცილებელი ზომები კონვენციის გამოყენებისთვის.¹⁹² აუცილებელ ზომებად კი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კანონმდებლობის მიღება და მისი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, ისე ცნობიერების ამაღლება საავტორო და მომიჯნავე უფლებების მნიშვნელობის შესახებ. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის აშენება, სხვა ქვეყნების ტექნოლოგიების ათვისება, სა-

ქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ექსპორტი და ტექნოლოგიების განვითარება.¹⁹³

საავტორო უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ამ უფლებების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება სასურველია დაიწყოს რაც შეიძლება ადრე. სკოლა შეიძლება გახდეს ის საყრდენი, რომელიც გადასცემს მოსწავლეებს ცოდნას საავტორო უფლებების კულტურული, ეკონომიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ.

სკოლის მოსწავლეები არიან სოციალური ქსელების, ინტერნეტისა და ახალი ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებლები. მოსწავლეები საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს ქმნიან, ეცნობიან, იყენებენ და ავრცელებენ უკვე სკოლაში სწავლის ეტაპზე. შესაბამისად, საავტორო უფლებების საბაზისო ცოდნა დაეხმარებათ მათ, როგორც საკუთარი შემოქმედების უკეთ დაცვაში, ისე სხვათა ნაწარმოებების კანონიერ გამოყენებაში.

მიზანშეწონილია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად დაიწყოს მსჯელობა სამოქალაქო განათლების სასკოლო საგანში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სწავლების დამატების თაობაზე. სასკოლო პროგრამის ფარგლებში მიწოდებული ინფორმაცია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეებისთვის. საავტორო უფლებების შესახებ ცოდნა დაეხმარება ახალგაზრდებს საკუთარი უფლებების დაცვაში და სხვების უფლებების დარღვევის თავიდან აცილებაში.

ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად და „საქ-

saavtoro-uflebata-asociaciaquot-sagangebo-gancxadebas-avrcelebs/35607 (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁹¹ 2023 წლის 29 დეკემბერს აკრედიტაციის კომისიამ გამოავლინა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის კონკურსის გამარჯვებული, იხ.

https://www.sakpatenti.gov.ge/ka/news_and_events/562/ (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁹² ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, მუხლი 36.1.

¹⁹³ იხ. “ინოვაციების შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 1.1.

პატენტთან” თანამშრომლობით, დანყებითი განათლების პროექტის ფარგლებში მომზადდა ნიგნები ბავშვებისთვის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. მასალები ხელმისაწვდომია „საქპატენტის“ ინტერნეტ გვერდზე.¹⁹⁴

ცნობიერების ამაღლების საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ მოსარგებლებისთვის, არამედ ავტორებისთვის და საავტორო უფლებების სხვა მფლობელებისთვის. ავტორები თავად უნდა გააქტიურდნენ და დაუთმონ თავისი უფლებების დაცვას მეტი დრო და ენერჯია. აგრეთვე სასურველია, რომ ავტორებმა დაუთმონ მეტი ყურადღება საზოგადოების ინფორმირებას ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის შესახებ. ამ საკითხზე მხოლოდ სახელმწიფო ან რომელიმე ერთი უწყება არ უნდა ზრუნავდეს.

3.15. საავტორო და მომიჯნავე უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმართ მეტი ყურადღების საჭიროება

სასურველია, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს კანონმდებლობა იყოს მუდმივი ყურადღების ცენტრში და მიმდინარეობდეს მსჯელობა მისი შემდგომი სრულყოფის თაობაზე. ეს რეკომენდაცია ეხება საქართველოს პარლამენტს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს “საქპატენტი”, სხვა დაინტერესებულ უწყებებსა და საავტორო უფლებების მფლობელებს.

ზოგჯერ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სხვა სფეროებს, მაგალითად, სასაქონლო ნიშნების სამართალს ან საპატენტო სამართალს. საავტორო და მომიჯნავე უფლებები კი რჩება სათანადო ყურადღების მიღმა.

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიები ვითარდება ძალიან სწრაფად, რაც აუცილებელს ხდის საავტორო კანონმდებლობის მუდმივ გადახედვასა და განახლებას. როგორც წესი, ცვლილებას წინ უძღვის ხანგრძლივი საჯარო განხილვები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა

ამ მხრივ ევროკავშირში მიმდინარე პროცესები. სასურველია, რომ საქართველოში მუდმივი ყურადღების ცენტრში იყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ევროკავშირსა და სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე განხილვები და პროცესები.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა, კულტურის, დარგობრივი ეკონომიკის და საგარეო საქმეთა კომიტეტებმა აქტიურად ითანამშრომლონ და განახორციელონ საპარლამენტო კონტროლი საავტორო უფლებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და მოქმედი ნორმების ეფექტიან აღსრულებაზე. ასევე, მიზანშეწონილი იქნება, თუ ამ თემაზე ჩატარდება პერიოდული საკომიტეტო მოსმენები, რაც უზრუნველყოფს საკითხის აქტუალურობის შენარჩუნებას.

პარლამენტის აღნიშნული საქმიანობა უნდა წარმართოს საქპატენტის ჩართულობით და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით. საქართველოს კანონმდებლობით, სწორედ საქპატენტი ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში.¹⁹⁵ ასევე, საქპატენტი წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში,¹⁹⁶ მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (WIPO).

4. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

სტატიის ამ ნაწილში მოკლედ განხილულია სტატიის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

სავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ძირითადად თანხვედრაშია სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან. თუმცა, კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის სამართალს. საჭიროა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამის

¹⁹⁴ იხ. <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/> (2023 წლის 20 დეკემბერი).

¹⁹⁵ „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 62.1 მუხლი.

¹⁹⁶ იქვე, 62.2(ბ) მუხლი.

სობაში მოვიდეს ევროკავშირის 2019 წლის დირექტივასთან “ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.”¹⁹⁷ ამასთან, დირექტივის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია ევროკავშირის ექსპერტების ჩართვა დირექტივის ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის პროცესში.

მიზანშეწონილია, რომ საქართველომ ხელი მოაწეროს მარაქემის შეთანხმებას “გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან წვდომის ხელშეწყობის შესახებ უსინათლო, დაქვეითებული მხედველობის მქონე პირებისთვის და მათთვის, ვისაც სხვაგვარად შეზღუდული აქვს ბეჭდვითი ტექსტის აღქმა.”¹⁹⁸ სამწუხაროდ, საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებსაც შეზღუდული აქვთ ბეჭდვითი მასალის გაცნობის შესაძლებლობა, არ აქვთ სათანადო წვდომა მათთვის ადაპტირებულ წიგნებთან. განსაკუთრებით რთულია წვდომა სასწავლო მასალასთან, რაც სერიოზული ხელშეშლელი ფაქტორია სწავლის პროცესში. მარაქემის შეთანხმება გაამარტივებს წვდომას უცხოურ ადაპტირებულ წიგნებთან, სასწავლო მასალებთან და სხვა ნაწარმოებებთან. მნიშვნელოვანია, რომ 2023 წლის 15 დეკემბერს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიზანია საქართველოს მიერ მარაქემის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ მისი ეფექტიანი იმპლემენტაცია.¹⁹⁹

მიზანშეწონილია, რომ საქართველოში დაიწყოს მსჯელობა აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ ბეიჯინგის 2012 წლის საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე. სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმომწერია საქართველო, ძირითადად ეხება მხოლოდ აუდიო (ხმოვან) და არა აუდიოვიზუალურ შესრულებებს.

ბეიჯინგის საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერის განხილვაში კი სასურველია მიიღონ მონაწილეობა ქართველმა შემსრულებლებმა, პირველ რიგში კი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა, რადგანაც ბეიჯინგის შეთანხმება გააძლიერებს მათი უფლებების დაცვას საერთაშორისო დონეზე.

სასურველია, რომ საქართველომ ყურადღებით ადევნოს თვალი სხვადასხვა სახელმწიფოში მიმდინარე მსჯელობას ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირების თაობაზე. მათ შორის, მოსაზრებებს ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ნაწარმოების სამართლებრივი დაცვის შესახებ. ამ საკითხის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბების შემდეგ სასურველია საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობის დროულად მიღება, რადგანაც იგი ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ხელოვნური ინტელექტის განვითარებას.

ინტერნეტში მეკობრეობასთან ბრძოლა მოითხოვს კოორდინირებულ ღონისძიებებს, რომლებშიც ჩართულები უნდა იყვნენ სახელმწიფო უწყებები, კერძო კომპანიები და საავტორო უფლებების მფლობელები. ბრძოლა უნდა ატარებდეს მუდმივ ხასიათს, რადგანაც ერთჯერადი ან პერიოდული ღონისძიებები ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. კოორდინირებული ღონისძიებების გატარებისთვის კი საჭიროა, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ინტერნეტ მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც განერილი იქნება ხანგრძლივ პერიოდზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ძალიან აქტიურად მუშაობს ინტერნეტში მეკობრეობის შემცირებისთვის. 2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ “მაუწყებლობის შესახებ” კანონში შეტანილი

¹⁹⁷ https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-02/SWD_2023_31_Georgia.pdf, გვ. 21 (2023 წლის 20 დეკემბერი), იხ. აგრეთვე Directive (EU) 2019/790 of the European Parliament and of the Council of 17 April 2019 on copyright and related rights in the Digital Single Market and amending Directives 96/9/EC and 2001/29/EC.

¹⁹⁸ მარაქემის შეთანხმება გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან წვდომის ხელშეწყობის შესახებ უსინათლო, დაქვე-

ითებული მხედველობის მქონე პირებისთვის და მათთვის, ვისაც სხვაგვარად შეზღუდული აქვს ბეჭდვითი ტექსტის აღქმის უნარი (Marrakesh Treaty to Facilitate Access to Published Works for Persons who are Blind, Visually Impaired or Otherwise Print Disabled), მიღებულია მარაქემში, მაროკო, 2013 წლის 27 ივნისს.

¹⁹⁹ იხ. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 2023 წლის 15 დეკემბრის ცვლილებები.

ცვლილებებმა პირდაპირ მიანიჭა კომისიას უფლებამოსილება გააკონტროლოს მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმების მომსახურების სფეროებში “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონმდებლობის შესრულება.²⁰⁰ იმედია, ეს ცვლილებები გაუადვილებს კომისიას ინტერნეტ მეკობრეობასთან ბრძოლას. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებელი იქნება “მაუწყებლობის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებების ეფექტიანობის შეფასება. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ საავტორო უფლებების ქართველმა მფლობელებმა უფრო აქტიურად დაიცვან თავიანთი უფლებები ინტერნეტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი გააქტიურება უცხოური ინტერნეტ გვერდების წინააღმდეგ, სადაც არაღელვარულად განთავსებულია ქართველი ავტორების ნაწარმოებები.

მიზანშეწონილია, რომ “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონში შევიდეს რამდენიმე ცვლილება. პირველ რიგში, მიზანშეწონილია ციტირების უფლების საკანონმდებლო გაფართოება. მიგვაჩნია, რომ კანონის დღეს მოქმედი რედაქციით ციტირების უფლება ზედმეტად შეზღუდულია. ამ ცვლილების მნიშვნელობა ცდება საავტორო სამართალს და გააძლიერებს კონსტიტუციით გარანტირებულ გამომხატვის თავისუფლებას. ასევე, “საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ საქართველოს კანონის მე-3 თავი ადგენს საავტორო ქონებრივი უფლებების შეზღუდვებს. ამ თავის ნორმებით განისაზღვრება, რა შემთხვევებშია შესაძლებელი ნაწარმოების გამოყენება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე. ამ უფლებების ეფექტიანი განხორციელებისთვის მიზანშეწონილია კანონში პირდაპირ მიეთითოს, რომ ავტორს არ აქვს უფლება შეზღუდოს მე-3 თავით დადგენილი უფლებები ნაწარმოების მოსარგებლესთან გაფორმებული ხელშეკრულებით. ამ ცვლილებებთან ერთად, სასურველია საქართველოში დაიწყოს მსჯელო-

ბა ე.წ. „ობოლი“ ნაწარმოების გამოყენების სამართლებრივ პირობებზე. ასეთია ნაწარმოები, რომელზეც ვრცელდება საავტორო უფლებები, მაგრამ შეუძლებელია ამ უფლებების მფლობელის დადგენა. ან, თუ მფლობელის ვინაობა ცნობილია, კეთილსინდისიერი ძებნის შედეგად შეუძლებელია მფლობელთან დაკავშირება. ე.წ. “ობოლ” ნაწარმოებთან დაკავშირებული საკითხის მონესრიგებისთვის აუცილებელია სხვა სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლა (პირველ რიგში, ევროკავშირის).

საჭიროა, რომ საქართველოში ამაღლდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დავების განხილვის ეფექტიანობა. სამწუხაროდ, საავტორო უფლებების თაობაზე წარმოშობილი დავის განხილვას ზოგჯერ სჭირდება გაუმართლებლად ხანგრძლივი დრო.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სასამართლოში დაცვის ხანდაზმულობის სპეციალური ვადა. ამჟამად ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ათ წელს, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და სასურველია მისი შემოკლება. შედეგად, საავტორო უფლებების მფლობელს ექნება მეტი მოტივაცია დროულად მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.

საავტორო უფლებების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება მიზანშეწონილია დაიწყოს რაც შეიძლება ადრე. სასურველია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად დაიწყოს მსჯელობა სამოქალაქო განათლების სასკოლო საგანში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სწავლების დამატების თაობაზე.

აუცილებელია, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს კანონმდებლობა იყოს მუდმივი ყურადღების ცენტრში და მიმდინარეობდეს მსჯელობა მისი სრულყოფის თაობაზე. ეს რეკომენდაცია ეხება საქართველოს პარლამენტს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს “საქპატენტი” და სხვა დაინტერესებულ უწყებებს. აგრეთვე მიზანშეწონილია,

²⁰⁰ იხ. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 5.3(ი).

რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ-მა, კულტურის, დარგობრივი ეკონომიკის და საგარეო საქმეთა კომიტეტებმა აქტიურად ითანამშრომლონ და განახორციელონ საპარლამენტო კონტროლი საავტორო უფლებების მარეგული-

რებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და მოქმედი ნორმების ეფექტიან აღსრულებაზე. ამ თემაზე შეიძლება ჩატარდეს პერიოდული საკომიტეტო მოსმენები, რაც უზრუნველყოფს საკითხის აქტუალურობის შენარჩუნებას.

განსხვავებული სუბიექტური ელემენტის არსებობის მიზეზები მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნისას

ნატალი გოგიაშვილი, LL. M. (Chicago, Münster)
ადვოკატი

სარჩევი

I. შესავალი	40
II. კეთილსინდისიერი შექმნის კონცეფციის სამართლებრივი მონესრიგება ქართულ კანონმდებლობაში	41
III. ობიექტური ნდობის ელემენტები	43
1. მფლობელობა	43
2. საჯარო რეესტრის ჩანაწერი	44
IV. სუბიექტური ნდობის ელემენტები	44
1. კეთილსინდისიერება ზოგადად.....	45
2. კეთილსინდისიერება მოძრავი ნივთების შექმნისას	45
ა) სამართლებრივი ხარვეზი	45
ბ) უხეში გაუფრთხილებლობა	46
3. კეთილსინდისიერება უძრავი ნივთების შექმნისას	48
ა) სამართლებრივი ხარვეზი	48
ბ) პოზიტიური ცოდნა	49
V. განსხვავებული სუბიექტური წინაპირობების არსებობის მიზეზები საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების მოდელებში	51
1. საჯარო რეესტრის ჩანაწერი, როგორც უფრო ძლიერი ნდობის ელემენტი	52
2. მფლობელობა, როგორც უფრო სუსტი ნდობის განმაპირობებელი	53
ა. მფლობელობის გადაცემა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისგან.....	53
ბ. მფლობელობის გადაცემა მესამე პირისგან	54
3. ობიექტური და სუბიექტური ელემენტების კორელაცია.....	54
VI. დასკვნა	55

I. შესავალი

ზოგადად, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მხოლოდ მესაკუთრეა უფლებამოსილი სხვა პირს გადასცეს ნივთზე საკუთრების უფლება.¹ აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება

ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის ცნობილ პრინციპს: *Nemo plus iuris ad alium transferre potest quam ipse habet* (არავის შეუძლია სხვა პირს გადასცეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე მას თავად აქვს).² თუმცა ქართველი კანონმდებელი

¹ შდრ. BGH NJW 2000, 1719 (1720); Staudinger/*Althammer*, § 903 Rn. 10; MüKo/*Brückner*, § 903 Rn. 1f.; *Mugdan B.*, *Materialien*, Band III, S. 145.

² MüKo/*Oechsler*, § 932 Rn.1; *Heck P.*, *Das abstrakte dingliche Rechtsgeschäft*, S. 20; შდრ. ასევე *Winter M.*, *Das Lösungsrecht nach gutgläubigem Erwerb*, S. 108 ff.

მოდრავი (სკ-ის 186 I, 187 I) და უძრავი ნივთების (სკ-ის 183, 185) კეთილსინდისიერ შემძენს საგამონაკლისოდ აძლევს შესაძლებლობას, გახდეს იმ ნივთის მესაკუთრე, რომლის გამსხვისებელიც არაუფლებამოსილი პირი იყო. რის შედეგადაც, ნამდვილი მესაკუთრე კარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას მისი ნების ნაწინააღმდეგოდ და ვეღარ მოსთხოვს კეთილსინდისიერ შემძენს ამ ნივთის უკან დაბრუნებას.³

ამასთან, აღნიშნული საგამონაკლისო წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემძენი კეთილსინდისიერია. სკ-ის 187 I-ის მუხლის მიხედვით მოძრავი ნივთის შემძენი არ ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მან იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობით მისთვის უცნობი იყო გამსხვისებელის არამესაკუთრეობის ფაქტი. ხოლო უძრავი ნივთების შემძენი არაკეთილსინდისიერია, თუ მან იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე (სკ-ის 185). აღნიშნული მუხლების ანალიზით ცალსახაა, რომ თუ მოძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნისას, უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სუბიექტური ელემენტი, საკმარისია შემძენის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისთვის, უძრავი ნივთების შემთხვევაში, კანონმდებელი მხოლოდ შემძენის პოზიტიურ ცოდნას მიიჩნევს კეთილსინდისიერების დამაბრკოლებელ გარემოებად და მას ყოველგვარი დამატებითი კვლევის ვალდებულებისგან ათავისუფლებს.⁴

შეკითხვა, თუ რატომ განსაზღვრა ქართველმა კანონმდებელმა განსხვავებული სუბიექტური წინაპირობები მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნის მოდელებში, ნამოიჭრა კიდეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”,⁵ სადაც მოსარჩელე დაობდა, რომ უძრავ

ნივთებთან მიმართებით მოძრავი ნივთებისაგან განსხვავებული წესის დადგენა არაკონსტიტუციური იყო. სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემულ საკითხზე არ უმსჯელია.

შესაბამისად, აღნიშნული სტატიის მთავარი მიზანი იქნება: განიხილოს ის სავარაუდო მიზეზები, რომლებიც მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნის მოდელებში განსხვავებული სუბიექტური ელემენტების არსებობას განაპირობებს, ამავე კონტექსტში დეტალურად იქნება მიმოხილული და გაკრიტიკებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე, „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, სადაც სასამართლომ შემძენის კეთილსინდისიერების შეფასებისთვის დამატებითი წინაპირობები შემოიღო. აქვე, სტატია წამოჭრის კიდეც ერთ პრობლემას, თუ რამდენად გამართლებულია მოძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნის ყველა სავარაუდო კონსტელაციაში უხეში გაუფრთხილებლობის, როგორც ერთიანი სუბიექტური შეფასების მასშტაბის შემოტანა, თუმცა მოცემული საკითხის გადაჭრის გზები არ იქნება განხილული ამომწურავად.

II. კეთილსინდისიერი შემძენის კონცეფციის სამართლებრივი მონესრიგება ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირს შეუძლია, კეთილსინდისიერების კონცეფციის გამოყენებით, როგორც მოძრავ (სკ-ის 186 I, 187 I), ასევე უძრავ (სკ-ის 183, 185) ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვება, თუმცა ამისთვის კუმულატიურად უნდა არსებობდეს სუბიექტური და ობიექტური ელემენტების ერთობლიობა, კერძოდ, უძრავი ნივთის

³ საერთაშორისო სამართლის მიმართულებით არსებობს მრავალფეროვანი დათქმები, რომლებიც მხარეებს შორის არსებულ ინტერესტთა კონფლიქტს განსხვავებულად აწესრიგებს. მაგალითად, შვეიცარიული მონესრიგების მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია კეთილსინდისიერი შემძენისთვის თანხის გადახდის სანაცვლოდ გასხვისებული ნივთი უკან დაიბრუნოს. (934 II შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი).

⁴ მიუხედავად იმისა, რომ ქართველი კანონმდებელი ცალსახად განსხვავებს ერთმანეთისგან სუბიექტურ

ელემენტებს უძრავ და მოძრავ ნივთებზე კეთილსინდისიერებით საკუთრების მოპოვების კონსტელაციებში, სასამართლო პრაქტიკა და ზოგჯერ ქართული იურიდიული დოქტრინაც ურევს ამ ორ შემთხვევას ერთმანეთთან და უხეში გაუფრთხილებლობის სუბიექტურ ელემენტს იყენებს უძრავი ნივთების შემთხვევებშიც - იხ. დეტალურად რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 299.

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3834338?publication=0> (ბოლოს ნანახია 28.12.2023)

შემთხვევაში, არაუფლებამოსილი გამსხვისებელი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უნდა იყოს როგორც მესაკუთრე და შემძენმა არ უნდა იცოდეს მისი უფლებამოსილების არ არსებობის შესახებ (სკ-ის 185), ხოლო მოძრავი ნივთების შემთხვევაში – შემძენმა ნივთზე უნდა მოიპოვოს პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელობა (სკ-ის 186 I) და, სულ მცირე, უხეში გაუფრთხილებლობით არ უნდა იცოდეს გამსხვისებლის საკუთრების უფლების არარსებობის შესახებ (სკ-ის 187 I).⁶

შესაბამისად, თუ მოცემული წინაპირობები კუმულატიურად არსებობს, ნამდვილი მესაკუთრე ზარალდება არამხოლოდ სანივთოსამართლებრივად, რამდენადაც საკუთრების უფლებას კარგავს ნივთზე, არამედ, მასვე უნევს არაუფლებამოსილი გამსხვისებლის გაკოტრების რისკის ტარებაც. აქვე, ნამდვილი მესაკუთრე კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ ვერც დელიქტური და ვერც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე მოთხოვნას ვერ დააყენებს, რადგან პირველ შემთხვევაში სკ-ის 187 I მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა, სკ-ის 992 მუხლის გამოყენებას უხეში გაუფრთხილებლობამდე (უხეში გაუფრთხილებლობის ზღვრის მიღწევამდე) გამორიცხავს, ხოლო სკ-ის 990-ე მუხლის მიხედვით, ნამდვილ მესაკუთრეს შეუძლია შემძენს მოსთხოვს ნივთი უკან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემძენმა ნივთი უსასყიდლოდ მიიღო.

აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების კონცეფციის მომწესრიგებელი ქართული მოდელი შემძენსა და ნამდვილ მესაკუთრეს შორის გარდუვალად წარმოშობილ კონფლიქტს კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ წყვეტს და ნამდვილი მესაკუთრის ინტერესებს საგრძნობლად ზღუდავს.

გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერი შემძენის კონცეფციის ამგვარი მოწესრიგება გამართლებულია სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და სიცხადის არგუმენტებით.⁷ ასევე შემძენის ინდივიდუალური ინტერესის, კერძოდ, ტრანზაქციისადმი მისი ნდობის დაცვით.⁸ რაც გულისხმობს იმას, რომ თუ გარეგნულად აღქმადი გარემოება, როგორც ობიექტური ნდობის განმაპირობებელი ელემენტი⁹, არაუფლებამოსილი პირის მესაკუთრედ ყოფნის ილუზიას უქმნის შემძენს¹⁰ და მას ხელშეკრულების დადებისკენ უბიძგებს¹¹, მაშინ გარიგებისადმი მისი ნდობა სამართლებრივი თვალსაზრისით დაცვას იმსახურებს. თუმცა, აღნიშნული ობიექტური ელემენტი სუბიექტური ელემენტით ანუ კეთილსინდისიერებით უნდა იყოს შევსებული.¹² ანუ, მაგალითად თუ შემძენისთვის რეალურად ცნობილია, რომ გამსხვისებელი არ არის ნივთის ნამდვილი მესაკუთრე, ობიექტური გარემოებები, რომლებიც საწინააღმდეგოზე მიუთითებს და გამსხვისებელს მესაკუთრედ წარმოაჩენს, აღარ გაითვალისწინება და შემძენი კეთილსინდისიერ პირად ვეღარ განიხილება.

⁶ იხ. დეტალურად საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების წინაპირობები *რუსიაშვილი/სირდაძე/გენატაშვილი*, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 297 - 300. უძრავ ნივთზე კეთილსინდისიერებით საკუთრების მოპოვების წინაპირობები - *სირდაძე*, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019, 44 და შემდეგი გვერდები.

⁷ შდრ. MüKo/Oechsler, § 932 Rn.3; Bamberger/Roth/Kindl, § 932 Rn. 1; Wadler E., JZ 1974, 689 (696); Hübner H., Der Rechtsverlust im Mobiliarsachenrecht, S. 77; Voigt U. M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S. 213; აღნიშნულის საწინააღმდეგოდ Witt C.H., AcP 201 (2001), 165 (169 ff.).

⁸ BGH NJW 1971, 750 (751); Staudinger/Wiegand, Vor §§ 932 ff. Rn. 11; MüKo/Oechsler, § 932 Rn. 8; Canaris C. W., Die Vertrauenshaftung im deutschen Privatrecht S. 491 ff.; Voigt U.M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S. 210 f.

⁹ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გარდა ტერმინისა „ობიექტური ნდობის ელემენტი“ („objektiver Vertrauensstatbestand“) ასევე ხშირად გამოიყენება სხვა იგივე მნიშვნელობის ცნებები, როგორებიცაა, „Anscheinstatbestand“, „Rechtsscheinposition“, „Rechtsscheinbasis“. შდრ. Staudinger/Wiegand, Vor §§ 932 ff. Rn. 15.

¹⁰ Voigt U.M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S.261.

¹¹ Hager J., Verkehrsschutz durch redlichen Erwerb, München, 1990, S. 226.

¹² შდრ. LG Düsseldorf NJW-RR 1999, 615 (616); OLG München JZ 1957, 444 f.; MüKo/Oechsler, § 932 Rn. 30 ff.; Staudinger/Wiegand, § 932 Rn. 7; Bamberger/Roth/Kindl, § 932 Rn. 11; Wiegand W., JuS 1978, 145 f.; Westermann H., JuS 1963, 1 ff.; Musielak H.J., JuS 1992, 713 ff.; Reichel H., Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht, S. 31; Vieweg K./Werner A., Sachenrecht S. 139.

შესაბამისად, შემძენის სამართლებრივად დაცვის ღირსი ნდობის ჩამოსაყალიბებლად კუმულატიურად უნდა არსებობდეს ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობა და სავარაუდოდ, სწორედ, მათი კორელაცია განაპირობებს განსხვავებული სუბიექტური ნინაპირობების არსებობას მოძრავი და უძრავი ნივთების კონსტელაციებში. აღნიშნული ვარაუდის გასამტკიცებლად, თავდაპირველად მიმოიხილება უძრავი და მოძრავი ნივთების შექმნისთვის კანონმდებლით დადგენილი ჯერ ობიექტური, შემდეგ სუბიექტური ელემენტები ცალ-ცალკე და ბოლოს, მოხდება მათ შორის სავარაუდოდ არსებული კორელაციის დადგენა.

III. ობიექტური ნდობის ელემენტები

1. მფლობელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის არსებობა სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებასა და სიცხადეს ემსახურება.¹³ კერძოდ, როდესაც პირი მოძრავ ნივთს ყიდის, მყიდველს, როგორც წესი, არ შეუძლია მიხვდეს, აქვს თუ არა გამსხვისებელს შესაბამისი სანივთო უფლება მოცემულ ნივთზე, ხოლო, ნებისმიერი დეტალური კვლევა ნამდვილი სამართლებრივი ურთიერთობის დასადგენად ხელს შეუშლიდა ტრანზაქციის სწრაფ და შეუფერხებლად განხორციელებას და ძალიან არაპრაქტიკული იქნებოდა.¹⁴ ამასთან, მყიდველის მხრიდან გასხვისების მთელი ჯაჭვის გადამონმების ვალდებულება წარმოშობდა ინფორმაციის მოპოვების არათანაზომიერ ხარჯებს¹⁵ და

ზოგჯერ შეუძლებელიც კი იქნებოდა. ზემოაღნიშნული სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ქართველმა კანონმდებელმა უარი თქვა მოძრავი ნივთის შემძენისთვის (უხეში გაუფრთხილებლობის ზღვრამდე) კვლევის ვალდებულების დაკისრებაზე და სანაცვლოდ გადაწყვიტა დაეცვა მყიდველის ნდობა გამსხვისებლის საკუთრების უფლების არსებობის შესახებ,¹⁶ რომლის არსებობაზეც გარეგნულად აღქმადი გარემოებები მიუთითებს და რომელიც უზიძგებს შემძენს, დადოს ხელშეკრულება მოჩვენებით მესაკუთრესთან.¹⁷

ასეთ გარეგნულად აღქმად გარემოებად, უპირველესად, შესაძლოა მივიჩნიოთ თავად არაუფლებამოსილი გამსხვისებლის ქცევა, რომელიც პირდაპირ ან კონკლუდენტურად მიაწინებს შემძენს, რომ იგი აღნიშნული ნივთის მესაკუთრეა. თუმცა მოცემული გარემოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის პიროვნებაზე, ანუ, გამსხვისებლის პერსონალურ კეთილსინდისიერებაზე და მას არ შეუძლია შემძენში მალალი ნდობის გამოწვევა. ამასთან, მოცემულ კონსტელაციაში, როგორც ნამდვილი მესაკუთრე, ასევე, კეთილსინდისიერი შემძენი „ერთნაირ“¹⁸ ნდობას უცხადებენ არაუფლებამოსილ გამსხვისებელს, კერძოდ, ნივთის ნამდვილ მესაკუთრეს სჯერა, რომ პირი, რომელსაც ნივთზე მფლობელობა გადასცა, მისი თანხმობის გარეშე, ნივთს არ გაასხვისებს,¹⁹ ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს სჯერა, რომ იგი ნამდვილი მესაკუთრეა, რადგან ნივთს ასხვისებს.

შესაბამისად, ვინაიდან ორივე პირს ერთიანი იმავე ხარისხის ნდობის ბაზისი გააჩნიათ არაუ-

¹³ შდრ. MüKo/Oechsler, § 932 Rn.3; Bamberger/Roth/Kindl, § 932 Rn. 1; Wadle E., JZ 1974, 689 (696); Hübner H., Der Rechtsverlust im Mobiliarsachenrecht, S. 77; Voigt U. M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S. 213; აღნიშნულის სანინაალმდეგოდ Witt C.H., AcP 201 (2001), 165 (169 ff.).

¹⁴ შდრ. MüKo/Oechsler, § 932 Rn.3; Staudinger/Wiegand, § 932 Rn. 55 ff.; Binding K., Die Ungerechtigkeit des Eigentumserwerbs vom Nichteigentümer, S. 1 ff.; Wieacker F., Wandlungen der Eigentumsverfassung, S. 30 ff.; თანამედროვეობაში Rusch A. F. Rechtsscheinlehre in der Schweiz, S. 32; Peters F., Eigentumsentzug durch gutgläubigen Erwerb, S. 11 ff.;

¹⁵ Schäfer H.B./Ott C., Lehrbuch der ökonomischen Analyse des Zivilrechts, S. 517 f.; Bartels K., AcP 205 (2005),

687 ff.; Rusch A. F., Rechtsscheinlehre in der Schweiz, S. 32.

¹⁶ BGH NJW 1971, 750 (751); Staudinger/Wiegand, vor §§ 932 ff. Rn. 11; MüKo/Oechsler, § 932 Rn. 8; Canaris C. W., Die Vertrauenshaftung im deutschen Privatrecht S. 491 ff.; Voigt U.M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S. 210 f.

¹⁷ Hager J., Verkehrsschutz durch redlichen Erwerb, München, 1990, S. 226.

¹⁸ Peters F., Eigentumsentzug durch gutgläubigen Erwerb, S. 58.

¹⁹ Peters F., Eigentumsentzug durch gutgläubigen Erwerb, S. 58. Voigt U.M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S. 212; Peters F., Eigentumsentzug durch gutgläubigen Erwerb, S. 58.

ფლებამოსილი გამსხვისებლის მიმართ, მფლობელობა არის ის გადამწყვეტი ობიექტური გარემოება, რომელსაც შემძენში გამსხვისებლის მესაკუთრედ ყოფნის მიმართ ნდობის წარმოშობა შეუძლია.

ზოგადად, სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირები საკუთრებასა და მფლობელობას ნაკლებად ასხვავებენ ერთმანეთისგან და როგორც წესი, ვარაუდობენ, რომ ის პირი, რომელიც ნივთზე ფიზიკურ ბატონობას ახორციელებს, ამავე დროს მისი მესაკუთრეცაა (სკ-ის 158 I).²⁰ შესაბამისად, როდესაც არაუფლებამოსილი პირი ფაქტობრივად ფლობს ნივთს, რომელსაც შემძენს პირდაპირ მფლობელობაში გადასცემს, ამ უკანასკნელს უჩნდება გამსხვისებლის მესაკუთრედ ყოფნის ვარაუდი, რომელიც სამართლებრივად დაცვის ღირსია, რამდენადაც ეს წარმოდგენა არაპიროვნულ, გარეგნულად აღქმად ფაქტს ეფუძნება.²¹

შემძენის აღნიშნულ წარმოდგენას აძლიერებს ისიც, რომ ნივთზე ფიზიკური ბატონობის მოპოვებით მას უჩნდება საკუთრების უფლების სრულყოფილად მიღების წარმოდგენა, ასევე, ნივთის უკეთ დაცვის მოლოდინი თვითდახმარების გამოყენებით (სკ-ის 118) და ამასთან, ნივთთან მიმართებით მოიპოვებს უკეთეს მფლობელობით პოზიციას, ვიდრე ნამდვილ მესაკუთრეს გააჩნია.²²

თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი ნდობის დამაფუძნებელი გარემოებები ქრება იმ შემთხვევაში, როდესაც არაუფლებამოსილი გამსხვისებელი კეთილსინდისიერ შემძენს პირდაპირი მფლობელობის ნაცვლად ნივთზე გადასცემს არაპირდაპირ მფლობელობას. მოცემულ საკითხს დეტალურად ქვემოთ შევხვებით.

2. საჯარო რეესტრის ჩანაწერი

სკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, შემძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უძრავ ნივთზე კეთილსინდისიერებით საკუთრების უფლების მოპოვება, თუ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი მესაკუთრედ არის რეესტრირებული საჯარო რეესტრში. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერი გვევლინება, როგორც ობიექტური ნდობის ელემენტი,²³ რომელსაც შემძენი შეუძლია დაეყრდნოს. მართალია, უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის ფორმალიზებისა და საჯარო რეესტრის მონაწილეობის შედეგად აღნიშნული პროცესი მეტნაკლებ კონტროლს ექვემდებარება და ძირითად შემთხვევებში საჯარო რეესტრის ჩანაწერი ასახავს სწორ სამართლებრივ მიმართებას უძრავ ნივთსა და მასზე უფლების მქონე პირს შორის, თუმცა უზუსტობები და პრობლემები ამით სრულად ვერ იქნება აღმოფხვრილი. ამიტომაც, ქართველმა კანონმდებელმა საჯარო რეესტრის ჩანაწერის სანდოობის განსამტკიცებლად შემოიტანა საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია (სკ-ის 312), რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი მანამდე ითვლება სწორად და სრულყოფილად, სადამდეც თავად მიუთითებს ამაზე.²⁴ ამასთან, თუკი რომელიმე უფლება არ არის მითითებული საჯარო რეესტრის ჩანაწერში, ივარაუდება, რომ ასეთი უფლება არ არსებობს.²⁵ ანუ მოკლედ რომ ითქვას: „რეესტრის დუმილს შეგვიძლია ვენდოთ“.²⁶

IV. სუბიექტური ნდობის ელემენტები

როგორც უკვე აღინიშნა, შემძენი კეთილსინდისიერად ითვლება მაშინ, თუ სუბიექტური და

²⁰ შდრ. *Rusch A. F.*, *Rechtsscheinlehre in der Schweiz*, S. 22.

²¹ BGHZ 56, 123 (128); BGHZ 10, 80 f.; *MüKo/Oechsler*, § 932 Rn. 6.; *Staudinger/Wiegand*, § 932 Rn. 21; *Bamberger/Roth/Kindl*, § 932 Rn. 11; *Wiegand W.*, *JuS* 1978, 145 f.; *Westermann H.*, *JuS* 1963, 1 ff.; *Musielak H.J.*, *JuS* 1992, 713 ff.; *Reichel H.*, *Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht*, S. 31; *Vieweg K./Werner A.*, *Sachenrecht* S. 139. Die Publizitätsfunktion des Besitzes ist seit Langem kritisiert Vgl. *Rebe B.*, *AcP* 173 (1973), 186 ff.; *Hager J.*, *Verkehrsschutz durch redlichen Erwerb*, S. 241 ff.

²² შდრ. *RGZ* 89, 348 (350); *RGZ* 135, 75 (79); *RGZ* 137, 23 (27); *BGH NJW* 1959, 1536 (1538); *BGH NJW*

1979, 2037 (2038); *MüKo/Oechsler*, § 932 Rn. 6; *Bamberger/Roth/Kindl*, § 934 Rn. 7;

²³ შდრ. *Staudinger/Picker*, § 892 Rn.4 ff.; *MüKo/Kohler* § 892 Rn.2ff.; *Sallawitz H. J.*, *Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis*, S. 115 f.; *Westermann H.*, *JuS* 1963, 1 (4); *Locher E.*, *Die Neugestaltung des Liegenschaftsrechtes*, 122 ff. *Lutter M.*, *AcP* 164 (1964), 122 ff.

²⁴ *Wegmann A. M.*, *Der Streit um den positiven öffentlichen Glauben des Handelsregisters*, S. 10.

²⁵ სრულად: *Staudinger/Picker*, § 891 Rn. 43 ff.

²⁶ *Hartwig H.*, *Sachenrecht und Wertpapierrecht mit Hinweisen auf den Zivilprozess* S. 55.

ობიექტური ნდობის ელემენტები ერთდროულად არსებობს. თუ მაგალითად შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე, მიუხედავად საჯარო რეესტრის ჩანაწერის არსებობისა, იგი ვერ იქნება კეთილსინდისიერი პირი. შესაბამისად, კეთილსინდისიერება, როგორც სუბიექტური ნდობის ელემენტი, წინ ელოდება მხარეთა მიერ სამართლის ბოროტად გამოყენებას და ადგენს საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების საზღვრებს.²⁷

ნივთის კეთილსინდისიერად შექმნის კონცეფციაში, სუბიექტური ელემენტის უკეთ გაგებისთვის, ჯერ განვიხილავთ ზოგადად კეთილსინდისიერების ცნებას და შემდგომში განისაზღვრება მისი ფარგლები შემძენის სუბიექტური ცოდნის მაგალითზე.

1. კეთილსინდისიერება ზოგადად

კეთილსინდისიერების ცნება ქართულ კანონმდებლობაში შინაარსობრივად არაზუსტად არის გადმოცემული და არასისტემატიზირებულია. მოცემული ტერმინთან დაკავშირებულ ბუნდოვანებას ხელს უწყობს საკანონმდებლო დონეზე ერთიანი დეფინიციის არარსებობა და ასევე მისი გამოყენება განსხვავებული მნიშვნელობებით სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებში (სკ-ის 5 II, 8 III, 81 II ა. შ.). ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც, სამწუხაროდ, მისი კონკრეტიზაციის რაიმე მცდელობა არ შეინიშნება.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კეთილსინდისიერება განისაზღვრება, როგორც „სამართლებრივი ხარვეზის არაბრალეული არცოდნა“.²⁸ ხოლო შვეიცარიის სასამართლო კეთილსინდისიერების არსებობისთვის მოითხოვს, რომ რწმენა არარსებული ფაქტის არსებობის შესახებ ეფუძნებოდეს საპატიებელ შეცდომას.²⁹

კეთილსინდისიერებას ხშირად ასევე განსაზღვრავენ, როგორც „ცოდნის მდგომარეობას,

რომელიც ეფუძნება სამართლებრივ ხარვეზს და საკმარისია, იმისთვის რომ მოხდეს სამართლებრივი ხარვეზის შედეგად გამოწვეული შედეგების აღმოფხვრა ან შესუსტება“.³⁰

კეთილსინდისიერების ცნებას მოცემული დეფინიციების მიხედვით, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ორი მთავარი ნიშანი გააჩნია:

- უნდა არსებობდეს სამართლებრივი ხარვეზი (მაგ. გამსხვისებელს არ უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლება).
- და მოცემულ სამართლებრივ ხარვეზს უნდა ეფუძნებოდეს პირის სუბიექტური მდგომარეობა (მაგ. შემძენის ცოდნა ან უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა).

შესაბამისად, კეთილსინდისიერების საკითხის განხილვა მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნის კონსტელაციებში მოხდება მისი ამ ორი ნიშნის მიხედვით.

2. კეთილსინდისიერება მოძრავი ნივთების შექმნისას

ა) სამართლებრივი ხარვეზი

სკ-ის 187 I მუხლის მიხედვით, კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. შესაბამისად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, შემძენის ცოდნა მისი არაკეთილსინდისიერად მიჩნევისთვის უნდა ეფუძნებოდეს გამსხვისებლის საკუთრების და არა განკარგვის უფლებამოსილების არარსებობას.³¹

რაიხელი ზოგადად ასეთ დათქმას „მკაცრ და სამოქალაქო ბრუნვისთვის“ მიუღებელ შეზღუდვად მოიხსენიებს.³² მისი მოსაზრებით, თუ კანონმდებელმა საკუთრების უფლების შექმნა კეთილსინდისიერების საშუალებით ერთხელ უკვე აღიარა, აღნიშნული „შედეგად“ დაშვებული უნდა იყოს უფრო ფართო გამოყენებით და არა

²⁷ BGH NJW 1968, 1382; MüKo/Oechsler, § 932 Rn. 31 f.; *Ernst W.*, Fs Gernhuber 1993, 95 (109).

²⁸ *Meier H.*, Vertrauensprinzip, S. 155

²⁹ BGE von 01.05.1931/ 57 II 255 <http://www.servat.unibe.ch/dfr/pdf/c2057253.pdf> (ბოლოს ნანახია: 30.12.2023).

³⁰ შდრ. *Jäggi P.*, Berner Kommentar Art. 3 ZGB Rn. 26.

Staudinger/Wiegand, § 932 BGB Rn.38; MüKo/Oechsler, § 932 Rn. 33; *Wiegand W.*, JuS 1974, 204 (206); S. 31; *Vieweg K./Werner A.*, Sachenrecht S. 139. *Quantz T.*, Besitz und Publizität, S. 317 ff.; აღნიშნულის საწინააღმდეგოდ *Reichel H.*, Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht, S. 31 f.

³² *Reichel H.*, Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht, S. 31.

მხოლოდ საკუთრების უფლების არსებობის ვარაუდით.³³ რაც ნიშნავს იმას, რომ როდესაც კეთილსინდისიერ შემძენს გარეგნულად აღქმადი ნიშნებით სჯერა რომ გამსხვისებელს შეუძლია მას ნივთზე საკუთრების უფლება გადასცეს, ეს რწმენა დაცული უნდა იყოს, იმისგან დამოუკიდებლად, ის ეფუძნება გამსხვისებლის საკუთრების თუ განკარგვის უფლებამოსილების არსებობას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრება ამ შეზღუდვას მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციის ნორმაზე (სკ-ის 158) მითითებით ამართლებს, რამდენადაც იგი წარმოშობს ვარაუდს, რომ ნივთის ფაქტობრივი მფლობელი მისი მესაკუთრეცაა და კეთილსინდისიერი შემძენი აღნიშნულს ენდობა.³⁴ შესაბამისად, სკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმცია მოქმედებს საკუთრების და არა განკარგვის უფლებამოსილების მიმართ, რომელიც „სანივთო უფლებიდან წარმოებული მეორადი უფლებაა და რომელსაც არავითარი კავშირი მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციასთან და კეთილსინდისიერ შემძენთან არ აქვს“.³⁵ ანუ, თუ, მაგალითად, შემძენი შეიტყობს, რომ გამსხვისებელს არ აქვს საკუთრების უფლება ნივთზე, ნყდება სკ-ის 158-ე მუხლის მოქმედება და, დამოუკიდებლად იმისა, მიაჩნია თუ არა შემძენს გამსხვისებელი განკარგვის უფლებამოსილების მქონედ, იგი ვეღარ ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად.

თუმცა, მოცემული მოსაზრება გაკრიტიკებულია გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად, რებე მიუთითებს, რომ მესაკუთრედ ყოფნის პრეცეპტი ემსახურება არა არაუფლებამოსილი გამსხვისებლის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციით აღჭურვას, არამედ მტკიცების ტვირთის გამარტივებას.³⁶

აღსანიშნავია, რომ მოცემული პრეზუმციით კანონმდებლის ფორმულირების გამართლება

პრობლემური შეიძლება იყოს იმ მიზეზითაც, რომ საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების ნორმები მოქმედებს შემძენზე არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემის დროსაც, ანუ, როდესაც გამსხვისებელი არ ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას და არც სკ-ის 158-ე მუხლის პრეზუმცია არ მოქმედებს.

საბოლოოდ, იმისდა მიუხედავად, მოცემული შეზღუდვის არსებობას რა საფუძვლით გავამართლებთ, სკ-ის 187-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით ცალსახაა, რომ შემძენის ცოდნა/უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა უნდა მიემართებოდეს გამსხვისებლის არამესაკუთრეობას და არა განკარგვის უფლებამოსილების არარსებობას.

ბ) უხეში გაუფრთხილებლობა

სკ-ის 187-ე მუხლი აწესებს კეთილსინდისიერების საზღვრებს და შემძენს არაკეთილსინდისიერად მიიჩნევს მაშინაც, როდესაც მან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა გამსხვისებლის საკუთრების უფლების არარსებობის შესახებ.³⁷ ანუ, მოცემულ შემთხვევაში პირი ისჯება იმის გამო, რომ მან საკმარისად არ გამოიკვლია, იყო თუ არა გამსხვისებელი მესაკუთრე.³⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, არ იცნობს გაუფრთხილებლობის დეფინიციას. მაგრამ, იგი ერთმანეთისგან განასხვავებს მარტივ და უხეშ გაუფრთხილებლობას, თუმცა მათი გამიჯვნის კრიტერიუმებს არ აწესრიგებს საკანონმდებლო დონეზე.

გერმანელი კანონმდებელი, მართალია, განსაზღვრავს გაუფრთხილებლობის ცნებას საკანონმდებლო დონეზე (გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულებას (გსკ-ის 276 II)), თუმცა, იგი მიზანმიმართულად

³³ Reichel H., Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht, S.31.

³⁴ Quantz T., Besitz und Publizität, S. 317 ff.

³⁵ შდრ. Reichel H., Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht, S. 31.

³⁶ Rebe B., AcP 173 (1973), 186 (194).

³⁷ შდრ. BGH NJW 1961, 777; MüKo/Oechsler, § 932 Rn. 38 ff.; Saudinger/Wiegand, § 932 Rn. 47 ff.; Palandt/Bassenge, § 932 Rn. 9 ff.; Müller-Erzbach R., Das

private Recht der Mitgliedschaft als Prüfstein eines kausalen Rechtsdenkens, S. 330; König V., Die grobe Fahrlässigkeit, S. 36; Bokelmann E., Grobe Fahrlässigkeit, S. 8 ff.

³⁸ MüKo/Oechsler, § 932 Rn. 41 ff.;

უარს ამბობს უხეში გაუფრთხილებლობის ფორმულირებისგან იმ საბაბით, რომ მისი დეფინირების საჭიროება არ არსებობს.³⁹ გერმანულ ლიტერატურაშიც იზიარებენ აღნიშნულ პოზიციას და მიუთითებენ, რომ უხეში გაუფრთხილებლობის დეფინირების ყოველგვარი მცდელობა „შინაარსისგან დაცლილი ტავტოლოგიაა“.⁴⁰ ამიტომაც, „გაუფრთხილებლობის შინაარსი და ხარისხი ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა შეფასდეს“.⁴¹

თუმცა, გერმანულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაშიც არსებობს უხეში გაუფრთხილებლობის ფორმულირების არაერთი მცდელობა.⁴² სტანდარტული დეფინიცია, რომელსაც გერმანული სასამართლო პრაქტიკა იყენებს, ჟღერს შემდეგნაირად: „პირი მოქმედებს უხეში გაუფრთხილებლობით, როდესაც სამოქალაქო ბრუნვისთვის საჭირო წინდახედულება, გარემოებების ერთობლივი ანალიზის მიხედვით, უჩვეულოდ მაღალი მასშტაბით დაირღვა და ის, რაც მოცემულ შემთხვევაში ყველასთვის აშკარა უნდა ყოფილიყო, უგულვებლყოფილ იქნა.“⁴³

დეფინირების აღნიშნულ მცდელობებს ამართლებენ იმით, რომ სტანდარტული დეფინიცია წარმოადგენს ორიენტირების საშუალებას,⁴⁴ სასამართლოს ჰქონდეს გაცილებით ნაკლები ინტერპრეტაციის სივრცე და ასევე ნაკლები შესაძლებლობაც, რათა ერთი და იმავე სიტუაციაში განსხვავებული გადანყვეტილებები მიიღოს.⁴⁵

თუმცა, უხეში გაუფრთხილებლობის მარტივი გაუფრთხილებლობისგან გამიჯვნა გერმანულ სამართალში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება.⁴⁶

გერმანულ ლიტერატურაში მათ გასამიჯნად ამოსავალ წერტილად იღებენ იმ გარემოებას, თუ რამდენად მარტივი იყო პირისთვის ამა თუ იმ სიტუაციაში სამართლებრივად რელევანტური გარემოებების აღქმა.⁴⁷

ჯუსოვის მოსაზრებით, არასწორი ქმედება განსაკუთრებულად წინდაუხედავად უნდა შეფასდეს მაშინ, თუ ქმედების განმხორციელებელი პირი არ იჩენს ნათელ და ცხად სიტუაციებში გამოსაჩენ ელემენტარულ ყურადღებას.⁴⁸ ამის სანინააღმდეგოდ, იგივე არასწორი ქმედება რთულ, კომპლექსურ სიტუაციებში შესაძლებელია მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდეს, რადგან სამართლებრივად რელევანტური გარემოებები მოცემულ შემთხვევაში უფრო დიდი ძალისხმევის შედეგად შეიძლება იყოს აღქმული.⁴⁹

მოცემული გამიჯვნის კრიტერიუმის აქილევსის ქუსლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირებს მათი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ ემოციური (მაგ. ახლომხედველობა ან გამოუცდლობა) მდგომარეობის გათვალისწინებით, განსხვავებული უნარი გააჩნიათ, აღიქვან საქმისთვის რელევანტური გარემოებები და საჭირო წინდახედულება გამოიჩინონ.

შეკითხვაზე, თუ რამდენად სწორი იქნებოდა, ასეთ შემთხვევებში პირის ინდივიდუალური

³⁹ Motive I, S. 280; *Lohe H. W.*, VersR 1968, 323 („bewusst davon abgesehen“); sowie *Roesch H.*, VersR 1971, 1097 (1098).

⁴⁰ *Bokelmann E.*, Grobe Fahrlässigkeit, S. 8; *Wendt*, AcP 1899, 422 (429); *Deutsch E.*, JuS 1967, 496 (498).

⁴¹ *Sanden G.*, VersR 1967, 1013 (1016) („durch Gericht feststellbar“); *Weingart O.*, VersR 1968, 427 (428).

⁴² *König V.*, Die grobe Fahrlässigkeit, S. 39 ff.

⁴³ BGHZ 10, 14, (16). აღნიშნული ცნება გერმანულ სამართალში გამოიყენება ყველა კერძო-სამართლებრივ ნორმათა ჯგუფში, სადაც უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმა, ისეა წარმოდგენილი. შდრ. RGZ 141, 129 (131); BGH NJW 2019, 3147 f.; ყველა სხვა დეფინიცია, მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, მაინც ეფუძნება სასამართლო პრაქტიკის სტანდარტულ დეფინიციას. *König V.*, Die grobe Fahrlässigkeit, S. 44.

⁴⁴ *Larenz K./Canaris C.W.*, Methodenlehre der Rechtswissenschaft, S. 482; *Jacob M.M.*, Beurteilung grober Fahrlässigkeit, S. 37.

⁴⁵ *Jacob M.M.*, Beurteilung grober Fahrlässigkeit, S. 37.

⁴⁶ *Riedhammer M.*, Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, S. 77.

⁴⁷ *Riedhammer M.*, Kenntnis, grobe Fahrlässigkeit und Verjährung, S. 78; *Wussow W.*, Unfallhaftpflichtrecht, S. 24.

⁴⁸ *Wussow W.*, Unfallhaftpflichtrecht, S. 24.

⁴⁹ *Wussow W.*, Unfallhaftpflichtrecht, S. 24. აღნიშნული მოსაზრების სანინააღმდეგოდ *Röhl F.K.*, JZ 1974, 521 (524). *Röhl-* ის მოსაზრების მიხედვით, მარტივ გაუფრთხილებლობას შესაძლოა ჰქონდეს დიდი შედეგი, რაც სამოქალაქო სამართლისთვის შესაძლოა შეუსაბამო იყოს. ამიტომ იგი მოცემული საკითხის განმარტების სხვა წესს გვთავაზობს: „უხეში გაუფრთხილებლობა არსებობს მაშინ, როდესაც წინდახედულობის დარღვევა ხდება განგრძობად სიტუაციაში. თუმცა სწრაფად ცვალებად სიტუაციაში წინდახედულობის ნორმების დარღვევა უნდა შეფასდეს მარტივ გაუფრთხილებლობად“ - *Röhl F.K.*, JZ 1974, 521 (524).

უნარების გათვალისწინება, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რისი დეტალური განხილვაც აღნიშნულ სტატიაში არ მოხდება.

აქ მხოლოდ მოკლედ იქნება აღნიშნული, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შემქმნის კეთილსინდისიერების შესაფასებლად მისი ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებას იმ დასაბუთებით ეწინააღმდეგებიან,⁵⁰ რომ ასეთ შემთხვევაში შემქმნი ორმაგად მოგებული დარჩებოდა, უპირველესად იმით, რომ სამართალში ზოგადად დაშვებულია ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვება და, მეორე იმით, რომ შემქმნი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებოდა მისი ინდივიდუალური უნარებიდან გამომდინარე.⁵¹ ბოკელმანი აქვე აღნიშნავს⁵², რომ როდესაც ნამდვილი მესაკუთრე ნივთზე საკუთრების უფლებას კარგავს, გერმანელი კანონმდებელი მის პერსონალურ უნარებს უგულვებლყოფს, შესაბამისად სწორი იქნება, შემქმნის ინდივიდუალური უნარებიც ყურადღების მიღმა დარჩეს.

როიტერი იზიარებს ანალოგიურ მიდგომას იმ მოსაზრებით, რომ კეთილსინდისიერების ნორმა იცავს არა ინდივიდის ინდივიდუალურ უნარებს, არამედ სამოქალაქო ბრუნვას.⁵³

სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და სიმარტივის გამო დოიჩი ასევე ეწინააღმდეგება სუბიექტური თეორიის გამოყენებას.⁵⁴

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ უხეში გაუფრთხილებლობის დეფინირება და შემდგომში მისი პრაქტიკული გამოყენება სამართლის არც თუ ისე მარტივი საკითხია, ამიტომაც ზოგიერთი ქვეყანა გაცილებით ამარტივებს ამ მიდგომას, და მაგალითად ავსტრიული სამართლისა⁵⁵ თუ DCFR-ის⁵⁶ მიხედ-

ვით, მარტივი გაუფრთხილებლობაც კი საკმარისად ითვლება შემქმნის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისთვის.

3. კეთილსინდისიერება უძრავი ნივთების შემქმნისას

ა) სამართლებრივი ხარვეზი

სკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემქმნმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. აღნიშნული მუხლის დეფინიციით ცალსახაა, რომ შემქმნი მხოლოდ მაშინ არის არაკეთილსინდისიერი, თუ აქვს პოზიტიური ცოდნა იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი არასწორია და რეგისტრირებული პირი არ არის რეალური მესაკუთრე.

საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებით პრაქტიკული პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც შემქმნი უძრავი ნივთის შემქმნისას თავად არ ამოწმებს საჯარო რეესტრის ჩანაწერს, ენდობა მხოლოდ გამსხვისებლის მტკიცებას, და შესაბამისად, მოქმედებს უკიდურესად დაუდევრად და „ბედს მინდობილი“.⁵⁷ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ცალკეული მოსაზრებების მიხედვით, ვინაიდან შემქმნის ნდობა არ ეფუძნება საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორეს, იგი არ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას.⁵⁸

მოცემული მოსაზრება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშივე მეტწილად უკუგდებულია მტკიცების ტვირთის სირთულიდან გამომდინარე.⁵⁹ აღნიშნულ პოზიციას აძლიერებს გე-

⁵⁰ MüKo/Oechsler, § 932 Rn. 47; Deutsch E., Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt, S. 346; Bokelmann E., Grobe Fahrlässigkeit, S. 44; Reuter E., Grobe Fahrlässigkeit im Privatversicherungsrecht, S. 36; Röhl F.K., JZ 1974, 521.

⁵¹ Bokelmann E., Grobe Fahrlässigkeit, S. 44.

⁵² Bokelmann E., Grobe Fahrlässigkeit, S. 45 f.

⁵³ Reuter E., Grobe Fahrlässigkeit im Privatversicherungsrecht, S. 36.

⁵⁴ Deutsch E., Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt, S. 346.

⁵⁵ Dittrich R./Tades H., Das allgemeine Bürgerliche Gesetzbuch, § 367 ABGB, Rn.3.

⁵⁶ Die Regelungsentwurf der DCFR, შდრ. VIII. – 3:101 I. C

⁵⁷ Schmelzeisen G.K., AcP 151 (1950/1951), 461.

⁵⁸ RGZ 61, 195 (202); Wiegand W., JuS, 1978, 145 (149f.); ebenso Schmelzeisen G.K., AcP 151 (1950/1951), 461.

⁵⁹ Vgl. RGZ 86, 353 (356); BGH NJW 1980 2413 (2414); BGH NJW 1990, 975; BGHZ 140, 54 (61); OLG Jena Rpfleger 2012, 517; Staudinger/Picker, 2019, Rn. 7, 128, 140, 184; Bamberger/Roth/Eckert, § 892 Rn. 13; Hager

რმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღებისას არსებული განმარტებებიც, სადაც მითითებულია, რომ „საჯარო რეესტრის ჩანაწერის შინაარსი მონაწილეებისთვის მიჩნეულ უნდა იქნეს ცნობილად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი მას ფაქტობრივად არ ნახავს.“⁶⁰ საჯარო რეესტრში ჩახედვის საჭიროების იგნორირება ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის აბსოლუტურ დაცვას.⁶¹

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცულია საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ შემძენის არა ნამდვილი, არამედ ფიქტიური ნდობა. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც და უთითებენ, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ ნდობა 185-ე და 312-ე მუხლების მიხედვით დაცულია აბსტრაქტულად, ანუ მაშინაც კი, როდესაც შემძენს რეალურად არც კი ჩაუხედავს რეესტრში.⁶²

ბ) პოზიტიური ცოდნა

როგორც ქართული, ასევე გერმანული კანონმდებლობა არ იცნობს სამოქალაქო სამართლისთვის რელევანტური ცოდნის დეფინიციას. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ცოდნა განიმარტება, როგორც (სამართლებრივ სიტუაციასთან დაკავშირებული) ფაქტების ცოდნა, როდესაც პირის სუბიექტური წარმოდგენები თანხვედრაშია ობიექტურ მოცემულობასთან.⁶³

ზოგადად, ცოდნაში მოიაზრება დაუეჭვებელი, დარწმუნებული ცოდნა სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის ან

არარსებობის შესახებ.⁶⁴ დარწმუნებული ცოდნა არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი ყველა სავარაუდო სუბიექტურ ეჭვს გადალახავს და პერსონალური დარწმუნებულობის საფეხურს მიაღწევს.⁶⁵

ის ვინც ეჭვობს, არ შეუძლია ამავდროულად დარწმუნებულიც იყოს, რამდენადაც ეჭვი დარწმუნებული ცოდნის კონდიციის მიღწევას აფერხებს.⁶⁶ შესაბამისად, ეჭვი და დარწმუნებულობა წარმოადგენენ კონტროვერსიულ წყვილს.⁶⁷

ამიტომაც, გერმანულ სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ გონივრული, თუნდაც ძალიან ძლიერი, ეჭვიც კი საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ არ არის საკმარისი პირის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისთვის გსკ-ის 892-ე მუხლის გაგებით, რადგანაც როგორც ზემოთ აღნიშნა, პოზიტიური ცოდნა ეჭვს, თუნდაც გონივრულს, სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხის არსებობის ან არარსებობის შესახებ, სრულებით გამოორიციხავს.⁶⁸

შესაბამისად, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁶⁹ არაკონსტიტუციურად ცნო სკ-ის 185-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, შემძენი კეთილსინდისიერად ვერ ჩაითვლება, თუ რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი შემძენისათვის ცნობილია, აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება პოზიტიური ცოდნის დეფინიციას და

J., Verkehrsschutz durch redlichen Erwerb, S. 419 ff.; Höland A., AcP 198 (1998), 539 (566).

⁶⁰ Mugdan B., Materialien, Band III, S. 547

⁶¹ შდრ. Lutter M., AcP 164 (1964), 122 (123); Hager J., Verkehrsschutz durch redlichen Erwerbs S. 421. Hager აკრიტიკებს სიტყვა „აბსოლუტურის“ გამოყენებას მოცემულ კონტექსტში, რადგან სიტყვა „აბსოლუტური“ სამოქალაქო ბრუნვის დაცვის შინაარსის ქვეშ შესაძლოა გაგებულ იქნეს ასევე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამართლებრივი შედეგები არაკეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ შეიძლება დადგეს.

⁶² შდრ. რუსიაშვილი/სირადაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 221

⁶³ RG WarnRespr. 1915, 231.

⁶⁴ Sallawitz H. J., Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, S. 50; Döhring E., Die Erforschung des Sachverhaltes im Prozess, S. 466 ff.

⁶⁵ RGZ 61, 245 (248); RGZ 102, 385 (387); BGHZ 26, 256 (261); Greger R., Beweis und Wahrscheinlichkeit, S. 18.

⁶⁶ Reichel H., Gutgläubigkeit beim Fahrnisrecht, S. 23.

⁶⁷ Greger R., Beweis und Wahrscheinlichkeit, S. 23. თუმცა გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ სხვა გადაწყვეტილებებში დარწმუნებულობის სხვა დეფინიციაც შემოიტანა. მისი მოსაზრებით, „კანონი არ მოითხოვს ეჭვისგან თავისუფალ დარწმუნებულობას“ - BGH NJW 1973, 1924 (1925).

⁶⁸ RGZ 156, 122 (128); RG JW 1928, 102; RG JW 1929, 581f.; RG JW 1931, 2695; RG JW 1936, 804; BayObLGZ 1989, 136 (144); Staudinger/Picker, § 892 Rn. 161; MüKo/Kohler, § 892 Rn.48; Sallawitz H. J., Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, S. 19; a.A. KG Berlin JW 1926, 2215; BayObLG 1927, 2215; OLG Karlsruhe DNotV 1927, 408; 42. Ratz., AcP 128 (1928), 309 (342); Locher E., Die Neugestaltung des Liegenschaftsrechtes, 124

⁶⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3834338?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.12.2023)

წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლის ნებასთან.

წინააღმდეგობა და შესაბამისად, მოცემული გადანყვეტილების პრობლემურობა გამოიხატება იმაში, რომ შემძენმა კიდევ რომ იცოდეს მის მიერ შეძენილი უძრავი ქონების ნამდვილი მესაკუთრის ვინაობასთან დაკავშირებით რეესტრში საჩივრის არსებობის შესახებ, ეს ჯერ სულაც არ ნიშნავს, რომ მას აქვს დარწმუნებული ცოდნა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობაზე. მოცემულმა გარემოებამ შესაძლოა შემძენს გაუჩინოს გარკვეული ეჭვები, თუნდაც საფუძვლიანი, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირის მესაკუთრეობის შესახებ, თუმცა ეჭვი ცოდნას არ ნიშნავს და ცოდნის ელემენტის შემსუბუქება ეჭვის დონემდე არც კანონმდებლის მიზანთან მოდის შესაბამისობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნის დეფინიცია მისი შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ფაქტების ცოდნად (*Tatsachenkenntnis*) და სამართლებრივი შედეგის (*Rechtskenntnis*) ცოდნად.⁷⁰ პირველი კატეგორია ანუ ფაქტების ცოდნა (*Tatsachenkenntnis*) არსებობს მაშინ, როდესაც პირი ფლობს ცოდნას მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ სიტუაციასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებების შესახებ.⁷¹ ხოლო რა დასკვნა გააკეთა მან ამ ფაქტებიდან, უმნიშვნელოა. ამის საწინააღმდეგოდ, სამართლებრივი შედეგის ცოდნა (*Rechtskenntnis*) მოითხოვს, რომ პირმა მისთვის ნაცნობი გარემოებებიდან გამომდინარე სწორი სამართლებრივი დასკვნის გაკეთება მოახერხოს.⁷²

სკ-ის 185-ე მუხლის დეფინიციიდან ცალსახად იკვეთება, რომ კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა სამართლებრივი შედეგის ცოდნას (*Rechtskenntnis*), რამდენადაც მუხლის ფორმუ-

ლირებაში შემძენის არაკეთილსინდისიერებისთვის მოითხოვა, რომ მან საქმეში არსებული რელევანტური გარემოებებიდან გამომდინარე, გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო გადანყვეტილებით,⁷³ უარყო აღნიშნული მიდგომა და სამართლებრივი შედეგის ცოდნის ნაცვლად (*Rechtskenntnis*), ფაქტების ცოდნას (*Tatsachenkenntnis*) მიანიჭა პრიორიტეტი, რადგანაც დაადგინა, რომ თუ შემძენმა იცის სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოება, ანუ რეესტრში საჩივრის არსებობა, მიუხედავად იმისა რა დასკვნას გამოიტანს, ის მაინც ვერ გახდება კეთილსინდისიერი შემძენი. შესაბამისად, აღნიშნული განმარტება წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლის ნებასთან და ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებასთან.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილება ეწინააღმდეგება სკ-ის 185-ე მუხლის ისტორიულ განმარტებასაც. როგორც ცნობილია, ქართული სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს გერმანული სამოქალაქო კოდექსის რეცეფციას, ამიტომაც, ამა თუ იმ ნორმის ისტორიული განმარტებისთვის, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებულ ანალოგიური ურთიერთობის მომწესრიგებელ იდენტურ ნორმას (გსკ-ის 892 I). კერძოდ, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პირველი სამუშაო ვერსია მიიღეს, შემძენის არაკეთილსინდისიერების დადგენისთვის იმ ფაქტის ცოდნას საკმარისად მიიჩნევდა, რომელიც საჯარო რეესტრის მცდარობას მიუთითებდა.⁷⁴ თუმცა შემდეგში გერმანელმა კანონმდებელმა განზრახ უარყო ეს მიდგომა და სამართ-

⁷⁰ შდრ. *Jung S.*, Wissenszurechnung und Wissensverantwortung bei juristischen Personen, S. 46 ff.; *Sallawitz H. J.*, Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, S. 83 ff.; დეტალური ახსნა ფაქტების ცოდნისა (*Tatsachenkenntnis*) და სამართლებრივი შედეგის (*Rechtskenntnis*) ცოდნის - *Buck P.*, Wissen und juristische Person S. 71 ff.

⁷¹ შდრ. *Sallawitz H. J.*, Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, S. 83ff. *Buck P.*, Wissen und juristische Person S. 71; *Jung S.*, Wissenszurechnung und Wissensverantwortung bei juristischen Personen, S. 47.

⁷² შდრ. *MüKo/Kohler*, § 892 Rn.48; *Staudinger/Picker*, § 892 Rn. 146; *Ratz*, AcP 128 (1928), 309 (321 ff.). *Sallawitz H. J.*, Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, S. 83ff. *Buck P.*, Wissen und juristische Person S. 71; *Jung S.*, Wissenszurechnung und Wissensverantwortung bei juristischen Personen, S. 47.

⁷³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3834338?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.12.2023)

⁷⁴ იხ. აღნიშნული ფორმულირება § 837 Abs. 2 S. 1 გსკ-ის პირველ პროექტში - *Mugdan B.*, Materialien, Band III, S.

ლებრივი შედეგის ცოდნა (**Rechtskenntnis**) განსაზღვრა წინაპირობად იმ დასაბუთებით, რომ მხოლოდ ფაქტების ცოდნის საკმარისობა შეასუსტებდა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციას და ასევე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და უსაფრთხოებას.⁷⁵

ამას ემატება ის პრობლემაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გადანყვეტილებაში არ განმარტა, თუ რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს შემძენი საჩივართან მიმართებით მისი არაკეთილსინდისიერად მიჩნევისთვის, მაგალითად, საკმარისია მხოლოდ იმ ფაქტის ცოდნა, რომ საჩივრის შემტანი აპროტესტებს საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორეს, თუ აუცილებელია რომ აღნიშნული საჩივარი იყოს საკმარისად დასაბუთებული, რომელიც „გამორიცხავდა ყველა გონივრულ ეჭვს საჩივრისთვის საფუძვლად მდებარე ფაქტების სინამდვილის მიმართ“ და ეს გარემოებები ცნობილი იქნებოდა შემძენისთვის.⁷⁶ ასევე საკონსტიტუციო სასამართლო ღიად ტოვებს საკითხს, რამდენად უნდა იყოს გათვალისწინებული შემძენის ინდივიდუალური უნარები, ალიქვას და გამოიტანოს სწორი დასკვნა საჩივარში არსებული ფაქტებისა და გარემოებების სისწორის ან სანდოობის შესახებ. ამასთან, გაურკვეველია, მოცემულ კონტექსტში ვის თვლის საკონსტიტუციო სასამართლო საჩივრის შემტან უფლებამოსილ პირად, რათა ბოროტად არ მოხდეს საჩივრის წარდგენით ტრანზაქციის შეფერხება და ამით უფლების ბოროტად გამოყენება.⁷⁷

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“⁷⁸ წინააღმდეგობაში მოდის ნორმის სიტყ-

ვასიტყვით, ნორმატიულ თუ ისტორიულ განმარტებასთან, არ არის შესაბამისობაში კანონმდებლის ნებასთან, აჩენს იმაზე მეტ კითხვას, ვიდრე პასუხობს და როგორც ამბობენ, წარმოადგენს „მომაკვდავის გაცოცხლების ამაო მცდელობას“⁷⁹.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული კითხვებისა და პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ქართველმა კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს გერმანულ-სამართლებრივი მოწესრიგება და გსკ-ის 899-ე მუხლის მსგავსად, საჩივარი კეთილსინდისიერების დამაბრკოლებელ გარემოებად მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განიხილოს, თუ კი ეს საჩივარი დაფიქსირებული იქნება საჯარო რეესტრის იმ ამონაწერში, სადაც თავად საკუთრების უფლებაა შეტანილი.⁸⁰ მართალია, დღეს არსებული სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, საჩივრის რეგისტრაცია შეუძლებელია,⁸¹ თუმცა საჭიროა, მოცემულ საკითხს ქართველი კანონმდებლის მხრიდან სათანადო ყურადღება დაეთმოს და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც განხორციელდეს. ის, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო „საჩივრად“ მიიჩნევს – სამოქალაქო სარჩელი, ადმინისტრაციული საჩივარი – საერთოდ ვერ ჩაითვლება გერმანული **Widerspruch**-ის მიხედვით შექმნილ „რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილ საჩივრად“.⁸²

V. განსხვავებული სუბიექტური წინაპირობების არსებობის მიზეზები საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების მოდელებში

უხეში გაუფრთხილებლობისა და პოზიტიური ცოდნის, როგორც განსხვავებული სუბიექტური ელემენტების, შემოტანის მიზეზები უნდა ვეძებოთ განსხვავებული ობიექტური ელემენ-

540 f. დანვრილებით - *Ratz, AcP 128 (1928), 309 (328 ff.)*.

⁷⁵ შდრ. *Ratz, AcP 128 (1928), 309 (321 ff.)*.

⁷⁶ დეტალურად იხ. *ებერჰარდი/სირდაძე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2019, 16*.

⁷⁷ *ებერჰარდი/სირდაძე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2019, 16*.

⁷⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3834338?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.12.2023)

⁷⁹ *ებერჰარდი/სირდაძე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2019, 12*.

⁸⁰ იხ. *სირდაძე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019, 56*; *ებერჰარდი/სირდაძე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2019, 12, 19*. *რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, საწინვით სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 316*.

⁸¹ შდრ. *სირდაძე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2019, 56*.

⁸² დეტალურად იხ. *რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, საწინვით სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 316*.

ტების არსებობაში, რომლებიც შემძენს სხვადასხვა სიძლიერის ნდობას წარმოუშობენ. ამ მიზნით, უპირველესად განხილულ იქნება საჯარო რეესტრის ჩანაწერი, როგორც უფრო ძლიერი ნდობის ჩამომყალიბებელი საფუძველი, შემდგომში მფლობელობა, როგორც შედარებით სუსტი ნდობის დამაფუძნებელი გარემოება და საბოლოოდ, ამ ობიექტური და სუბიექტური ნდობის ნიშნებს შორის კორელაცია.

1. საჯარო რეესტრის ჩანაწერი, როგორც უფრო ძლიერი ნდობის ელემენტი

სკ-ის 183 I მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმება, რომლის ნამდვილობაც სამოქალაქო კოდექსის მატერიალური ნორმების მიხედვით მონმდება და ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების შემძენზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ანუ საჯარო რეესტრის მარეგულირებელი ფორმალური, საპროცესო ნორმების დაკმაყოფილება.

ზოგადად, რეესტრი ამონმებს საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაკეთებისთვის მხოლოდ ფორმალურ წინაპირობებს, მატერიალურ სამართალს კი ყურადღების მიღმა ტოვებს.⁸³ საჯარო რეესტრის ეს მიდგომა სხვათაშორის გაკრიტიკებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ საქმეზე „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ წარმოდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში, რომელიც მიუთითებდა, რომ საჯარო რეესტრი და შესაბამისად, სახელმწიფო უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი რეესტრში წარდგენილი გაყალბებული დოკუმენტის შედეგად წარმოშობილ ზიანზე, რადგანაც სწორედ რეესტრის ქმედების შედეგად დადგა ეს ზიანი.⁸⁴

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს არც მოცემულ მოსაზრებაზე უმსჯელია, თუმცა ეს შეხედულება არ უნდა ჩაითვალოს მა-

რთებულად, რადგან ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი განეკუთვნება მატერიალურ ანუ კერძო სამართლის საკითხს, და საჯარო რეესტრს, როგორც ადმინისტრაციულ დაწესებულებას, არ უნდა შეეძლოს კერძო სამართლებრივი ნორმების პირდაპირი გამოყენება და ვალდებულებითი თუ სანივთო გარიგების ნამდვილობის საკუთარი გადმოსახედით შეფასება.⁸⁵ ამას გარდა, ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრება საჯარო რეესტრისთვის, გამოიწვევდა უძრავი ქონების ბრუნვის სისწრაფის შენელებას.⁸⁶

შესაბამისად, მართალია, ქართველმა კანონმდებელმა მატერიალური და ფორმალურ-სამართლებრივი ნორმები უძრავ ქონებაში ერთმანეთისგან გამიჯნა, და საჯარო რეესტრს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების ნამდვილობის შემონმების ფუნქცია მოუხსნა, თუმცა საჯარო რეესტრის ჩანაწერის ნამდვილობის უზრუნველსაყოფად, ქართველმა კანონმდებელმა მოძრავი ნივთებისგან განსხვავებით, მაინც საკმაოდ ბევრი წინაპირობა განსაზღვრა. უპირველესად, მხარეებს დააკისრა მატერიალური შეთანხმების წერილობითი ფორმით გააფორმება, და ასევე ამ შეთანხმების საჯარო რეესტრში წარდგენა.

ამასთან, გარდა ზემოაღნიშნული ფორმალური ზეგებისა და ადმინისტრაციული კონტროლის შემოტანისა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ნდობის ყველაზე დიდ საფუძველს მაინც საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია ქმნის (სკ-ის 132), რომელიც შემძენის ყველა თუნდაც საფუძველიან და გონივრულ ეჭვზე სანდოდ უნდა იქნეს მიჩნეული. როგორც სალავიცი ამბობს: „ინდივიდს არ უნდა ჰქონდეს უფლება ივარაუდოს, რომ მას საეჭვო საკითხების გადანყვეტა უფრო სწორად შეუძლია, ვიდრე საჯარო რეესტრს.“⁸⁷

⁸³ Bauer H. J., Kommentar zur GBO, S. 765 ff.; Ertl R., Rpfleger, 1980, 41 (42).

⁸⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3834338?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.12.2023)

⁸⁵ შდრ. Bauer H. J., Kommentar zur GBO, S. 765 ff.; Ertl R., Rpfleger, 1980, 41 (42). Nieder H., JuS, 1984, 329

(330); Jun G., Das deutsche und koreanische Grundbuch, S. 10.

⁸⁶ შდრ. Bauer H. J., Kommentar zur GBO, S. 765 f.

⁸⁷ Sallowitz H. J., Gleichstellung grobfahrlässiger Unkenntnis mit Kenntnis, S. 19.

2. მფლობელობა, როგორც უფრო სუსტი ნდობის განმაპირობებელი

საჯარო რეესტრის ჩანაწერისგან განსხვავებით, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა არ არის ფორმალისებური. მხარეებს არ სჭირდებათ წერილობითი შეთანხმება ან მისი წარდგენა საჯარო რეესტრში. შესაბამისად, მფლობელობა წარმოადგენს გარეგნულად აღქმად იმ ერთადერთ ნიშანს, რომელსაც შეუძლია მიაწინოს გამსხვისებელსა და ნივთს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.⁸⁸

თუმცა, საჯარო რეესტრის ჩანაწერისგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს რეგისტრირებული უფლების მფლობელის, შინაარსისა და ფარგლების შესახებ სრულყოფილ და ამომწურავ ინფორმაციას, მფლობელობას შეუძლია მიაწინოს მხოლოდ გამსხვისებლის საკუთრების უფლების არსებობის შესახებ, თუმცა სხვა დანარჩენ საკითხებზე ინფორმაციის არ იძლევა.

ამასთან, თუკი უძრავი ქონების შემთხვევაში, შემძენის ნდობა ეფუძნება ფორმალობასა და ადმინისტრაციულ კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო რეესტრის ჩანაწერს, რომლის სისრულესა და უტყუარობას განსაკუთრებით აძლიერებს სკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმცია, მოძრავ ნივთებთან მიმართებით მფლობელობას არც ერთი მათგანი არ ახასიათებს.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ არსებობს ორი სახის, პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა, რომელთაც არ შეუძლიათ შემძენში გამსხვისებლის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით ერთი და იმავე ნდობის ხარისხის წარმოქმნა.

მაგალითად, თუ კი პირდაპირი მფლობელობის დროს შემძენის ნდობა ეფუძნება პიროვნებისგან დამოუკიდებელ გარემოებას, გამსხვისებლის მხრიდან ნივთზე ფიზიკურ ბატონობას,

რომელიც, მართალია, არ არის ისეთივე ამომწურავი და გამომხატველი, როგორც საჯარო რეესტრის ჩანაწერი, თუმცა იგი შემძენს უჩენს მოლოდინს, რომ გამსხვისებელი მესაკუთრეა და აღნიშნულ მოლოდინს უძლიერებს სკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმცია, არაპირდაპირი მფლობელობის დროს ნივთზე ფიზიკური ბატონობა, როგორც ნდობის დამაფუძნებელი გარემოება ქრება და შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა, მაშინ რატომ იცავს ქართველი კანონმდებელი შემძენს უხეში გაუფრთხილებლობის ზღვრამდე.

აღნიშნულზე პასუხის გასაცემად, უპირველესად უნდა გაანალიზდეს რა სავარაუდო კონსტელაციებს მოიაზრებს ქართველი კანონმდებელი არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭების შემთხვევებში, რა დროსაც დასაშვებია კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის გამოყენება და ნდობის დამაფუძნებელი რა ტიპის გარემოებები არსებობს ასეთ კონსტელაციებში.

აღნიშნულის სადემონტრაციოდ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთის მხრივ, შემთხვევა, როდესაც შემძენი არაპირდაპირ მფლობელობას იღებს არაუფლებამოსილი გამსხვისებლისგან და მეორეს მხრივ, მესამე პირისგან.

ა. მფლობელობის გადაცემა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისგან

როდესაც არაუფლებამოსილი გამსხვისებელი თავის მოთხოვნის უფლებას და ამით, არაპირდაპირ მფლობელობას შემძენს უთმობს, შესაძლებელია გამოყენებული იყოს კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი.⁸⁹

მაგალითად, არაუფლებამოსილმა გამსხვისებელმა, გიორგიმ, რომელსაც გასაყიდი პროდუქცია დასაწყობებული ჰქონდა შემნახველ პირთან, გაყიდა კეთილსინდისიერ შემძენ ანაზე. ამასთან, ანასთვის მფლობელობის მინიჭების

⁸⁸ MüKo/Oechsler, § 932 Rn. 6; Bamberger/Roth/Kindl, § 932 Rn. 11; Staudinger/Wiegand, § 932 Rn. 18; Wiegand W., JuS 1974, S. 201. Quantz T., Besitz und Publizität, S.25; Voigt U.M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobiliarerwerb, S. 255; Peters F., Eigentumsentzug durch gutgläubigen Erwerb, S. 58; Rusch A. F., Rechts-scheinlehre in der Schweiz, S. 22.

⁸⁹ შდრ. BGH NJW 1968, 1382 ff. აღნიშნული გადაწყვეტილებით გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ პირდაპირი მფლობელობის მინიჭებას შედეგობრივად შეუძლია გამოიწვიოს კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის გამოყენება. Staudinger/Wiegand, § 934 Rn. 1; MüKo/Oechsler, § 934 Rn. 2.;

მიზნით, გიორგიმ თავისი მოთხოვნის უფლება შემნახველი პირის მიმართ დაუთმო ანას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გამსხვისებელს შემნახველთან გაფორმებული აქვს მიზარების ხელშეკრულება, მოთხოვნის უფლების შემძენისთვის დათმობით, შემძენს ნივთზე მიაჩნა არაპირდაპირი მფლობელობა.

აღნიშნული კონსტელაციის მიხედვით, შემძენის ნდობა არ ეფუძნება გამსხვისებლის ქმედებისგან დამოუკიდებელ გარემოებას, ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, არამედ, მაგალითად, მიზარების ხელშეკრულებას, ან თავად გამსხვისებლის მტკიცებას მისი მესაკუთრედ ყოფნის შესახებ.

თუმცა, გამსხვისებელს ყველა ამ ნდობის გამომწვევ გარემოებაზე ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია და შესაბამისად, იგი ვერ შეძლებს შემძენში გამოიწვიოს იგივე ხარისხის ნდობა, როგორც პიროვნებისგან დამოუკიდებელმა ობიექტურმა გარემოებამ, ნივთზე ფაქტობრივმა ბატონობამ.

ბ. მფლობელობის გადაცემა მესამე პირისგან

კიდევ ერთი კონსტელაცია, როდესაც კეთილსინდისიერ შემძენს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება შეუძლია, არის შემთხვევა, როდესაც მას მფლობელობა ენიჭება არა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისგან, არამედ მესამე პირისგან.

მაგალითად: გიორგი ყიდის პირობადებული საკუთრებით ნივთს ანაზე, რომელიც გიორგიმ შემნახველ ზაზასთან დაასაწყობა. ანამ აღნიშნული პროდუქცია შემნახველი ზაზას მიმართ არსებული ვითომ მოთხოვნის უფლების დათმობით გაასხვისა კეთილსინდისიერ შემძენს ნინოზე. ნინომ შემნახველისგან მოითხოვა დადასტურება, რომ შემნახველი ნივთს მისთვის ინახავდა. ზაზამ აღნიშნული დაადასტურა.

მოცემული მაგალითი აჩვენებს, რომ ვინაიდან მიზარების ხელშეკრულება ნამდვილ მესაკუთრესა და შემნახველს შორის გაფორმდა და

შესაბამისად, შემნახველი ნივთს გიორგის სასარგებლოდ ინახავდა, ნივთზე ანას არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მფლობელობა არ გააჩნდა და შესაბამისად, მას შემძენზე მფლობელობის გადაცემაც არ შეეძლო. ერთადერთი პირი, რომელსაც შემძენისთვის მფლობელობის უფლების მინიჭება შეეძლო იყო შემნახველი ზაზა, რომელმაც ეს გააკეთა კიდევ, როდესაც ნინოს დაუდასტურა, რომ ნივთს მისთვის ინახავდა.

აღნიშნული მაგალითი აჩვენებს, რომ კეთილსინდისიერი შემძენის ნორმების გამოყენებისთვის გამსხვისებლის მხარეს მფლობელობის უფლების არსებობა არ არის აუცილებელი.⁹⁰ ამასთან, მოცემულ შემთხვევაში შემძენი მფლობელობას იღებს მხოლოდ იმიტომ, რომ შემნახველი ნებას გამოხატავს, რომ მას სურს ნივთები კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ ჰქონდეს მფლობელობაში. შესაბამისად, შემძენი ენდობა მფლობელობის მიმნიჭებელი პირის მტკიცებას, რომელიც როგორც მიზანმიმართულად, ასევე შეცდომით შესაძლოა იყოს მცდარი.⁹¹ მაგალითად, როდესაც მან მოთხოვნის უფლების ბევრჯერადად დათმობის გამო არ იცოდა, რომელი პირის სასარგებლოდ ახორციელებდა მფლობელობას.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც ნდობის დამაფუძნებელი გარემოება ასევე პიროვნებაზე დამოკიდებულ ხასიათს ატარებს.

3. ობიექტური და სუბიექტური ელემენტების კორელაცია

განსხვავებული სუბიექტური მასშტაბის არსებობა უძრავ და მოძრავ ნივთებში შესაძლოა გამართლებული იყოს იმით, რომ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს შორის არსებობს კორელაცია. კერძოდ, რაც უფრო სუსტია ნდობის წარმომშობი ობიექტური ელემენტი, მით უფრო მკაცრია სუბიექტური მოთხოვნები შემძენის მიმართ. შესაბამისად, სუბიექტური ელემენტის კლასიფიცირება დამოკიდებულია იმაზე, რომელი ნდობის დამაფუძნებელი გარემოება არსებობს, რამდენად სარწმუნოა იგი და რამდენად

⁹⁰ Bamberger/Roth/Kindl, § 934 Rn. 6; MüKo/Oechsler, § 934 Rn. 10; Staudinger/Wiegand, § 934 Rn.12; Quantz T., Besitz und Publizität, S. 268.

⁹¹ Voigt U.M., Die Funktion mittelbaren Besitzes beim Mobilienwerb, S. 324 ff.

ძლიერი ნდობის გამოწვევა შეუძლია მას შემძენში. მოცემული კრიტერიუმების ერთად შეჯამების მიხედვით შეიძლება აღნიშნული განისაზღვროს შემდეგნაირად: რაც უფრო სანდოა გარემოება, რომელიც გამსხვისებლის არარსებულ საკუთრების უფლებას მიანიშნებს, მით უფრო ძლიერ ნდობას უყალიბებს შემძენს, და რაც უფრო ძლიერია ნდობა, მით უფრო ნაკლები ზრუნვისა და სამართლებრივი მდგომარეობის გამოკვლევის ვალდებულებები ეკისრება შემძენს.

საჯარო რეესტრის ჩანაწერს, როგორც კანონმდებლის მიერ ხელოვნურად შემოღებულ სუბიექტურ ელემენტს, შემძენში შეუძლია წარმოშვას ყველაზე მაღალი ხარისხის ნდობა არაუფლებამოსილი გამსხვისებლის არარსებული საკუთრების უფლების შესახებ, რამდენადაც ის ერთმნიშვნელოვნად აქვეყნებს მონაცემებს რეგისტრირებული უფლების მესაკუთრის, შინაარსისა და საზღვრების შესახებ. ასევე, მას ზურგს უმაგრებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია (სკ-ის 312).

მფლობელობას კი შეუძლია მიანიშნოს ნივთის მესაკუთრის ვინაობის შესახებ, მაგრამ არ საჭიროებს ადმინისტრაციულ კონტროლს და შემძენში ვერ გამოიწვევს ისეთივე ძლიერ ნდობას, როგორც საჯარო რეესტრის ჩანაწერი. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ნდობის დამფუძნებელი გარემოებები სხვადასხვა კონსტელაციაში განსხვავებულად სანდოა და შესაბამისად, შემძენის ნდობის ხარისხიც ვერ იქნება თანაბრად ძლიერი.

მაგალითად, თუ პირდაპირი მფლობელობის მინიჭებისას, ნივთზე ფიზიკური ბატონობა, როგორც პიროვნების გავლენისგან დამოკიდებული ნდობის ბაზისი, ისე წარმოდგება ურთიერთობებში, არაპირდაპირი მფლობელობის დროს ნდობის საფუძველს პიროვნებაზე დაფუძნებული გარემოებები განაპირობებენ, რაც არაუფლებამოსილი პირის ძლიერი გავლენის გამო ნაკლებად სანდოდ წარმოდგება.

შესაბამისად, პირდაპირი მფლობელობის მინიჭება საჯარო რეესტრის ჩანაწერისგან განსხვავებით უფრო სუსტი, თუმცა არაპირდაპირი

მფლობელობის მინიჭებისგან განსხვავებით, უფრო ძლიერი ნდობის ელემენტია.

საჯარო რეესტრის ჩანაწერის აღნიშნული მაღალი სანდოობიდან გამომდინარე, ქართველმა კანონმდებელმა უძრავი ნივთების შემძენს არ დააკისრა არავითარი ვალდებულება გამოეკვლია ნამდვილი სამართლებრივი მდგომარეობა და მხოლოდ სამართლებრივი შედეგის ცოდნა, როგორც ერთადერთი კეთილსინდისიერების დამაბრკოლებელი გარემოება, განსაზღვრა.

ამის საპირისპიროდ, მფლობელობა არ წარმოადგენს ნდობის ისეთივე ძლიერ საფუძველს, როგორც საჯარო რეესტრის ჩანაწერი. ამიტომაც, შემძენი უნდა მოქმედებდეს უფრო მეტი სიფრთხილით და ქართველმა კანონმდებელმაც უხეში გაუფრთხილებლობა ჩათვალა უკვე საკმარის საფუძველად, შემძენის არაკეთილსინდისიერებისთვის.

აქვე, კრიტიკულად უნდა შეფასდეს ის გარემოებაც, რომ არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭების კონსტელაცია გათანაბრებულია პირდაპირი მფლობელობის მინიჭების შემთხვევებთან კეთილსინდისიერ შემძენში, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებაზე დამოკიდებულ და მისგან დამოუკიდებელ გარემოებებს არ შეუძლიათ ადამიანში ერთიდაიგივე ნდობის ხარისხის დაფუძნება და შესაბამისად, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს უხეში გაუფრთხილებლობის სუბიექტური ელემენტის შემოტანა არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭების შემთხვევებზე.

VI. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა კანონმდებელმა მოძრავი და უძრავი ნივთების კეთილსინდისიერად შექმნის კონსტელაციებში განსხვავებული სუბიექტური ელემენტები მიზანმიმართულად შემოიტანა სუბიექტური და ობიექტური ნდობის ელემენტების კორელაციაში ყოფნის გამო.

კერძოდ, საჯარო რეესტრის ჩანაწერი, როგორც ადმინისტრაციული წესით განსაზღვრული ნდობის დამფუძნებელი გარემოება, ქართველმა კანონმდებელმა მიიჩნია უფრო სანდო ობიექტურ ელემენტად, ვიდრე პირდაპირი მფლობელობა, რომელსაც არ აძლიერებს საჯარო

რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია (სკ-ის 312), ხოლო ყველაზე სუსტი ნდობის ხარისხი არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭების დროს ფიქსირდება, რამდენადაც ნდობის დამაფუძნებელი გარემოებები არაუფლებამოსილი პირის ძლიერი გავლენის გამო პიროვნებაზეა დამოკიდებული.

ზემოაღნიშნული ობიექტური გარემოებების მიხედვით არსებული ნდობის გრადაციიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის შემძენს, როგორც წესი, გამოკვლევის არავითარი ვალდებულება არ აქვს, ხოლო, მოძრავი ნივთების შემთხვევაში

პირიქით, შემძენს გაცილებით მეტი ყურადღების და ზრუნვის გამოჩენა მართებს.

შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლითაც დაადგინა, რომ თუ შემძენმა რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის არსებობის შესახებ იცის, მაშინ იგი არაკეთილსინდისიერია, ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ გრადაციას, პოზიტიური ცოდნის დეფინიციას, კანონმდებლის ნებასა და სკ-ის 185-ე მუხლის ტელეოლოგიურ და ისტორიულ განმარტებას.

სასამართლო პრაქტიკა

► შრომითი ხელშეკრულების მოშლა დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილის დატოვების მიზეზით

დასაქმებულის მხრიდან სამუშაო ადგილის მიტოვება, რომელიც (სულ მცირე, დასაქმებულის პერსპექტივიდან) ობიექტური საჭიროებით იყო განპირობებული, ვერ ჩაითვლება დასაქმებულის ქცევით განპირობებული მოშლის გაცხადების საფუძვლად.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება - №23/3959-17

შრომის კოდექსის 37 I ზ), თ) მუხლი (2018 წლის მდგომარეობით)

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე იკავებდა მოპასუხის კომპანიაში მეტროს კონტროლიორის თანამდებობას. დანესებულების შინაგანანესი ითვალისწინებდა კონტროლიორის ვალდებულებას, თვალყური ედევნებინა მგზავრთათვის ასპ-ებითა და ესკალატორებით სარგებლობის პროცესში და არ დაეშვა მათი ასვლა ესკალატორზე მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით. კონტროლიორს ეკრძალებოდა სამუშაო ადგილის მიტოვება იქ შემცვლელის დატოვების გარეშე. მოსარჩელემ აღნიშნული ვალდებულება დაარღვია და უნებართვოდ დატოვა სამუშაო ადგილი. მანამდე მას სამსახურში ერთჯერადად 38 წუთით დაგვიანებისა და სამუშაო ადგილზე ჩაძინების გამო, უკვე დაწერილი ჰქონდა ახსნა-განმარტება. სამუშაო ადგილის

უნებართვოდ მიტოვების მიზეზით დამსაქმებელმა მას განუცხადა შრომითი ხელშეკრულების მოშლა, შრომის კოდექსის 37 I ზ), თ) მუხლზე მითითებით.

მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის ბრძანების ბათილად ცნობასა და სამსახურში აღდგენას, ასევე იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას 450 ლარის (ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო) და თვიური ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის თანხის 0.07%-ის გადახდას გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ის უთითებდა იმ ფაქტზე, რომ სამუშაოზე დაგვიანება გამოწვეული იყო გარდაუვალი პირადი აუცილებლობით და მან ამის შესახებ გააფრთხილა დამსაქმებელი. რაც შეეხება სამუშაო ადგილის მიტოვებას, ეს მან გააკეთა პოლიციის გამოსაძახებულად, რადგან მეტროს რამდენიმე მგზავრმა მას შეურაცხყოფა მიაყენა და, ამასთან, სამუშაო ადგილზე შემცვლელად დატოვა სხვა თანამშრომელი.

პირველი ინსტანციის მსჯელობა: პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად მიიჩნია მოპასუხის ბრძანება, როგორც საყვედურის გამოცხადების, ისე სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში. სასამართლომ სასტიკი საყვედურის გამოცხადება უკანონოდ მიიჩნია, რადგან შრომის კოდექსის 37 I ზ) და თ) მუხლის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სიმძიმეს – მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მართალია, მოსარჩელემ დატოვა სამუშაო ადგილი, მაგრამ სასამართლომ მიუთითა, თავის მხრივ, დამსაქმებლის ვალდებულების დარღვევაზე, რაც განსაზღვრულია შრომის

კოდექსის 35 I მუხლით, რადგან მან არ შეუქმნა დასაქმებულს შესაბამისი პირობები, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელეს ექნებოდა შესაძლებლობა, ზედმინვენით შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულებები. ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N147/6 ბრძანების შესაბამისად მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხაში შედის მეტრო, ვინაიდან იგი განთავსებულია მინის ქვეშ, ხოლო მოსარჩელის სამუშაო საათები მოიცავდა დილიდან საღამომდე პერიოდს და მოსარჩელე ვალდებული იყო შეესრულებინა მისთვის დაკისრებული მთელი რიგი მოვალეობები შემცვლელის გარეშე. აღნიშნულის გამო ისეთი მცირე გადაცდომები, როგორებიცაა სამუშაო ადგილის მცირე დროით მიტოვება, ჩათვლემა და ა. შ. არ შეიძლება შეფასდეს იმ სიმძიმის დარღვევებად, რომლისთვისაც აუცილებელი იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის უმაღლესი ზომის – სასტიკი საყვედურის – გამოყენება. შემცვლელის არდანიშვნით თავად მოპასუხე არღვევდა თავის ვალდებულებებს. ამასთან, წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერები მოსარჩელის ჩათვლემასა და სამუშაო ადგილის დატოვებასთან ერთად ასახავს სამუშაო ადგილის დატოვების მიზეზსაც, რაც გამონვეული იყო შემდეგი გარემოებით – მოსარჩელის მიერ სამუშაოს შესრულებისას ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას გარკვეული პირების მიერ, რომელთაგან ერთ-ერთმა მოსარჩელეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფაც. აღნიშნულის აღკვეთაში მოსარჩელეს არ დაეხმარნენ მეტროსადგურის დაცვის თანამშრომლები, რის გამოც იგი იძულებული გახდა გამოეძახებინა პოლიცია. მოსარჩელე, კონკრეტული შემცვლელის არყოლის გამო, იძულებული გახდა მის ნაცვლად დაეტოვებინა სხვა პირი, კერძოდ მეტროსადგურის ზეინკალი, რათა ჰქონოდა პოლიციის გამოძახების შესაძლებლობა. სასამართლოს მსჯელობის საგანს აგრეთვე წარმოადგენდა, თუ რამდენად მართლზომიერად იმოქმედა დამსაქმებელმა დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისას და ადგილი ხომ არ ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებას (სკ-ის 115-ე

მუხლი). აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს „Ultima Ratio“-ს პრინციპზე, რომლის მიხედვითაც აუცილებელია სამსახურეობრივ დარღვევას (გადაცდომას) და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცვა, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ ვერ დაადასტურა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება, ვინაიდან არ დადგენილა შრომის ხელშეკრულების უხეში და არაერთგზის დარღვევის ფაქტი, ხოლო 38 ნუთით სამსახურში დავიანება კი არ წარმოადგენს ისეთი ტიპის დარღვევას, რომელსაც მძიმე შედეგის გამოწვევა შეეძლო, მით უმეტეს, დასაქმებულმა აღნიშნულის შესახებ წინასწარ სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით გააფრთხილა, მამასადამე, დავიანება არ წარმოადგენს ვალდებულების უხეშ დარღვევას, რაც განსაზღვრულია შრომის კოდექსის 37 I ზ) ქვეპუნქტით, ასევე, შრომის კოდექსის 37 I თ) მუხლზე მითითებაც უსაფუძვლოა, რადგან მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია შრომის ხელშეკრულების პირობების სისტემატიურ დარღვევას. ამიტომაც, სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ ბათილად ცნო მოპასუხის ბრძანება და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა შრომის კოდექსის 38 VIII მუხლის საფუძველზე შრომის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენისა და 32 I მუხლის საფუძველზე იძულებითი განაცდურის 450 ლარის ოდენობით ანაზღაურების თაობაზე. ამის საპირისპიროდ, არ დააკმაყოფილა მოთხოვნა 2017 წლის 24 იანვრის შემდგომ, ყოველთვიური ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე, რადგან მხარეთა შორის აღნიშნული ურთიერთობა შეწყვეტილი იყო, შესაბამისად დავა არ ეხება მიმდინარე შრომით ურთიერთობას, რა დროსაც არ ვრცელდება პირგასამტეხლოს დაკისრების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: მოპასუხე თავის სააპელაციო საჩივარში ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ სასამართლომ მსჯელობისას არ გაითვალისწინა თავდაპირველი მოსარჩელის სამსახურებრივი ვალდებულების საპასუხისმგებლო ხასიათი – მეტროსადგურის ესკალატორისათვის თვალყურის მიდევნება, რათა მის არასწორ ექსპლუატაციას არ გამოეწვია მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანება. შესაბამისად, მის მიერ სამუშაო ადგილის დატოვებას ყოველ წამს შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევა. მოპასუხე ასევე აცხადებდა, რომ 8 საათიანი სამუშაო გრაფიკისთვის ზოგადად არ არის დადგენილი შემცველების არსებობის აუცილებლობა. სასამართლომ პირისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების მიზეზად მიიჩნია დასაქმებულის 38 წუთით დაგვიანება სამუშაო ადგილზე, თუმცა აღნიშნულზე მას მხოლოდ ახსნა-განმარტება დაანერინეს ფაქტის შესწავლის მიზნით, ხოლო სასტიკი საყვედურის გამოცხადება და გათავისუფლება მოხდა მის მიერ სამუშაო ადგილის მიტოვების გამო. კონტროლიორის ჩანაცვლება სხვა თანამშრომლის მიერ იყო დაუშვებელი, ვინაიდან აღნიშნულ ჯიხურში დგას ესკალატორის სპეციალური სამუშაო მონყობილობა, რომელზე მუშაობაც მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას (რომლისთვისაც კონტროლიორებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები), რომელიც მის მიერ დატოვებულ თანამშრომელს არ გააჩნდა. მას შეეძლო ნებისმიერი პირისთვის ეთხოვა პოლიციის გამოძახება. მართალია, მოსამართლემ მიუთითა, აღნიშნული თანამდებობის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოთა ნუსხისთვის მიკუთვნების შესახებ, თუმცა ყურადღების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ აღნიშნულს კომპანია ითვალისწინებდა და შესაბამისად გასცემდა დანამატს ფულადი ანაზღაურებისა და დამატებით 10 დღიანი შვებულების სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილზე ჩათვლემა და სამუშაო ადგილის მიტოვება შეიძლებოდა მიჩნეულიყო დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით სასტიკი საყვედურის გამოცხადების საფუძვლად. მართალია, შრომის კოდექსის 37 I ზ) მუხლი არ განსაზღვრავს თუ რა მიიჩნევა

შრომის ხელშეკრულების ან/და შინაგანანგის უხეშ დარღვევად, მაგრამ იგი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ქმედების, როგორც დარღვევის ხარისხის შესაბამისად და გადაცდომის სიმძიმის გათვალისწინებით, ისევე როგორც ქმედებასა და შედეგს შორის კაუზალური კავშირის თვალსაზრისით. უმაღლესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დასაქმებულის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის ან/და პროფესიული ვალდებულებების არასათანადო შესრულებისათვის არ შეიძლება პირდაპირ ისეთი მძიმე ღონისძიების გამოყენება, როგორც არის შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა (დადგენილი გამონაკლისების გარდა), გარკვეული პროცედურული წინაპირობების დაცვის გარეშე. ამიტომაც, დაუშვებელია დასაქმებულის სამუშაოდან დათხოვნა შეტყობინებისა და მისგან ახსნა-განმარტების მიღების გარეშე, გარდა ისეთი მძიმე გადაცდომისა, რომელიც მიზანშეუწონელს ხდის მასთან შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებას და შესაბამისად, არ არსებობს დასაქმებულისაგან გასამართლებელი პასუხის მიღების აუცილებლობა; ვინაიდან მსგავს მძიმე გადაცდომას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, რომ დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა არ შეესაბამებოდა შრომის კოდექსის 37 I ზ), თ) მუხლის საფუძვლებს და სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად მართებულად გაბათილდა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სადავო ბრძანება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის ბრძანება მოსარჩელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ.

კომენტარი: აღნიშნულ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია მოსარჩელის, როგორც დასაქმებულის სამსახურებრივ გადაცდომებზე, მათ შორის, სამუშაო ადგილის მიტოვებაზე, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, გამომდინარე იქიდან, რომ ის იკავებდა კონტროლიორის საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციას. თუმცა, ამასთან, აღსანიშნია, მის მიერ სამუშაოს მიტოვება

განაპირობა სამუშაო ადგილზე წამოჭრილმა პრობლემამ, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მის აღმოსაფხვრელად პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. მითითება იმაზე, რომ რომელიმე სხვა თანამშრომლისთვის ეთხოვა პოლიციის გამოძახება და თავად ადგილზე დარჩენილიყო, ნაკლებად დამაჯერებელია: სამუშაო ადგილზე მომხდარ პრობლემაზე რეაგირება (პოლიციისათვის ახსნა განმარტების მიცემის ჩათვლით) ყველაზე უკეთ მას შეეძლო და, გარდა ამისა, ამისათვის ვერ მოაძებნდა სხვა თანამშრომელს, რომელიც ასევე თავის სამსახურეობრივ ვალდებულებას ასრულებდა იმ კონკრეტულ მომენტში. ამასთან, გასათვალისწინებელია, შემთხვევის ექსტრაორდინალური ხასიათი და მოპასუხის დაცვის პოლიციის თანამშრომლების უმოქმედობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა მოსარჩელის მხრიდან სიტუაციის ობიექტურად აღქმის შესაძლებლობას.

ზოგადად, დამსაქმებელს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა მისი თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ სამართალდარღვევებზე მყისიერი რეაგირების საშუალებას და ამ ინფრასტრუქტურის არქონა დამსაქმებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, პრობლემურია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის ქცევის სამუშაო გადაცდომად დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით.

ამის საპირისპიროდ, გასაზიარებელია ორივე სასამართლოს გადაწყვეტილება მოშლის ბათილობის ნაწილში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანული სასამართლოც მსგავს მსჯელობას ავითარებს: სამუშაო ადგილის უნებართვო მიტოვება (*unberechtigtes Verlassen des Arbeitsplatzes*) სახელმეკრულეო ვალდებულების უხემ დარღვევად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი პირადი არასაპატიო მიზეზით არის გამოწვეული – მაგალითად, დასაქმებული შესვენებაზე გადის განსაზღვრულზე მეტი ხნით, ბოროტად სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ დასაქმებულების სამუშაო დროის

აღმრიცხველი აპარატი გაფუჭებული იყო და იმ დღეს აღნიშნულის კონტროლი დამსაქმებლის მხრიდან შეუძლებელი აღმოჩნდა (რაც აჩენს ეჭვებს მის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით).¹ აგრეთვე მაშინ, როდესაც დასაქმებული მუდმივად და არასაპატიო მიზეზით აგვიანებს სამუშაოზე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, (დასაქმებული ქცევით) განპირობებული მოშლისას (*verhaltensbedingte Kündigung*) ჯერ უნდა მოხდეს დასაქმებულის გაფრთხილება, თუ არსებობს პოზიტიური პროგნოზი იმისა, რომ დარღვევა აღარ განმეორდება. ამ პოზიტიური პროგნოზისათვის ადგილი აღარ რჩება, როდესაც, მაგალითად, სანარმოში დასაქმებული პირი, იღებს სანარმოს ნივთებს და მიაქვს სახლში, და ეს, დამსაქმებლის მიერ მიცემული შენიშვნის შემდეგაც, უწყვეტად მეორდება.² აქ ამგვარი ნეგატიური პროგნოზის მიზეზი არ არსებობდა. დამსაქმებელს აქ დასაქმებული არ გაუფრთხილებია და პირდაპირ შეუწყვიტა ხელშეკრულება (სასტიკის საყვედურისა და მოშლის გაცხადება მოხდა ერთდროულად, რაც აზრს აკარგვინებდა საყვედურს, ეწინააღმდეგებოდა მის ფუნქციასა და ერთი გადაცდომისათვის ორი სასჯელის გამოყენების დაუშვებლობას), მაშინ, როდესაც მან სამუშაო ადგილი სწორედ (სულ მცირე მისი პერსპექტივიდან) საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად მიატოვა. მით უმეტეს, რომ აქ ექსტრაორდინალურ შემთხვევასთან მოუწია გამკლავება, რომელიც სავარაუდოდ უახლოეს მომავალში ან საერთოდ აღარ განმეორდება. ნებისმიერ შემთხვევაში დასაქმებულის ქცევის შესაცვლელად საკმარისი იქნებოდა დამსაქმებლის მხრიდან მისი გაფრთხილება და არა მოშლის გამოყენება, რაც „*Ultima Ratio*“-ს უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება, დასაქმებულის მხრიდან სამუშაოზე დაგვიანებას, რომელსაც ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი და ამასთან მას წინ უძლოდა ამის შესახებ დამსაქმებლის ინფორმირება – რაც დასაქმებული პასუხისმგებლობის გრძნობაზე მეტყველებს – ეს ვერ აქცევს ზემოთ ხსენე-

¹ იხ. LAG Rheinland-Pfalz Urt. v. 24.10.2007 - 7 Sa 385/07.

² დეტალურად იხ. LAG Rheinland-Pfalz, Urteil vom 29.04.2010 - 10 Sa 34/10

ბულ დარღვევას განმეორებით დარღვევად. განმეორებითი გულისხმობს, რომ მეორდება ერთი და იმავე ტიპის დარღვევა და სწორედ ეს განმეორება იძლევა იმ პროგნოზის საფუძველს, რომ დასაქმებულის ქცევა მომავალშიც არ შეიცვლება. ეს მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ ჩავთვლით, რომ სამუშაოს მიტოვება არ იყო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, მოცემულ სიტუაციაში, სამუშაოს მიტოვება ვერ მიიჩნევა სამსახურეობრივი ვალდებულების იმგვარ დარღვევად,

რომელიც გაამართლებდა, გაფრთხილების გარეშე, პირდაპირ მოშლის უფლების გამოყენებას.

ამავდროულად, მიიჩნია რა სასამართლომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა არანამდვილად, ეს ნიშნავდა იმას, რომ მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობა საერთოდ არც შეწყვეტილა და, სხვა მოთხოვნებთან ერთად, თვიური ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის თანხის 0.07%-ის გადახდის მოთხოვნაც უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სოფიკო ზარანდია